

ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გაგებასიოლოგიის ინსტიტუტი

ლეილა ავიძა

ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა
აზხაზშრ მნაში

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თემურაზ გვანცელაძე



2011

სარჩევი

შესავალი.....	3
ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული აფხაზური ლექსიკის პვლევის მოკლე ისტორია	8
თავი I. ადამიანის სხეულის ნაწილების ამსახველი ტერმინები.....	24
თავი II. დაავადებებთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ლექსიკა.....	80
1. დაავადებათა სახელწოდებანი.....	80
2. სამკურნალო საშუალებებათა სახელწოდებანი.....	107
3. დაავადებათა და სამკურნალო საშუალებებათა სახელების მორფოლოგიური მოდელები.....	120
თავი III. ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა.....	126
დასკვნა.....	145
გამოყენებული ლიტერატურა.....	152
დანართები.....	161

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე. აფხაზური ენის მეცნიერული კვლევის ისტორია იწყება 1862 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოცემული პეტრე უსლარის გრამატიკული მიმოხილვით, რომელშიც აღწერილია ენის ფონოლოგიური სისტემის, მორფოლოგის, სინტაქსისა და ლექსიკური შემადგენლობის ძირითადი საკითხები.

ამ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ის იყო ენის სტრუქტურის აღწერის პირველი ცდა, მაგრამ პ. უსლარის წიგნს ბევრი უზუსტობაც ჰქონდა (მაგალითად, უსლარი გამოყოფს ბრუნებათა სისტემას), რაც განპირობებულია იმით, რომ ავტორი კლასიკური ლინგვისტიკის მიმდევარი იყო და, მეორე, პირველ ცდაზევე ენის ამომწურავი აღწერა შეუძლებელია.

პ. უსლარის შემდგომ აფხაზური ენის ლექსიკის კვლევის საქმეში სერიოზული წვლილი შეიტანა პეტრე ჭარაიამ, რომლის ნაშრომშიც საკმაოდ მაღალ აკადემიურ დონეზეა გამოკვლეული აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის საკმაოდ დიდი ნაწილის გენეტიკური კავშირი ქართველურ ლექსიკასთან, აგრეთვე გამოვლენილია სხვა ენებიდან მომდინარე ნასესხობანიც.

აფხაზური და აფხაზურ-აბაზური ლექსიკის კვლევის საქმეში განსაკუთრებული წვლილი აქვს ორ დიდ აფხაზოლოგს: აკად. ქეთევან ლომთათიძესა და აკად. უორე დიუმეზილს, რომლებმაც ათწლეულების განმავლობაში შექმნილ ნაშრომებში დეტალურად გაარკვიეს აფხაზურ ენაში წარმოდგენილი მრავალი სიტყვის სტრუქტურა, წარმომავლობა და ისტორია.

აფხაზური და აფხაზურ-აბაზური დარგობრივი ლექსიკის აქტუალურ საკითხებს ეძღვნება ლ. ჭკადუას, ხ. ბლაუბას, კ. შავრილის, შ. არისთავას, ს. ამიჭბას, ვ. ამიჭბას, ვ. კონჯარიას, ა. ხეციას, ზ. ხიბას, ნ. არშბას, ე. კილბას, რ. კლიჩევის, ს. პაზოვის, ა. შაგიროვის, გ. როგავას, რ. ჯანაშიას, თ. გვანცელაძის, ნ. მაჭავარიანისა და სხვათა ნაშრომები.

მიუხედავად აფხაზური ენის ლექსიკაზე მომუშავე მკვლევართა სიმრავლისა, დღემდე მონოგრაფიულად არ გამოკვლეულა ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ლექსიკა. აქედან გამომდინარე ჩვენი ნაშრომი აღნიშნული ლექსიკის მონოგრაფიული კვლევის პირველი მცდელობაა.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა. აფხაზურ ენაში ადამიანის სხეულის ნაწილების, ფიზიოლოგიის, დაავადებებისა და სამკურნალო საშუალებების ამსახველი ლექსიკა საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა. მაგრამ აღნიშნული ლექსიკის ეტიმოლოგია, სიტყვაწარმოება, გამოყენების არეალი თითქმის არ არის შესწავლილი და აღწერილი.

ჩვენ მიერ შესწავლილი ლექსიკის დიდი ნაწილი დღეს მეტყველებაში რუსული ტერმინებით არის ჩანაცვლებული. ჩვენი კვლევის აქტუალურობას განაპირობებს ის, რომ აქამდე სრულად არ ყოფილა მოძიებული და შესწავლილი აფხაზური ენის ლექსიკის ეს მნიშვნელოვანი ფენა, რომელიც ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან არის დაკავშირებული, არ არის განსაზღვრული ამ დარგის სიტყვების ფუნქციონირების მექანიზმები და გამოყენების აქტიურობის ხარისხი; არ არის შესწავლილი მათი უმრავლესობის წარმომავლობა და წარმოქმნის გზები.

გარდა ამისა, თანამედროვე ლინგვისტურ აფხაზოლოგიაში ლექსიკის ამ ფენის მონოგრაფიულად დაუმუშავებლობა ართულებს ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებას.

საანალიზო ლექსიკის კომპლექსურ შესწავლას არა მარტო პრაქტიკული, არამედ თეორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან თვით პრობლემა მჭიდრო კავშირშია აფხაზური ენის წარსულის, აწმოსა და მომავლის საკითხებთან.

ზემოთ აღნიშნული საკითხები განსაზღვრავენ სადისერტაციო კვლევის აქტუალურობას.

ნაშრომის მიზნები. წინამდებარე ნაშრომის მიზნებია:

- ადამიანის სხეულის ნაწილების სახელწოდებათა, დაავადებებთან, მკურნალობასთან და ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული აფხაზური ლექსიკის სისტემატიზება, აღწერა და კვალიფიკაცია;
- ძირეული (საკუთრივ აფხაზური) და ნასესხები ლექსიკის გამიჯვნა;
- ძირეულ სიტყვათა სახელდების (ნომინაციის) მოტივების დადგენა;
- ტერმინთა ამოსავალი ფონეტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურის გარკვევა;
- სიტყვაწარმოების ხერხების გამოვლენა;
- აფხაზურ ენაში ნასესხებ ტერმინთა ფონეტიკური ადაპტაციის თავისებურებათა გამოვლენა;

– საკვლევი დარგობრივი ლექსიკის გავრცელების არეალისა და მათი ფუნქციონირების სფეროების დადგენა.

კვლევის მეთოდოლოგია. საკითხის შესასწავლად გამოყენებულია აღწერითი (სინქრონიული) და ისტორიულ-შედარებითი (დიაქრონიული) კვლევის მეთოდები. პრობლემის დამუშავების ხარისხი.

ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული აფხაზური ლექსიკის სინქრონიული და დიაქრონიული შესწავლის, აგრეთვე ამ ლექსიკის მონათესავე ენათა ლექსიკასთან მიმართების საკითხებს სპეციალურად სულ ორიოდე ნაშრომი ეხება. ესენია: ქ. ლომთათიძის სტატია “ხელისა და ფეხის აღმნიშვნელ ფუძეთა ისტორიისათვის აფხაზურ-ადილურ ენებში და ზოგი სათანადო ქართველური ფუძის საკითხი” (იკვ, ტ. XV, თბილისი, 1966), მისივე “აფხაზური ალტიერი (“ლაგიწი”) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის (აფხაზური ჭ-ს წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით)” (სმამ, ტ. 76, №1, 1974), ს. ამიჟბას ““აფხაზურ-აბაზურ ენათა ლექსიკა” (Амц-ქახა С. А. Аქсуა-აბაზა ნაიშვალეა რეკსიკა. 1984, ქახა). არსებობს აგრეთვე აფხაზი და ქართველი მეცნიერების რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბ შეხებაში არიან ჩვენს საკვლევ თემასთან.

ვრცელი ტერმინოლოგიური მასალა მოცემულია პ. კვიშინიას ავტორობით 1997 წელს სოხუმში გამოცემულ აფხაზურენოვან “ადამიანის ანატომიაში”, რომელიც განკუთვნილია სამედიცინო ფაკულტეტების სტუდენტთათვის. აღნიშნული წიგნი საინტერესო საკვლევ წყაროს წარმოადგენს ლინგვისტებისთვისაც.

ჩვენ მიერ განხილული მასალა სხვადასხვა წყაროებიდან არის მოპოვებული. ცალკეული ტერმინები გვხვდება კავკასიის საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნში, რომლის ავტორი გახლავთ პ. შაბლოვსკი (შაბლოვსკი, 1886). ავტორი რამდენიმე წელი აფხაზეთში ცხოვრობდა. მის მიერ აღწერილი ხალხურ მედიცინაში გამოყენებული სამკურნალი მცენარეები და მათი დასამზადებელი რეცეპტები ჩვენთვის ლექსიკოლოგიური კუთხით იყო საინტერესო.

დისერტაციაზე მუშაობის დროს შესწავლილ იქნა აფხაზური სამწიგნობრო ენის, აბეუური და ბზიფური დიალექტების მასალა, ტერმინა

ამჟამინდელი სემანტიკა და მორფოლოგიური სტრუქტურა, გაიმიჯნა ძირეული და ნასესხები ლექსიკა, გამოვლინდა საკუთრივ აფხაზური, აფხაზურ-აბაზური, აფხაზურ-ადიღური, აფხაზურ-ქართველური და საერთო იბერიულ-კავკასიური ლექსიკა. დადგინდა ტერმინთა დიდი ნაწილის ამოსავალი სტრუქტურა და თავდაპირველი სემანტიკა, მომხდარი ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებები; ამ დარგობრივი ჯგუფის ლექსიკის გამოყენება ფრაზეოლოგიაში.

ავლევის ემპირიული ბაზა. ნაშრომში გამოყენებული და გაანალიზებული აფხაზური ლექსიკური მასალა, რომელიც 351 ერთეულს შეადგენს, ამოკრებილია სხვადასხვა ლექსიკონიდან, ერთი ნაწილი მოპოვებულია აფხაზეთში საველე ექსპერიციების დროს, ხოლო სიტყვათა სემანტიკის დამადასტურებელი საილუსტრაციო ტიპები წინადადებები და ფრაზეოლოგია ამოწერილია გამოცემული ფოლკლორული და მხატვრული ტექსტებიდან.

რაც შეეხება სხვა ენათა (ქართველურ, ადიღურ, უბისურ, თუქულ, რუსულ) ლექსიკას, ისინი ამოკრებილია ლექსიკონებიდან, ან სხვა ავტორთა გამოკვლევებიდან.

ავლევის შედეგების აპრობაცია. ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტში.

ნაშრომში წარმოდგენილი ძირითადი დებულებები და დასკვნები წაკითხული იყო სხვადასხვა სამეცნიერო სესიებზე, გამოქვეყნებულია სტატიებისა და თეზისების სახით:

1	2001	აფხაზური ენის დარგობრივი ლექსიკა (სამკურნალო მცენარეთა სახელწოდებები)	“აფხაზეთის მოამბე”	სტატია
2	2004	ხალხური მედიცინის ზოგიერთი ტერმინის შესწავლისათვის	თბილისის პულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული	სტატია
3	2004	ხალხურ მედიცინაში გამოყენებული ლექსიკა	კავკასიოლოგიური კრებული, თბილისი	სტატია

		(აფხაზი ქალების ცხოვრების რამდენიმე ასპექტი)		
4	2010 .	К названиям некоторых частей тела человека в абхазском языке	Синергетическая лингвистика Лингвистическая синергетика. Материалы международной научно-практической конференции (Пермь, апрель)	თეზისი
5	2010 .	გულის აღმნიშვნელი ძირის შემცველი როლფუძიანი სიტყვები აფხაზურ ენაში	ლინგვისტური ქართველოლოგისა და აფხაზოლოგის პრობლემები, ტ. II	სტატია
6	2010 .	დაავადებების აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინისათვის აფხაზურ ენაში	ფილოლოგიური პარალელები. სამეცნიერო შრომების კრებული №2 პარალელები.	სტატია
7	2011 .	Морфологические модели названий лекарственных средств и болезней в абхазском	Eurasia Academic Publishers Journal "Acta Linguistica" T. 5, № 1 (2011) (Bulgaria, Sophia)	სტატია

ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული აფხაზური ლექსიკის პოლევის მოკლე ისტორია

აფხაზური ენა აბაზურთან ერთად განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა აფხაზურ-ადილურ ჯგუფს, რომელშიც შედის აგრეთვე ადილეურ-ყაბარდოული (ჩერქეზული) და უბიხური ენები.

აფხაზური და აბაზური ენები ლინგვისტური თვალსაზრისით ერთ ენობრივ ერთეულს წარმოადგენენ; მათ აერთიანებს ფონეტიკური სისტემის, გრამატიკული წყობის და სალექსიკონო ფონდის ერთობლიობა. მაგრამ ტერიტორიული დაცილებისა და სალიტერატურო ენებისთვის სხვადასხვა დამწერლობის გამოყენების გამო განასხვავებენ აფხაზურს და აბაზურ ენებს.

აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობლიობა ოთხი ძირითადი დიალექტითაა წარმოდგენილი: ორი სამხრეთის დიალექტი (აფხაზური) – აბჟური და ბზიფური, ორი ჩრდილოეთის (აბაზური) – ტაპანოური და აშხარული. დიალექტებს შორის განსხვავება ძირითადად ფონეტიკაშია. მათ შორის განცალკევებით დგას ტაპანოური დიალექტი; აშხარული აფხაზურ დიალექტებთან უფრო ახლოს არის (ლომთათიძე, 101:1967).

ყველაზე მეტი სხვაობა აფხაზურსა და აბაზურს შორის თავს იჩენს ფონეტიკაში. მაგრამ მიუხედავად საერთო ფონოლოგიურ-გრამატიკულ-ლექსიკური საფუძვლისა, აბაზური საკმაოდ განსხვავდება აფხაზურისაგან. ამას განაპირობებს აბაზურის ადილურ ენათა გავლენის ქვეშ მოქცევა და აფხაზურ და აბაზურ სამწერლობო ენათა სხვადასხვა დიალექტურ ერთეულებზე დაფუძნება-განვითარება.

როგორც უპვე აღვნიშნეთ, აფხაზური ენის დიალექტებია აბჟური და ბზიფური. აბჟური დიალექტის შიგნით სხვაობა ნაკლებად შესამჩნევია. აბჟურ თქმათა შორის ყველაზე არსებითი სხვაობა წარმოდგენილია კბილბაგისმიერი მკვეთრი **ჭ** სპირანტით. ეს სპირანტი ერთადერთ ა**ჭ** ა “წვრილი” სიტყვაში დაცულია ზოგი სოფლის (ჭლოუ, ტამიში) მეტყველებაში, სხვაგან კი – გადასულია პ ხშულში.

აფხაზური სამწერლობო ენა დაფუძნებულია შედარებით მარტივი ფონოლოგიური სისტემის მქონე აბჟურ დიალექტზე.

ბზიფური დიალექტი აბჟურ დიალექტს ძირითადად უპირისპირდება მთელი რიგი ფონემებით. აბჟურისაგან განსხვავებით ბზიფურის კილოკავებში გვაქვს წინაენიერმიერ სპირანტთა და აფრიკატთა სისინ-შიშინა რიგები (ჸ ჸ ჸ ც ჸ ჸ ჸ) და თავისებური ფარინგალური ფშვინვიერი სპირანტის მარტივი და ლაბიალიზებული სახეობები (ჸ ჸ). მარტივ სისინ-შიშინა სიბილანტთა (ჸ ჸ ჸ ც ჸ) მიხედვით იგი უპირისპირდება აბჟურის მსგავსად აბაზურ დიალექტებსაც.

ბზიფური დიალექტი აბჟურთან სხვაობას ავლენს ფონეტიკურ პროცესებშიც (უმთავრესად დროების წარმოებისას) და ცალკეულ ლექსიკურ მასალაში.

თვით ბზიფური დიალექტი იძლევა კილოკავური დაყოფის მეტად ჭრელ სურათს. სხვაობა კილოკავებს შორის ძირითადად მოდის ფონოლოგიურ სისტემაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი სოფლის მეტყველებას ემჩნევა ნარევობა თქმათა მიხედვით და, რომ ახალგაზრდობა გადასულია სამწერლობო ენის მარტივ სისტემაზე, მაინც ხერხდება ამ დიალექტის საკმაოდ გამოკვეთილ ტერიტორიულ კილოკავებად დაყოფა. ამ დაყოფის საფუძველია იმავე სისინ-შიშინა სიბილანტთა ქონა-არქონის ფაქტი.

ბზიფური დიალექტის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ამოსავალი ჸ ჸ ფარინგალური ხშულების ცვლა და მათ ნაცვლად ჸ ჸ სპირანტების არსებობა, ისინი აბჟური დიალექტისაგან განსხვავებით ბზიფურის ყველა კილოკავში დატურდება.

გარდა ამისა, ბზიფური დიალექტის ნიშანდობლივი თავისებურებად სისინ-შიშინა სიბილანტების ქონა. სწორედ მათი ამჟამად გამოყენების მხრივ ხდება კილოკავური დაყოფა. ეს სიბილანტებია სისინ-შიშინა მარტივი ჸ ჸ ჸ ც ჸ და ლაბიალიზებული ჸ ჸ.

მთის სოფლების (ოთჰარა, ბლაბურხვა. . .) ყველაზე უკეთ დაცულ მეტყველებას კარგად აქვს შემონახული ყველა ეს სპეციფიკური თანხმოვანი. ზოგმა კილოკავში დაკარგა სისინ-შიშინა ლაბიალიზებული სპირანტები, ზოგში კი ეს უკანასკნელები დაცულია, მაგრამ დაკარგულია მარტივ სისინ-შიშინა სიბილანტთა რიგი.

სისინ-შიშინა სიბილანტთა რიგის მიხედვით ბზიფურ დიალექტში გამოიყოფა სამი ძირითადი კილოკავი:

2. ლიხნის კილოკავი, რომელშიც დაცულია ჭ ს ბ ც წ წ ს ხ (აკლია ჭ ს ხ).

3. ააცის კილოკავი, რომელშიც დაცულია ზე სი ჰე ზე (აკლია ზე ს ძ ც წ).

მარტივ სისინ-შიშინა სიბილანტთა რიგი გარდა ბზიფური დიალექტისა დღეს არ მოიპოვება არც ერთ სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტსა თუ კილო-თქმაში.

რაც შექება ლაბიალიზებულ ზე სისინ-შიშინა სპირანგებს, ისინი ზოგ
დიალექტში აღარც გვხვდება, მაგრამ უდავოდ ყველა აფხაზურ-აბაზურ
დიალექტს ჰქონდა. აბუურმა დაკარგა ისინი, აბუურის კვალს მიჰყვება
ბზიფური დიალექტის ლიხნის კილოკავი.

მეტად თავისებურია ააცის კილოკავის ვითარება. მარტივი სახის სისინ-შიშინა სიბილანტთა უქონლობით ამ კილოკავის მეტყველება გვერდით უდგას აბჟური და აბაზური დიალექტების მეტყველებას, მაგრამ, როგორც ჩანს, განსხვავებულ ამოსავალთან გვაქვს საქმე. ამას აჩვენებენ ის რეფლექსები, რომლებიც სათანადო სისინ-შიშინა ბგერათა შესატყვისად ჩამოყალიბდნენ, ერთი მხრივ, აშხარულ-ტაპანოურ-აბჟურში და, მეორე მხრივ, ააცის კილოკავში. ააცის კილოკავის ვითარება უფრო გვიანდელი ჩანს.

აბაზურში გამოიყოფა ორი დიალექტი: ტაპანთური და აშხარული.
(ლომთათიძე, 1976: 7)

ტაპანთური მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა აფხაზურ-აბაზური დიალექტებისგან. ჩვენ წინ არის სხვაობა იმთავითვე არსებულიც და შემდეგ, საკუთარი განვითარებით, თუ უმთავრესად სხვა ენის გავლენით შეძენილიც. სხვაობა წარმოდგენილია ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსა და ლექსიკაში. ტაპანთურს მთელ რიგ მოვლენებში განვითარების თავისებური გზა აქვს არჩეული. ეს საქმაოდ აშორებს მას პირაქეთა დიალექტებისაგან. პირაქეთელი აფხაზისათვის ტაპანთური მეტყველება გაუგებარია.

მთლად იგივე არ ითქმის აშხარული დიალექტის შესახებ. ძირითადად იგი პირაქეთა დიალექტებს მისდგავს.

ერთი მხრივ, გვაქვს ძალზე განსხვავებული ტაპანთური, ხოლო მეორე მხრივ, შედარებით ერთმანეთთან უფრო ახლო მდგომი სხვა დანარჩენი აფხაზურ-აბაზური დიალექტები.

დიდი სხვაობა, რომელსაც ადგილი აქვს აშხარულ დიალექტში, ხშირად ახალი მოვლენა ჩანს.

აშხარულს ბევრი საერთო უჩანს ტაპანთურთანაც. ეს უკვე გამოწვეულია აშხარულების ტაპანთურებთან მჭიდრო ურთიერთობით.

ტაპანთური აშხარულს თავისი ძლიერი ზეგავლენის ქვეშ აქცევს, ამას ხელს უწყობს აგრეთვე ის, რომ აბაზურ სალიტერატურო ენას საფუძვლად ტაპანთური დიალექტი აქვს დადებული...

ფონეტიკური სისტემის მიხედვით, ტაპანთური გარკვეულ პუნქტში ისევე განსხვავდება აბჟურისაგან, როგორც ბზიფურისაგან, სამაგიეროდ სხვა შემთხვევებში ტაპანთური მიჰყვება აბჟურსა და აშხარულს.

ტაპანთელებით კომპაქტურად დასახლებული სოფლებია ინჯიქ-ჭკუნი, ყუბინა, ელბურგანი, ფსაუჭა-დახა, ყარაფაგვა, ფსიუ, ტაპანთა, აბაზაპაბლი, მალოაბაზინსკი, ქრასნი ვოსტოკი, ყვაიდანი.

აგრეთვე ტაპანთელები გვხვდებიან, ყაბარდოულ სოფელ ჰუმარა-ში (ლომთათიძე, 1944:8)

ტაპანთურ დიალექტში ორი კილოკავი გამოიყოფა: ყუბინა-ელბურგანისა (სადაც შედის ინჯიქ-ჭკუნი, ფსაუჭა-დახა და ყველა მათი გამონაყოფი სოფლები) და ფსიუ-კრასნოვოსტოჩნისა.

ასეთ დაყოფას მხარს უჭერს შ თანხმოვნის რეფლექსები. შ-ს ლ-დ ქცევის ტენდენცია მკვეთრად ჩანს ფსიუისა და კრასნოვოსტოჩნის მეტყველებაში. გარკვეულ შემთხვევებში წინაენისმიერ ლაბიალიზებულ სპირანტთა და აფრიკატთა სრული დელაბიალიზაცია დამახასიათებელია როგორც კრასნოვოსტოჩნის, ისე ფსიუის მეტყველებისათვის.

ფსიუ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავს გამოეყოფა ორი ერთეული: ფსიუისა და კრასნოვოსტოჩნისა. მათში კი გამოიყოფა ცალკე თქმები.

ფსიუში გამოიყოფა ე.წ. ლაბიალიზებული თქმები, რომელთა მიხედვითაც იგი მხარს უჭერს ყუბინა-ელბურგანის კილოკავს და დელაბიალიზებული თქმა.

კრასნოვოსტოჩნიში კი ამათ გარდა შეინიშნება თავისებური სუსტად-ლაბიალიზებილი თქმა. ეს უკანასკნელი უმთავრესად უფროსი თაობის მეტყველებას ახასიათებს.

ლაბიალიზაცია-დელაბიალიზაციის მიხედვით ტაპანთურის კილოკავებად წარმოგვიდგება:

I. კუბინა-ელბურგანის კილოკავი (ლაბიალიზებული) – სოფლები: კუბინა, ელბურგანი, ინჯიკჭკუნი, ფსაუჭა-დახა, ყარაფაგვა, ტაპანთა, მალოაბაზინსკი, აბაზაპაბლი, ჰუმარა; II. ფსიუ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავი (დელაბიალიზებული) – სოფლები: ფსიუ, კრასნი ვოსტოკი, ყვაიდანი (ლომთათიძე, 1944:12).

რაც შეეხება აშხარულ დიალექტს, იგი წარმოადგენს მეტად რთული შედგენილობის დიალექტურ ერთეულს. მასში გამოიყოფა ორი ძირითადი კილოკავი: კუვინსკისა და აფსუისა, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ძირითადი თავისებურებანი, რომელთა მიხედვითაც აღნიშნული კილოკავები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან:

აფსუის კილოკავში არსებობს წინაენისმიერ შიშინა ლაბიალიზებულ სპირანტთა მაგარი სახეობები – შმი, ჟმი. კუვინსკის კილოკავში (ბზიფური დიალექტის მსგავსად) არსებობს მხოლოდ ჩვეულებრივი წინაენისმიერი შიშინა ლაბიალიზებული სპირანტები ში, ჟი.

აფსუის კილოკავში სახელის ვითარებით-გარდაქცევითი ფორმის მაწარმოებლად გამოიყენება სუფიქსი -შთა, კუვინსკის კილოკავში კი -ნგ.

აფსუის კილოკავში რიგი სტატიფური ზმნის აწმუოს ფორმაში გვხვდება სუფიქსი -უტ, კუვინსკის კილოკავში კი -უპ.

აფსუის კილოკავში ა ხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებში დროის დაბოლოების -ჟა სუფიქთან შეხვედრისას მიიღება -უ (...ა+ჟა=უ), კუვინსკისაში კი მიიღება რ (...ა+ჟა=რ).

აფსუის კილოკავში დროთა დაბოლოებებში მრავალი ფონეტიკური ვარიანტი არსებობს, მაგალითად: მყოფადის წარმოებაში თანხმოვანზე და -ო, -უ ნახევარხმოვნებზე დაბოლოებულ ზმნებში -აშმტ სუფიქსის გვაქვს; ფონეტიკურ ნიადაგზე დაკარგულია ფინიტობის -ტ სუფიქსი და ამასთანაა დაკავშირებული რიგი ცვლილებები სუფიქსაციაში და სხვ. ამ მხრივ კუვინსკის კილოკავში დაცულია უფრო ერთფეროვანი და უძველესი ფორმები.

აფსუის კილოკავში ვითარების გარემოების აფიქსად ზმნის ინფინიტურ წარმოებებში -აშმ ელემენტი გვხვდება, კუვინსკის კილოკავში კი - -შმ ელემენტი არსებობს.

აფსუის კილოკავში არსებობს მეშველი ზმნა აკიუპ|აკოტ და მათგან ნაწარმოები კითხვითი სიტყვები ზაკიგდა, ზაკიი, კუვინსკის კილოკავში კი

აგრეთვე არსებობს მეშველი ზმნა აუკ. ეს ფუძე გარდა აწმყოსი, გამოიყენება სხვა დროებშიც (მაგ. ონ— “იქო”) და მისგან იწარმოება კითხვითი სიტყვები ზაუდა, ზაუი. ამ ნიადაგზე მხოლოდ პუგინსკის მეტყველებისთვის დამახასიათებელია ზმნის რთული კითხვითი ფორმების წარმოება: იყაუწიზოდა და სხვა.

აფსუის კილოკავში აბსოლუტივის საწარმოებლად გამოიყენება სუფიქსი -შთა, კუვინსკის კილოკავში კი -შთა სუფიქსი აბსოლუტივის მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში (ფინიტურ ფუძეზე) გამოიყენება. დანარჩენ შემთხვევაში აბსოლუტივის აფიქსად სუფიქსი -ნგ შემონახული. აგრეთვე შემოინახა აბსოლუტივის რთული სუფიქსი -შთა-ნგ.

სხვაობა შეინიშნება ერთი და იმავე პროცესების, გრამატიკული მოვლენების გავრცელების მასშტაბისა და მოცულობის მიხედვითაც, მაგალითად: ჭა→აა, ჭი→ჟ, დი თი ტი → დ თ ტ; ადგილის გარემოების -აყ-, -ახ- ელემენტების გამოყენების არე; ჭმგ თანდებულის გამოყენების არე და სხვ.

სხვაობას ნაწილობრივ ადგილი აქვს ლექსიკური შედგენილობის მხრივაც. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული განსხვავებების არსებობისა, აფსუისა და კუვინსკის კილოკავები მაინც ერთ დიალექტად ერთიანდებიან. საერთო მოვლენები, რომელთა მიხედვით აღნიშნული კილოკავები ერთიანდებიან და უპირისპირდებიან სხვა აფხაზურ დიალექტებს, შემდეგია:

1. დი თი ტი ენა-კბილისმიერი ხშული სამეულის დელაბიალიზაციის ტენდენცია და დ თ ტ-დ ქცევა;
2. სრულხმოვნობის დაცვა საერთოდ, კერძოდ – გაორკეცვბულ ფუძეებში.
3. ხმოვანთა დავიწროება ან სრული რედუქცია დიფორნგებში,
4. სახელის განსაზღვრული ფორმის წარმოება –ზ სუფიქსით.
5. ჩვენებითი ნაცვალსახელების და ადგილის და ვითარების ზმნისართთა რთული ფორმების არსებობა.
6. რაოდენობითი და დანაწევრებითი რიცხვითი სახელების თავისებური ფორმები.
7. ჭმგ თანდებულის გამოყენების არის გაფართოება.
8. -უ სუფიქსის უქონლობა სტატიკური ზმნის აწმყოს როგორც ადამიანთა კლასის, ისე ნივთთა კლასის კითხვით ფორმებში.

9. სტატიკურ ზმნათა ორ ჯგუფად დაყოფა და პირველ ჯგუფში აწმუოს სტატიკურ ფორმაში –იტ ფინიტობის სუფიქსის გამოყენება.

10. დროის -შა სუფიქსის ჲ ელემენტის დაპარგვა თანხმოვანზე და ა-ზე დაბოლოებულ ზმნებში.

11. მყოფადის ინფინიტურ ფორმაში –რააკ, -ააკ... სუფიქსების გამოყენება სხვა დიალექტების -ლაკ სუფიქსის ნაცვლად.

12. პირობითი კილოს მაწარმოებლად –რი სუფიქსის გამოყენება. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მთელი რიგი ამ მოვლენათაგან: და თა ჭი-ს დელაბიალიზაცია, ხმოვანთა რედუქცია დიფორმინგებში, სახელის განსაზღვრული ფორმის წარმოება –ზ სუფიქსით, ჭმუ თანდებულის ფართოდ გამოყენება, სტატიკური ზმნების ორ ჯგუფად დაყოფა, -შა სუფიქსის ჲ ელემენტის დაპარგვა გარკვეულ პოზიციაში და სხვ., როგორც ამას ისტორიულ-შედარებითი ძიება არკვევს, შედარებით ახალი მოვლენებია, აშხარული დიალექტის (მისი ორივე კილოკავის) შინაგანი განვითარების ნიადაგზე წარმოქმნილი...

აშხარული დიალექტის მონაცემები მეტად საყურადღებოა აფხაზური ენის ისტორიული შესწავლისა და მის დიალექტთა ურთიერთობის თვალსაზრისით (ლომთათიძე, 1954: 227).

მთლიანობაში აშხარული დიალექტი წარმოადგენს დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულს, რომელსაც ახასიათებს რიგი თავისებურება. ამ თავისებურებათაგან ზოგი ძველია და შემოგვინახავს აფხაზურის ძველ საერთო მოვლენებს (ში ჭი-ს გვერდით სისინა სი ჭი ბგერათა დაცვა, ჭ ჭი, კ კი, უ ბგერათა დაცვა, სრულხმოვნობის დაცვა, კაუზატივის წარმოებაში ძველი, მოსალოდნელი სახეობის შემონახვა რიგ ზმნაში; დროთა წარმოებაში უფრო ძველი, სრულხმოვნიანი სახეობების არსებობა; ვითარების გარემოების აფიქსის უფრო ძველი -აშმ სახეობა, -ნგ (-ნა...) სუფიქსის გამოყენება სახელისა და ზმნის რიგ წარმოებაში და სხვ).

აღნიშნულ მოვლენათა მიხედვით ცვლილებები განიცადეს სხვა დიალექტებმაც (ლომთათიძე, 1954: 229).

სხვა თავისებურებათაგან, რომლებიც აშხარულ დიალექტს ახასიათებს, დიდი წილი წარმოადგენს აშხარული დიალექტის შინაგანი განვითარებით მიღებულ ახალ წარმოებებს.

იგი საერთოდ ემხრობა პირაქეთა დიალექტებს, მიუხედავად ტაპანთურის მასზე ძლიერი გავლენისა.

აშხარული დიალექტის კილოკავები (აფსუისა და კუვინსკისა) მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა ამავე დროს თვით ამ კილოკავებშიც შეინიშნება სხვადასხვა დიალექტური ფენები, რაც იწვევს ფორმათა განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას. კერძოდ, აფსუის კილოკავში შეინიშნება ერთი ფენა, ტაპანთურ დიალექტთან საერთო.

აშხარული დიალექტის ეს რთული ბუნება აისახება მასზე მოღაპარაცე ხალხის ისტორიული წარსულით.

აშხარელები ახლანდელ საცხოვრებელ ადგილზე – იენჯუგის სანაპიროებზე – გადმოვიდნენ მე-19 საუკუნეში კავკასიის ქედის ფერდობებიდან. ეს ტომები მანამდე სახლობდნენ აჭყიფსოუს, ფსხუს და სხვ. რაიონებში. უდავოა ამ გადასახლებულებში გვხვდებოდნენ სხვადასხვა აფხაზ ტომთა წარმომადგენლები.

ამ მხრივ საყურადღებოა მოხუცთა გადმოცემები. აშხარელი მოხუცები პყვებიან, რომ კუვინსკელები გადმოსულები არიან აჭყიფსოუდან, ფსხუდან, ხოლო აფსუელები - ნახუ-დანო.

ამ გადმოცემათა მიხედვით, აფსუელები და კუვინსკელები გადმოსული არიან სხვადასხვა რაიონებიდან. ამასთანავე მოხუცები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ კუვინსკელთა ნაწილი შერეულია აფსუელებთან. ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა ენობრივი მონაცემები: საერთო აშხარული მოვლენების გვერდით აფსუის კილოკავში ადგილი აქვს ტაპანთურთან საერთო რიგ მოვლენას.

აფსურში წარმოდგენილი იყო თავისებური ტომობრივი მეტყველება, რომელიც უახლოვდებოდა ტაპანთური დიალექტის ფსიჟ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავს. მიუხედავად ამისა, აფსურ მეტყველებაში ძლევს საერთო აშხარული ენობრივი მოვლენები და ისიც კუვინსკურთან ერთად გვიჩვენებს განვითარების ერთგვარ ტენდენციებს (ლომთათიძე, 1954: 232).

აფხაზური ენა ერთ-ერთი ახალდამწერლობიანი ენაა.

აფხაზურ ენაზე დამწერლობის შექმნა და აფხაზური ანბანის შემუშავება დაკავშირებულია აფხაზური ენის მეცნიერულ შესწავლასთან.

აფხაზური ლექსიკის პირველი ჩანაწერები ეკუთვნის XVII საუკუნის თურქ მოგზაურს ევლია ჩელების, რომელმაც 1641 წელს გაიარა აფხაზეთის სანაპირო.

ჩელებიმ თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები სამოგზაურო წიგნებად “**سیاحت نامه**” (“სეიაპათ-ნამე”) შეკრიბა. “სეიაპათ-ნამეს” ერთ-ერთი წიგნის “ამიერკავკასიის, მცირე აზიისა და ირანის მოსაზღვრე ოლქების მიწები” III თავში აფხაზური ტომებია აღწერილი. აფხაზურ ენას მოგზაური უცნაურ და საოცარ ენას უწოდებს (<http://www.vashaktiv.ru/texts/ch/chelebi23.php>).

ჩელების ჩაწერილი აქვს რამდენიმე ათეული აფხაზური სიტყვა და გამონათქვამი, რომლებშიც ძალიან ბევრი უზუსტობა და შეცდომაა: აქ – ერთი, ვბა – ორი, იხფა – სამი, ბჟნა – ოთხი, ხუბა - ხუთი, კბა – ექვსი, ბზბა – შვიდი, ‘აბა – რვა, ჟბა – ცხრა, ზუბა – ათი, აკ ზუბა – თერთმეტი, ვბა ზუბა – თორმეტი, ვაი – მოდი აქ, უჩი – წადი, უთუი – დაჯექი, უკულ – ადექი, უმჩინ – არ წახვიდე, ადფუ – ბიჭი, სჩაბ – წაგალ, აბჯრუშ – ქალი, სქჩამ – არ წაგალ, უზუმჩოზუი არფუ – რატომ არ მიდიხარ, ბიჭო? სირა იზდრვეი – მე ვიცი, ურა იუდდვა – შენ რა იცი? უნაჯ კსი – ჩემო სულო, ჩემო თვალო; სირა იზდრვაჲ – რაც მე ვიცი; სირა სზკო – მე მყოფნის; არს იზუჭვაზუი – ასე რატომ ამბობ? ვა უბუზუა – რას ბოდავ? ისპვაზუი – რას გლაპარაკობ? შირა იშრომ – მე არ ვიცი, ურა იუხრუა – შენი ნათქვამი, ურა იურრუა – შენ იცი, აკა ურა უკაგუბ – მაგრამ შენ გიუ ხარ; ანჩგი აგ’გი ადლუ – ჩვენი დვოისა და მის ქმნილებათათვის; აკი სედრმ ანჩრთშ – ღმერთმანი, არაფერი ვიცი; უსკვჲ სრსკბ – ცოდო ვარ, ნუ მაწვალებ; სირა აკრ უსოპვან – უცნაურ რამეს ვლაპარაკობ; ანჩრნშაი ამლა სფშრაი – ღმერთმანი, აბაზავ, მშია, სჩაბ ფსთა იუკრმ – წაგალ, ღომს ვჭამ (ჩელები, 1971, გვ. 107; <http://www.vashaktiv.ru/texts/ch/chelebi23.php>). ამ ჩანაწერებს ამჟამად მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

ზოგიერთი იბერიულ-კავკასიური ენის შესახებ ვრცელი ლექსიკური ჩანაწერები აქვს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრს იოჰან ანტონ გიულდენშტედტსაც, რომელიც 7 წლის განმავლობაში მოგზაურობდა კავკასიაში. მეცნიერის “მოგზაურობანი”-ს (Beschreibung Der Kaukasischen Länder) მეორე ტომს დართული აქვს “სიტყვათა კრებული კავკასიაში ხმარებულ ენათა შესადარებლად” (J.A. Güldenstadt. „Wortersammlung zur Vergleichung der im Kaukasus gangbaren Sprachen. T. II, Berlin, 1834, 496-535 გვ), სადაც ლათინურ გრაფიკაზე და აქედან გამომდინარე უზუსტობებით ყაბარდოული და აბაზური ენების 280 სიტყვა არის წარმოდგენილი. ჩამონათვალშია ადამიანის სხეულის ნაწილების ამსახველი ლექსიკის რამდენიმე მაგალითი: თმა, წვერი, შუბლი, თვალი, ცხვირი, ფრჩხილი, ტყავი, ხორცი, ძვალი, სისხლი, ქონი, ტვინი, გული, ოფლი... (ჩიქობავა,

2008: 113). მიუხედავად სარვეზებისა, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ასეთი დიდი მოცულობის ლექსიკური მარაგი პირველად იყო ფიქსირებული. ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებით ი. გიულდენშტედტის ლექსიკური ჩანაწერები მნიშვნელოვანს არაფერს შეიცავს.

აფხაზური ენის მეცნიერული შესწავლის ისტორიის დასაწყისი დაკავშირებულია პეტრე უსლარის სახელთან. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრმა, განათლებით სამხედრო ინჟინერმა და გენერალმა პეტრე უსლარმა აფხაზური ენის ფონოლოგიური სისტემის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკური შემადგენლობის ძირითადი საკითხები აღწერა თავის ერთ-ერთ მონოგრაფიაში “კავკასიის ეთნოგრაფია. ენათმეცნიერება. 1. აფხაზური ენა”. ამ წიგნს ერთვის აფხაზურ სიტყვათა კრებული, რომელშიც ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებულ ტერმინთაგან ანალიზის გარეშე წარმოდგენილია შემდეგი სიტყვები: ძვალი, ზურგი, ენა, თვალი, გვერდი, გული, წარბი, მხარი, დვრილი, ტუჩი, პირი, ყური, თითი, მუცელი, შიმშილი, ხელი, დაჭრილი, ტვინი, ნიკაპი, ძილი, პირი და სისხლი (უსლარი, 1887: 118-182).

რიხარდ ერკერტს თავის შრომაში “კავკასიური ძირის ენები” მოყვანილი აქვს აფხაზური მეტყველების ნიმუშები (271-277 გვ.), აგრეთვე გრამატიკული შენიშვნები (277-280 გვ.), რომლებიც დამყარებულია პ. უსლარის “აფხაზური ენის” მონაცემებზე... (ჩიქობავა, 2008: 248), ლექსიკის ანალიზი კი წარმოდგენილი არ არის.

ენათმეცნიერთათვის საინტერესო, მაგრამ მწირი ლექსიკური მასალის მოპოვება შესაძლებელია კავკასიის საიმპერიო სამედიცინო საზოგადოების მიერ 1886 წელს გამოცემულ ი. შაბლოვსკის ნაშრომში “აფხაზეთისა და სამურზაფანოს ექიმბაშების მიერ გამოყენებული სამკურნალო ხერხები და საშუალებები”.

აგრეთვე რამდენიმე სამკურნალო მცენარის აფხაზური სახელწოდება გვხვდება ფარმაკოლოგიის მაგისტრის ი. მუშინსკის სტატიაში “აფხაზური ხალხური მედიცინიდან”, რომელიც პეტროგრადში “ფარმაცევტულ უურნალში” 1915 წელს იყო გამოქვეყნებული. ამ ორ ნაშრომში ლექსიკის ენათმეცნიერული ანალიზი წარმოდგენილი არ არის.

აფხაზური ენის შესწავლის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა ცნობილმა ქართველმა პედაგოგმა, ლიტერატორმა, ეთნოგრაფმა და

ენათმეცნიერმა პეტრე ჭარაიამ (რომელიც ნაშრომებს ხშირად ბეჭდავდა ფსევდონიმით “პეტრე გიორგიძე”). იგი შესანიშნავად ფლობდა აფხაზურს და ასწავლიდა ამ ენას აფხაზური სოფლების სკოლებში. პ. ჭარაიას შრომები, მათ შორის 1912 წელს პეტერბურგში გამოცემული მისი მონოგრაფია აფხაზური და ქართველური ენების ურთიერთობის შესახებ, დღესაც კავკასიოლოგების სამაგიდო წიგნად ითვლება. მონოგრაფიის “Об отношении абхазского языка к яфетическим” პირველ თავში გამოვლენილია აფხაზურში ქართველურ ენათაგან ნასესხები სიტყვები, მათ შორის ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიას უკავშირდება: ჭიპი, გიუი (შემლილი) (ჭარაია, 1912: 13; 16).

მეორე თავში ავტორი აფხაზურ და იაფეტურ სიტყვებს ადარებს ერთმანეთთან. ამ თავშიც გვხვდება ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა: გული, ყრუ, წვერი, მკლავი, შიმშილი, ყელი, თავი, ძილი, კანი, სისხლი, მუხლი (ჭარაია, 1912: 18-52), რომლებსაც ავტორი აფხაზური და ქართველური ენების საზიარო სიტყვებად მიიჩნევს.

აკადემიკოსმა ნიკო მარმა მთის იბერიულ-კავკასიური ენების კვლევის შედეგად სხვა ენებთან ერთად აფხაზურ-ადიდური ენებიც იაფეტური ენების ოჯახს მიაკუთხნა. მის შრომაში “Яфетическое происхождение абхазских терминов родства” გვხვდება ტერმინი “სისხლი”, რომლის ანალიზიც დამაჯერებელი არ არის.

სხვა ნაშრომებში, რომლებიც თავმოყრილია კრებულში “О языке и истории абхазов”, აქა-იქ გვხვდება ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული და სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი შემდეგი ტერმინების ანალიზი: თავი (მარი, 1912: 9), თითი (მარი, 1912: 24), ყური (მარი, 1912: 25), ხელი (მარი, 1912: 95), თითები (მარი, 1912: 96), ფეხი (მარი, 1912: 96), ძარღვი (მარი, 1912: 282), ელენთა (მარი, 1912: 283), თვალი (მარი, 1912: 283), დერილი (მარი, 1912: 284), კბილი (მარი, 1912: 285), ცხვირი (მარი, 1912: 343).

მეცნიერი ზოგიერთ აფხაზურ ტერმინს, მაგ., ა-მაცა “თითი” სიტყვას, სომხურთან აკავშირებდა. იგი წერდა, რომ აფხაზური არის სომხურ-ჰაიური ტიპის ნარევი ენა, ანუ აფხაზურში იაფეტურ ენასთან ერთად შერწყმულია რომელიდაც გაურკვეველი არაიაფეტური ენა. აფხაზური ენის იაფეტურ ფენაში წარმოდგენილია სამი შრე, ერთ-ერთი მათგანი ქართველური ჯგუფისკენ იხრება, მეორე – თუბალ-კაინურისკენ, ხოლო მესამე, რომელმაც ავტორის აზრით ყველაზე ღრმად შეაღწია აფხაზურში, ავლენს მჟიდრო კავშირს სვანურთან და

სომხურ-პაიურ ენებთან. ამ შემთხვევაში 6. მარი აშკარად აჭარბებდა და ცდილობდა, წინასწარ აკვიატებული თვალსაზრისის “დამტკიცებას” კონკრეტულ ფაქტებზე ძალადობის გზით. ამიტომ მიუღებელია ერთადერთი სიტყვის მაგალითზე გამოტანილი მისი შორს მიმავალი დასკვნა აფხაზური ენის შემადგენლობაში მძლავრი არაიბერიულ-კავკასიური ფენის არსებობის შესახებ.

6. ჯანაშიას შრომებში (Религиозные верования абхазов. «Христианский Восток», 1915; Статьи по этнографии Абхазии, 1960) სამკურნალო მცენარეებისა და დაავადებების ცალკეული აფხაზური სახელწოდებები ლინგვისტური ანალიზის გარეშე გვხვდება.

გვიქრობთ, ენათმეცნიერთათვის საინტერესო უნდა იყოს 1910 წელს თბილისში გამოცემული მეფრინველებ-პრაქტიკოსის ვ. საბინეცკის სამკურნალო წიგნი, რომელიც დიმიტრი გულიამ აფხაზურ ენაზე თარგმნა “Аенате წсаათეკეა რчымазарაკეი რyxəшетэракეеи” (შინაური ფრინველების დაავადებები და მათი მკურნალობა). წიგნში მოცემულია ფრინველის 50-ზე მეტი დაავადების სახელწოდება და აღწერილია მათი მკურნალობის მეთოდები.

აფხაზური ენის დიდ მკვლევარს, აფხაზურ-ადილური ენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ფუძემდებელს, აკადემიკოს ქეთვან ლომთათიძეს 200-ზე მეტი ნაშრომი ეპუთვნის, რომლებიც მეცნიერმა იძერიულ-კავკასიური ენების შესწავლას მიუძღვნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. ლომთათიძის მონოგრაფიები: “აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი” (1944), “აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის” (1954), “აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები” (1976), “ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი აფხაზურსა და აბაზურში” (1982), “აბაზური ენა” (2006) და მრავალი სხვა.

ქ. ლომთათიძის შრომებში მრავლად გვხვდება ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ცალკეული ტერმინების დრმა ანალიზი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მონოგრაფია “აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები”. ამ ნაშრომში დამაჯერებლადაა გაანალიზებული შემდეგ ცნებათა აღმნიშვნელი აფხაზური სიტყვების ფონემატური სტრუქტურა და ისტორია: ხელი (ლომთათიძე, 1976: 25), დვრილი (ლომთათიძე, 1976: 39-40), ყური (ლომთათიძე, 1976: 39), პირი (ლომთათიძე, 1976: 43), საკაცე (ლომთათიძე, 1976:

47), ძვალი (ლომთათიძე, 1976: 47), თავი (ლომთათიძე, 1976: 74), ძარღვი (ლომთათიძე, 1976: 99), ძილი (ლომთათიძე, 1976: 117), კანი (ლომთათიძე, 1976: 117), თვალი (ლომთათიძე, 1976: 118), თითი (ლომთათიძე, 1976: 128), იდლია (ლომთათიძე, 1976: 128), ენა (ლომთათიძე, 1976: 134), ცხვირი (ლომთათიძე, 1976: 140), ფილტვი (ლომთათიძე, 1976: 142), ცოფი (ლომთათიძე, 1976: 149), ჭიპი (ლომთათიძე, 1976: 149), კისერი (ლომთათიძე, 1976: 151), ლავიწი (ლომთათიძე, 1976: 159), წარბი (ლომთათიძე, 1976: 161), ღებინება (ლომთათიძე, 1976: 165), გული (ლომთათიძე, 1976: 169), ელენთა (ლომთათიძე, 1976: 177), ნეკნი (ლომთათიძე, 1976: 177), სისხლი (ლომთათიძე, 1976: 181), ზურგი (ლომთათიძე, 1976: 190), ხორცი (ლომთათიძე, 1976: 220). ქვემოთ სათანადო ტერმინთა შესახებ მსჯელობისას ჩვენ დავიმოწმებთ აკად. ქ. ლომთათიძის ამ ნაშრომის დასკვნებს.

ქ. ლომთათიძის სხვა ნაშრომებშიც განიხილება ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილის აფხაზური სახელწოდებების სტრუქტურა და ისტორია. ამ მხრივ ადსანიშნავია მეცნიერის სტატია “აფხაზური ა-ლტოჟიკა (“ლავიწი”) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის”, რომელიც გამოქვეყნებულია “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში” (№ 1, 1974). ავტორი მსჯელობს აფხაზური სიტყვის ა-ლტოჟიკა “ლავიწი” სიტყვის მაგალითზე აფხაზური ლაბიალიზებული ტო თანხმოვნის წარმომავლობის საკითხის შესახებ. ქ. ლომთათიძე თვლის, რომ დო თო ტო ხშულთა სამეული აფხაზურში მეორეული წარმომავლობისაა, დო გვხვდება მხოლოდ ნახესხებ სიტყვებში და გადმოსცემს სხვა ენათა და-ს. რაც შეეხება თო და ტო ფონემებს, ქ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ ისინი მეორეული ბგერებია და წარმოქმნილი უნდა იყოს თ და ტ თანხმოვნების შერწყმით ლაბიალურ უ-სთან.

მკვლევარი ყურადღებას აქცევს რამდენიმე ფუძეს, რომლებიც შეიცავს ტოს და ქართულიდან უნდა იყოს აფხაზურში ნახესხები, ოდონდ ქართულში მას წვ შეესაბამება. აღნიშნული ფაქტის საფუძველზე, ქ. ლომთათიძე ხსნის აფხაზური ა-ლტოჟიკა-ს წარმომავლობას, რომლის პირველი კომპონენტი ა-ლტო მომდინარეობს ქართული ლავიწი სახელის ფუძისაგან, რომელმაც მახვილის ზეგავლენის შედეგად ა და ი ხმოვანთა რედუქცია განიცადა. ამის შედეგად წარმოიქმნა აფხაზური ენისათვის უჩვეულო ლვ (ლუ) და ვწ (უწ) თანმიმდევრობანი, რამაც გამოიწვია ლვწ კომპლექსის ლწვ კომპლექსად გარდაქმნა და წვ-ს ტო-დ გადაქცევა: ლვწ → ლტო.

აგრეთვე საყურადღებოა ქ. ლომთათიძის სტატია “ხელისა და ფეხის აღმნიშვნელი ფუძეების უძველესი სახეობისათვის აფხაზურ-ადილურ ენებში და ზოგი ქართველური ფუძის ანალიზის საკითხი”, რომელიც გამოქვეყნებულია “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების” მე-15 ტომში (1966). ნაშრომში ავტორმა გაანალიზა ხელისა და ფეხის აღმნიშვნელ ფუძეებს აფხაზურ-ადილურ ენებში და აღადგინა მათი საწყისი ფორმები.

ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ ა-შა-ბჭ “ფეხი” სიტყვის პირველი ელემენტი ბჭ-ს გარეშეც გვხვდება მისი ძირითადი მნიშვნელობით, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ ეს ელემენტი ძირეულია. იგი შა//შგ//შ ფონეტიკურ ვარიანტთა სახით (ბჭ-ს გარეშე) გვხვდება შემდეგ სიტყვებში: ა-შა-ცია “ფეხის თითები”, ა-შა-ჭმა “ნაბიჯი” (“ფეხის პირი”), ა-შა-თა // ა-შ-თა “კვალი” (თა ადგილმდებარეობის, საცავის გამომხატველი ელემენტი), ა-შა-ხია “წვივი”, ა-შ-ხია “ქუსლი”. იგივე შა გამოიყენება “ფეხთ ჩაცმა-გახდის” აღმნიშვნელ ზმნებში ფუძე-წინდებულის სახით: ი-ლ-შრ-უბ “მას (ქალს) ის ფეხთ აცვია”... ასევე გვხვდება იგი ცალკე არსებულ ზმნებში, როგორიცაა: ა-შა-ქიუ-რ-გვლა-რა “დადგენა, დაფუძნება” (“ფეხზე დაყენება”) და სხვა (ლომთათიძე 1966: 150-151).

ავტორი აღნიშნავს, რომ ა-ნაბჭ “ხელი” ფუძეში პგ ხელის აღმნიშვნელი ძირი არ ჩანს, სიტყვის ძირია ნა და ივარაუდება შემდეგი სიტყვების ძირებში: ა-ნა-ცია “ხელის თითი”, ა-ნა-ბ-ხე-ც “ხელის ფრჩხილი”. ამავე დროს ხელის აღმნიშვნელ რთულ ფუძეთა შემადგენლობაში “ხელ” სიტყვის ძირეული ნაწილი ჩვეულებრივ მა- ელემენტის სახით წარმოგვიდგება, მაგალითად: ა-მა-ცია “ხელის თითი”, ა-მაა (*←ა-მა-ჭა) “სახელური”, ა-მა-ცია-ჭ “ბეჭედი”.

როგორც ჩანს, “ხელ” სიტყვის ძირეულ ნაწილად გვევლინება ნა | მა. ნ-სა და მ-ს მონაცვლეობა აფხაზურში ხშირი მოვლენაა. ნ-სა და მ-ს მონაცვლეობას “ხელ” სიტყვის ფუძეში თავდაპირებულად გარკვეული კანონზომიერება ახასიათებდა. კერძოდ, ნა მხოლოდ ისეთ ფუძეებში უნდა გვქონდა, რომლებშიც ბაგისმიერი ხშული პ იყო ხოლმე, დანარჩენ შემთხვევაში კი იყო მა-. აქედან გამომდინარე, ხელის აღმნიშვნელი ძირი იყო მა-, ნა- კი არის პოზიციურად მიღებული მა-სგან პ-სთან შორეული მეზობლებით (დისიმილაციის საფუძველზე). ეს ვითარება დღესაც შეურყევლად დაცულია ტაპანთურ დიალექტში, პარალელური ფორმები ა-მაცია | ა-ნაცია ტიპისა ტაპანთურშიც არ დასტურდება. ტაპანთურში მუდამ არის, ერთი მხრივ, მხოლოდ მა-ცია, მეორე მხრივ, მხოლოდ ნა-ბჭ.

ხელის აღმნიშვნელი ძირი იყო მა. ნა-ს სახით ის უნდა გვქონოდა პ-ს შემცვლელ ფუძეში, მაგალითად, ნაპტ. ასეთი დაპირისპირების კარგ ნიმუშს იძლევა ზმნები: ა-ნაპტ-რ-შცვლარა და ა-მა-შცარა || პ-რ-მა-შცაკრა, რაც “მოშინაურებას”, “ხელზე მიჩვევას” ნიშნავს.

ერთი და იგივე ძირეული მასალა (მა) ერთი და იმავე სახით წარმოგვიდგა *ა-მაპტ-სა და ა-მპტ -ში (მ), თუმცა თავიანთი გენეზისის მიხედვით თითოეული მათგანი სხვადასხვა ამოსავალს გულისხმობს:

1. *ამაპტ → 2. ანაპტ (დისტანციური დისიმილაცია) → 3. *ამპტ (კონტაქტური ასიმილაცია ა ხმოვნის რედუქციის საფუძველზე).

ხელის აღმნიშვნელი მ(ა) ძირი ფართოდ ჩანს გამოყენებული აფხაზურში ისეთ სახელებსა და ზმნებში, რომლებშიც დღეს უშუალოდ ხელზე მითითება არა გვაქვს, მაგრამ ეტიმოლოგიურად “ხელის” გაგებას უნდა უკავშირდებოდეს (ლომთათიძე, 1966: 150-161).

აფხაზი მეცნიერის ს. ამიჭბას აფხაზურ ენაზე შესრულებული ერთ-ერთი აღრეული ნაშრომი (Ayaqvitəyaca იცენიჯ ხეთაკეა რყხავკეაკ აქცუა-აბაზა დიალექტეა რყეკნი, Akea, 1966) ეძღვნება ადამიანის სხეულის ნაწილების ამსახველ ლექსიკას (დაახლოებით 37 სიტყვას). იგი ორი ნაწილისგან შედგება: სხეულის გარეგანი ნაწილების სახელები და შინაგანი ნაწილების (ორგანოების) სახელები. მოცემულია ზოგ ტერმინთა მაგალითები აბჟურ, ბზიფურ და ტაპანთურ დიალექტებში. აგტორის ნაშრომში ძირითადად განხილულია საკუთრივ აფხაზური ტერმინები, არ არის მოყვანილი ნასესხობები სხვა ენებიდან. თითეულ ტერმინს თან ახლავს დამოწმებები ტექსტებიდან.

აგრეთვე ს. ამიჭბას წიგნში აფხაზურ-აბაზურ ენათა ლექსიკა (Akkaya-აბაზა ბაზშეაკეა რლექსიკა, Akea, 1984) ერთი პატარა თავი (თავი XXIV) ეძღვნება დაავადებების და სამკურნალო საშუალებების სახელწოდებებს (98-100 გვ.), რომელშიც აღწერილია რამდენიმე ტერმინის სტრუქტურა (აშმე, აცგრკ და აშახსთა). ამ ტერმინებთან დაკავშირებით ავტორი წერს, რომ ისინი საკუთრივ აფხაზური სიტყვებია, ხოლო აბაზურში ანალოგიური შინაარსის მქონე სიტყვები ადიღეური ენიდან არის ნასესხები. აღნიშნულ თავში ჩამოთვლილია ზოგიერთი დაავადებისა და სამკურნალო საშუალების მსგავსი სახელწოდებები აბაზურში, აბჟურში და ბზიფურში.

ცალკეული ტერმინების ბზიფური ვარიანტებია აღნუსხული ხ. ბლაჟბას მონოგრაფიაში “აფხაზური ენის ბზიფური დიალექტი” (1964 და 2006).

ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან და მკურნალობასთან
დაკავშირებული ტერმინები გვხვდება სხვადასხვა ლექსიკონება და
მონოგრაფიაში. მაგალითად, ბ. ჯანაშიას “აფხაზურ-ქართულ ლექსიკონში”
(1954), ს. ბლაუბას რედაქციით გამოცემულ “რუსულ-აფხაზურ ლექსიკონში”
(1964), პ. შავრილის, ვ. კონჯარიასა და ლ. ჭკადუას “აფხაზური ენის
ლექსიკონში” (1986-1987), ა. გენკოს “აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში” (1998), ს.
არშბას მიერ შედგენილ “მეცნოველეობის ტერმინოლოგიურ ლექსიკონში” (1980),
ვ. კვარჭიას მონოგრაფიაში “მეცნოველეობის ლექსიკა აფხაზურ ენაში” (1981), ო.
ძიძარიას წიგნში “ზღვაოსნობის ლექსიკა აფხაზურში” (1989 წ.) და ა.შ.

პ. შავრილის წიგნის “Некоторые лексические и звуковые соответствия в
абхазско-адыгских языках” (1968) ბოლოს (63-100 გვ.) მოცემულია აფხაზურ-
ადილურ სიტყვათა ჩამონათვალი, ზოგიერთი მათგანი ადამიანის ანატომიასთან
და ფიზიოლოგიასთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, ავტორისეული
მსჯელობანი ამ სიტყვათა სტრუქტურისა და ისტორიის შესახებ საკმაოდ სუსტი
და ნაკლებად დამაჯერებელია.

ს. მაჭავარიანის მონოგრაფიაში “მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში.
სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი” (2006) თავმოყრილია მცენარეთა
აფხაზური სახელწოდებები, მათ შორის დიდი ადგილი უჭირავს სამკურნალო
მცენარეთა სახელწოდებების ანალიზსაც.

აფხაზი მეცნიერის ს. ნაჭყებიას ავტორეფერატში (ხელმძღვანელი ლ.
ჭკადუა, 2009 წ.) “Лексика народной медицины в абхазском языке” ასახულია ის
მთავარი თემები, რომლებიც განხილულია სადისერტაციო ნაშრომში. იგი
შედგება სამი თაგისგან: 1. საბავშვო დააგადებებთან, მათ მკურნალობასთან და
ეთნოფსიქოლოგიურ საკულტო რიტუალებთან დაკავშირებული ხალხური
მედიცინის ტერმინები; 2. მოზრდილების დააგადებებთან დაკავშირებული
ხალხური მედიცინის ტერმინები და 3. ხალხური მედიცინის ლექსიკის ანალიზი.

ს. ნაჭყებიას მიერ აღწერილია აფხაზური ხალხური მედიცინისთვის
დამახასიათებელი მაგიური ხასიათის მქონე რიტუალები, დააგადებებთა
განკურნებისთვის გამოყენებული ეთნოფსიქოლოგიური საკულტო წესები,
ტრადიციები. წმინდა ლინგვისტური ანალიზი ამ ნაშრომის ავტორეფერატში
ნაკლებად ჩანს.

თავი I

ადამიანის სხეულის ნაწილების ამსახველი ტერმინები

აფხაზურ-ადიღური ენების ლექსიკაში, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ენების ლექსიკაში, სიძველისა და სტრუქტურის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ სხეულის ნაწილების სახელწოდებები და მათგან ნაწარმოები სიტყვები. ეს ლექსიკა ორ ჯგუფად იყოფა: ყველაზე მრავალრიცხოვანია ძირეული ტერმინები, რომლებიც სიძველითაც გამოირჩევიან, ხოლო უფრო მცირერიცხოვანია სხვა ენათაგან მომდინარე ნასესხობანი.

ა. შაგიროვის დაკვირვებით, ადიღურ ენებში (ადიღეურსა და ყაბარდოულში) ნასესხობები ძირითადადად რუსული, არაბული, თურქული და სპარსული სიტყვებია, აგრეთვე ინტერნაციონალური ლექსიკა, რომელიც ამ ენებში რუსულის მეშვეობით შევიდა. აფხაზურისთვის ამ ენებს უნდა დაემატოს ქართველური (ქართული სამწიგნობრო ენისა და მეგრული) და ადიღური ელემენტები, ხოლო აბაზურისთვის – ყაბარდოულ-ჩერქეზულიდან მრავალრიცხოვანი ნასესხობები (შაგიროვი 1989: 3).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. შაგიროვის ამ დასკვნას დაზუსტება ესაჭიროება: კერძოდ, როგორც ადიღურ ენებში, ისე აფხაზურ-აბაზურშიც სპარსული და არაბული ლექსიკა არ არის ნასესხები უშუალოდ ამ ორი ენიდან, მათი სესხებისას შუამავალი ენების როლს ასრულებდნენ, ერთი მხრივ, თურქული და, მეორე მხრივ – ქართული ენები.

სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სახელწოდებანი, ანუ სომატური ტერმინები, დამოუკიდებელ სემანტიკურ ველს ქმნიან. ამ ველის შემადგენლობაში შედის როგორც ადამიანის, ისე სხვა ცოცხალ არსებათა სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები. ლექსიკის ამ ჯგუფის სპეციფიკა ის არის, რომ ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელების დიდი ნაწილი (“თავი”, “ტანი”, “სხეული”, “თვალი”, “ყური”, “გული”, “კუჭი” და სხვანი), არა მარტო აფხაზურ ენაში, არამედ მსოფლიოს ენათა უმრავლესობაშიც, გამოიყენება ცხოველთა სხეულის ნაწილების აღმნიშვნელიდაც, რასაც თავისი ობიექტური საფუძველი აქვს: ცოცხალ არსებათა დიდ ნაწილს მსგავსი ანატომიური

აგებულება აქვს და მსგავს ორგანოთათვის ენები ერთსა და იმავე სიტყვებს იყენებენ.

ამ თავში წარმოვადგენთ ადამიანის სხეულის ნაწილთა აფხაზური სახელწოდებების სტრუქტურული, სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგებს. ანალიზისას გათვალისწინებულია როგორც აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა, ისე სხვა აფხაზურ-ადილურ ენათა მონაცემები, აგრეთვე საჭიროების მიხედვით ვითვალისწინებთ ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ ენათა ფაქტებსაც.

ააჭგც “სიბრძნის კბილი”

ამ ტერმინში გამოსაყოფი ჩანს აა- კომპონენტი, ჰე სეგმენტის რაობა უცნობია, ც ძირი კი აფხაზურში აღნიშნავს “კბილს; ნისკარტს”.

აა-ხაფუცქია რწეხიანული იგგლოუ ახაფუც იახ-ძუბ ააჭგც “საღეჭი კბილების ბოლოში მდგარ კბილს სიბრძნის კბილი ჰქვია” (კვიწინია, 1997: 105).

აა-ხაფუც “საღეჭი კბილი”

ამ რთული ტერმინის პირველი კომპონენტია აა-, რომლის რაობა ჩვენთვის ცხადი არ არის. მეორე კომპონენტის შესახებ იხ. ქვემოთ.

აა-ხაფუც ხიუჭქია “პატარა საღეჭი კბილები” (კვიწინია, 1997: 106).

აღ-აუილა უატალაქია // აკიაღ-ქია // ა-კიაჭქია “სათესლე ჯირკვლები, Testis” პირველი ტერმინი ნეოლითიზმია და შექმნილია სამედიცინო ლიტერატურისათვის. იგი შესიტყვებაა: პირველი კომპონენტი ა-ღ-აუილა “სპერმატოზოიდი” კომპოზიტია, საღაც ა-ღ-ა “შამრი”, ა-უილა “თესლი”; მეორე კომპონენტის, სიტყვა ა-უატალა “ჯირკვალ”-ის შესახებ იხ. ქვემოთ. რაც შეეხება მეორე ტერმინს, სიტყვა ა-კიაღ-ქია-ს, მისი ფუძეა კიაღ-, -ქია კი ნივთის გრამატიკული კლასის მრავლობითი რიცხვის სუფიქსია. მესამე ტერმინი ნასესხებია მეგრულიდან (შდრ. მეგრ. ევაჯ-ი : ქართ. ყვერ-ი), როგორც ჩანს, ევფემიზაციის მიზნით და წარმოდგენილია ასევე მრავლობითი რიცხვის

ფორმით. შესაძლოა, სწორედ ამ ქართველურ ძირთან იყოს მატერიალურ კავშირში მეორე, საკუთრივ აფხაზური კიალ ფუძე.

პ-ბაჲ, ბზიფ. პ-ბჲა, აბაზ. ბჭა “ძვალი”

დასახელებული სამი ვარიანტიდან ფონემატური სტრუქტურის თვალსაზრისით არცერთის ფუძე არ არის ამოსავალი, ვინაიდან ისინი აგებულია CVC და CCV მოდელების მიხედვით, წინარე აფხაზურ-აბაზური ძირებისა და აფიქსთა თავდაპირველი მოდელი კი, როგორც ეს დაადგინა აკად. ქ. ლომთათიძემ, უნდა ყოფილიყო CV ან CVCV ტიპისა (ლომთათიძე 1976: 249).

რეალურად არსებული ვარიანტებიდან წინარე აფხაზურ-აბაზურ არქეტიპს ყველაზე მეტად აბჲური ბაჲ სახეობა უახლოვდება, თუმცა მას მაინც აკლია ბოლოკიდურა ხმოვანი. გარდა ამისა, აფხაზურ ვარიანტებში წარმოდგენილია მეორეული ლაბიალიზებული კ სპირანტი, რომელიც მომდინარეობს აბაზურ ენაში დღემდე შემორჩენილი ამოსავალი ჭ თანხმოვნისაგან (ლომთათიძე 1976: 95).

ამ გარემოებათა გათვალისწინებით ვვარაუდობთ, რომ ძვლის აღმნიშვნელად წინარე აფხაზურ-აბაზურ ენაში არსებობდა *ბაჭა არქეტიპი, რომელმაც დიალექტებში შემდეგი ცვლილებანი განიცადა: აბჲურ დიალექტში დაიკარგა ბოლოკიდურა ა ხმოვანი, ხოლო ბზიფურ კილოსა და აბაზურ ენაში ბ თანხმოვნის მომდევნო ა ხმოვანმა განიცადა რედუქცია; აბჲურსა და ბზიფურ კილოებში მოხდა ჭ თანხმოვნის სპონტანური გადასვლა კ თანხმოვანში.

რაც შეეხება საკვლევი ტერმინის მორფოლოგიურ სტრუქტურას, ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი:

მთავარ სხვაობას აფხაზურ და აბაზურ ვარიანტებს შორის ქმნის სახელის ფუძის “გაუფორმებლობა” აბაზურში და სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსის არსებობა აფხაზურ სახეობებში, რაც ზოგადი ტენდენციის ამსახველია. სწორედ ამ პრეფიქსის დართვისა და მასზე სიტყვათმახვილის გადანაცვლება შეიძლებოდა მიგვეჩნია აფხაზურ ვარიანტებში ბოლოკიდურა და ინტერკონსონანტური ა ხმოვნების გაქრობის მიზეზად, მაგრამ ამ მოსაზრებას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ ინტერკონსონანტური ხმოვანი რედუცირებულია აბაზურ ვარიანტშიც, სადაც სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი პრეფიქსი არც ამჟამად არსებობს და არც წარსულისათვის ივარაუდება. ამიტომ უფრო რეალური ჩანს, თუ ვივარაუდებთ, რომ ძვლის

აღმნიშვნელ ფუძეში ხმოვანთა ცვლილებები აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა ჩამოყალიბების შემდგომ მომხდარა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად.

პროფ. გ. როგავას აზრით, აფხაზურ სახეობაში ბა- ნივთის გრამატიკული კლასის გაქვავებული პრეფიქსია, ხოლო ჰ დაკავშირებულია ადიდურ ბაჭო || ბაჭა, ლ'აუბჭო სიტყვათა ჭა ძირთან. შესაბამისად, აფხაზურ-აბაზურ და ადიდურ ენათა ძირეული ელემენტებია კვ/ჭა სეგმენტები (როგავა 1975: 52) აფხაზურ სიტყვაში ნივთის გრამატიკული კლასის გაქვავებულ ბა-პრეფიქს გამოყოფს აკად. ქ. ლომთათიძეც, რომელიც ამასთანავე ერთმანეთთან აკავშირებს აფხაზურ ჰ ძირეულ თანხმოვანსა და ქართული ბა-ყვ-ი, ყვ-ლივ-ი, ჭანური ყვ-ილ-ი “ძვალი” ფუძეების კვ ელემენტს (ლომთათიძე 1961: 116).

ჩვენი მხრივ დაგაზუსტებთ, რომ დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს ყვლივი და ყვილი ფუძეების სეგმენტაცია, მაგრამ ის კი უეჭველი ჩანს, რომ, ერთი მხრივ, ძვლის აღმნიშვნელ ამოსავალ აფხაზურ-აბაზურ *ბა-ჭა ფუძეშიც, რეალურად არსებულ ადიდურ ბა-ჭა და ქართულ ბა-ყვ-ი სახელშიც გამოსაყოფია ნივთის გრამატიკული კლასის ბა- ნიშანი, ხოლო, მეორე მხრივ, დგინდება ორმხრივი კანონზომიერი ბგერათშესატყვისობანი აფხაზურ-ადიდურ და ქართველურ ენებს შორის: აფხაზ.-აბაზ. ჭა: ადიღ. ჭა: ქართველ. ყვ//ყუ- ქართულ ენაში ეს ძირი გვაქვს ბა- კლასნიშნის გარეშე ყვ-ლ-ივ სიტყვაში, ხოლო ხსვა გრამატიკული კლასნიშნით – ნი-და-ყვ სიტყვაში (ლომთათიძე, 1961: 116).

ქართულში სიტყვის (იდაყვი) ძირია – დაყ-, რომლის შესატყვისად ზანურში მოსალოდნელია დოყ- → - დუყ- ფუძე. ჭანურში ყ-ს წინ ფონეტიკურად განვითარდა რ, მეგრულში კი ყ → ც: დუყ-ი → დუ-ი. ჭანურში დოუ- და -დული-სთვისაც ამოსავალია -დუყი. პირველი ყ-ს რეფლექსის დაკარგვითაა მიღებული, მეორე კი ყ-ს გამჟღერებით. არც დაყ- ფუძეა მარტივი. იდა-ყვ ყვ-ლ-ივ ფუძეებთან შეპირისპირებით – ყვ- ძირი გამოიყოფა (გელენიძე, 1970: 135).

ჰავათ, აკამგრშმა ეიცშმ უაჲა ბაკ ულაძამი “ჰაიტ, ლოკოკინასავით მეტი ძვალი არ გაქვს” (ნართები, 2000: 27).

აბაკ ახ-ფწოუ ეიფგზშუა “ძალიან ჭკვიანი ადამიანი; ყველასთვის ცნობილი, პატივსაცემი ადამიანი; ხელმარჯვე ადამიანი” (ზედმიწევნით: “ვინც ერთმანეთს არგებს გადატეხილ ძვლებს” (კასლანძია, 1995: 18)

უი აბავ ალამ “ამის გაკეთება მარტივია, იოლია” (კასლანძია, 1995: 18), ზედმიწევნით: “ამას ძვალი არა აქვს, ძვალი არ ურევია”.

იბავ იციგლასუბ “ის (კაცი) ძალიან სწრაფია, ხელმარჯვეა” (კასლანძია, 1995: 18), ზედმიწევნით: “მისთვის თავისი ძვალი მსუბუქია, მას ძვალი ემსუბუქება”

ლებავ ლტიგზ “ის (ქალი) ფეხმძიმედ არის” (კასლანძია, 1995: 18), ზედმიწევნით: “მას (ქალს) თავისი ძვალი არ ეკუთვნის”.

იბავ იცია თაფსომტ “თავს ძალიან უხერხულად გრძნობს” (კასლანძია, 1995: 18), ზედმიწევნით: “მისი ძვლები მის კანში იყრება, მის კანში ცვივა”

პ-ბაკლაშმა, ბზიფ. პბკალაშმგ, პბკგლაშმგ “ძვლის ტვინი”

ერთი შეხედვით, აბჟურ და ბზიფჟრ ფორმებს შორის სხვაობას მეტათეზისის მოქმედება იწვევს. აფხაზურში კი ძირითადად გადაიტანება ისეთი მარცვლები, რომლებიც შეიცავენ სონორულ თანხმოვნებს (ბდაჟბა, 2006: 120). მაგრამ რეალურად თანხმოვანთა მეტათეზისი გვხვდება მხოლოდ ერთ-ერთ ბზიფჟრ ვარიანტში (კლ > ლ), სხვა შემთხვევებში კი ვარიანტებს შორის სხვაობას განსხვავებული მიზეზი უნდა ჰქონდეს.

სიტყვის პირველი ნაწილი ბაჟ//ბკა, რა თქმა უნდა, იგივეა, რაც ზემოთ უკვე განხილული ძვლის აღმნიშვნელი ფუძეა, მეორე ნაწილის ყველაზე არქაული სახეობა კი შემოუნახავს აბჟურ დიალექტს ლაშმა სეგმენტის სახით (იგი იცავს ამოსაგალ CVCV ტიპს), მაგრამ მისი სემანტიკა და წარმომავლობა მაინც გაურკვეველი რჩება, ვინაიდან აფხაზურ-აბაზურ ენობრივ სივრცეში ლაშმა ფუძე ტვინის აღმნიშვნელ დამოუკიდებელ სიტყვად არ დასტურდება.

პ-ბლა, ბზიფ. პ-ბლ, აბაზ. ბლა // ბლგ “ზურგი”

ფონემატური სტრუქტურის თვალსაზრისით ცალკე დგას აბაზური ბლგ ვარიანტი, რომელიც ბლა სახეობისაგანაა მიღებული ა ხმოვნის ნეიტრალურ ხმოვნად გარდაქმნის გზით. თავის მხრივ, არც ბლა ვარიანტია პირველადი, ვინაიდან აგებულია CCV მოდელის მიხედვით, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინარე აფხაზურ-აბაზური ენისათვის დამახასიათებელი არ იყო. ამიტომ გასარკვევია, რა ფონემატური სტრუქტურა უნდა ჰქონდა ამ სიტყვის არქეფორმას. არსებობს ამ საკითხის გადაწყვეტის ორი შესაძლებლობა:

ა) თავდაპირველად უნდა ყოფილიყო CV მოდელის მარტივი და ძირი, რომელსაც მოგვიანებით შეიძლებოდა დართვოდა ბ თანხმოვანი. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ აფხაზურ-ადიღურ ენებში ბაგისმიერთა გაჩენა სიტყვის დასაწყისში ჩვეულებრივი მოვლენაა “Древними, восходящими к эпохе абхазо-адыгского языкового единства, признаются широко распространенные во всех пяти языках консонантные комплексы с губно-губными b, p в анлауте” (კუმახოვი, 1967: 81).

ბ) თავდაპირველად უნდა ყოფილიყო CVCV მოდელის ბაზა არქეტიპი, რომელშიც ძირი იყო და, ხოლო ბა- ნიგთის გრამატიკული კლასის ნიშანს წარმოადგენდა. დროთა მანძილზე რედუქციის შედეგად ამოვარდა პირველი ა ხმოვანი და ანლაუტში წარმოიქმნა მეორეული ბლ თანხმოვანთკომპლექსი. ამჯერად ჩვენ გვიჩირს ამ ორი მოსაზრებიდან რომელიმეს მტკიცება. საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

საყურადღებოა, რომ ადიღურ ენებში არსებობს სიტყვა ბლა “გულმკერდი” (ამ ენებში ზურგი არის ჩგ. აბდოკოვი 1983: 73), რომელიც ფონემატური სტრუქტურის მხრივ მაქსიმალურად ახლოს დგას საანალიზო აფხაზურ-აბაზურ ფუძესთან და აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ ფუძე ბლა საერთო აფხაზურ-ადიღური ერთეულია. არსებითია ისიც, რომ ფუძეში პირველი ა ხმოვნის რედუქცია მომხდარი ჩანს არა წინარე აფხაზურ-აბაზურ, არამედ საერთო აფხაზურ-ადიღური ენის არსებობის დონეზე.

რაც შეეხება სემანტიკურ სხვაობას აფხაზურ-აბაზურ (“ზურგი”) და ადიღურ ენებს (“მკერდი”) შორის, იმ მოვლენის ახსნა, როდესაც ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ახლომონათესავე ენაში განსხვავებული სემანტიკით არის წარმოდგენილი, შეიძლება ფუძე-ენის დიალექტებში, ან წინარე ენის ბაზაზე შექმნილ ენებში სემანტიკის გადაწევით (შაყრილი 1968: 24).

ჩვენი აზრით, ამოსავალ წინარე აფხაზურ-ადიღურ ფუძეს თავდაპირველად უნდა პქონოდა სწორედ ზურგის სემანტიკა, რაც შემოინახეს აფხაზურმა და აბაზურმა ენებმა, ხოლო მნიშვნელობა უნდა გადაწეულიყო ადიღურ ენებში (“ზურგი” > “მკერდი”).

იბლა ფწიოუბ “ზარმაცია, მუშაობა არ უყვარს” (კასლანძია, 1995: 19)

იბლა ფწიანგ დგყოუბ “ჩადენილის გამო ძალიან რცხვენია” (კასლანძია, 1995: 19)

იბლა ღილიოუბ “ხარმაცია, მუშაობა არ უყვარს” (კასლანძია, 1995: 19)

აბლა იაუდტ “დაეხმარნენ, დახმარება მიიღო” (კასლანძია, 1995: 20)

იბლა აკ კზდგგლოუპ “რაღაც უსოამოვნება ელის, წინათგრძნობა აქვს” (კასლანძია, 1995: 20).

ა-ბზ // პ-ბგზ, აბაზ. ბგზ // ბზგ “ენა”

აფხაზურ-აბაზურ ვარიანტებთან ფონემატური სტრუქტურის მხრივ

ახლოს დგას ადილეურ-ყაბარდოული ბზა და უბისური ბზა ფორმა. აფხაზურ-ადილურ ფორმათა შედარება საფუძველს ქმნის აღვადგინოთ წინარე აფხაზურ-ადილური *ბაზა არქეტიპი, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ნახურ და დაღესტნურ ენებში წარმოდგენილ ფუძეებს: ჩეჩნურ მუოტ; ინგუშურ მოტ; ბაცბურ, ხუნძურ მაწ, ანდიურ მიწ, დიდოურ მეც, ლაკურ მაზ, დარგუულ მელზ, ლეზგიურ მეზ, თაბასარანულ მელძ სახელებს.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა უმრავლესობაში ენის აღმნიშვნელი ფუძის ანლაუტში წარმოდგენილია ბაგისმიერი ბ, მ თანხმოვნები, რომლებიც, შესაძლოა, ნიგოსის გრამატიკული კლასის გაქვავებული ექსპონენტები იყოს.

რაც შეეხება აფხაზურ-აბაზურ სახეობებს, მათში გამოსაყოფი ჩანს ამავე ფუნქციის მქონე ბა- პრეფიქსი, ძირად კი ზა სეგმენტი უნდა მივიჩნიოთ. აფხაზურ-აბაზურ ვარიანტებში ფიქსირებული ნეიტრალური სმოვანი ა სმოვნისაგან მომდინარეობს. ამ სიტყვის მეშვეობით არის ნაწარმოები მრავალი სხვა სიტყვა, მაგ.: ა-რ-ბზა-რა “ალოკვა”, ა-ბზ-ეილაჭ-ზცი-რა “ჩლიფინი” და ა.შ.

იბზ დუუპ “ყბედია” (კასლანძია, 1995: 21), ზედმიწევნით: “დიდი ენა აქვს”.

უბზ თაკგ “ზედმეტს ნუ ლაპარაკობ” (კასლანძია, 1995: 21), ზედმიწევნით: “შენი ენა შიგ [პირში] ჩაკეტე”.

უბზ სელოუმწან “ნუ მიშლი, ჭკუას ნუ მასწავლი” (კასლანძია, 1995: 21), ზედმიწევნით: “შენს ენას ნუ მირევ, ჩემში ნუ ურევ”.

იბზ ათრა თეწიტ “ბილწსიტყვაობს; ბევრს ლაპარაკობს” (კასლანძია, 1995: 21), ზედმიწევნით: “მისი ენა ბუდიდან გამოვიდა”.

პ-ბლა//პ-ლა, აბაზ. ბლა//ლა “თვალი”

დასახელებული ვარიანტებიდან ყველაზე ძველ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ბ თანხმოვნიანი ბლა სახეობა, რომელიც აბაზურშია დაცული. ამ ვარიანტისაგან აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის პერიოდში წარმოიქმნა გამარტივებული ლა სახეობა, რომელიც ასევე აბაზურს შემოუნახავს. ორივე აფხაზური

ვარიანტი შედარებით ახალია და მიღებულია უკვე არსებულ ბლა > ლა სახეობებზე სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსის დართვითა და ამ თავსართზე მახვილის გადმონაცვლების გზით. საინტერესოა, რომ აღნიშნული პრეფიქსის დართვამ მარტივ ლა ფუძეზე აფხაზურში წარმოშვა ომონიმის შესაძლებლობა ძალის აღმნიშვნელ ლა > ა-ლა ფუძესთან, რაც ენამ თავიდან აიცილა ამ ორ სახელში მახვილის სხვადასხვა ადგილას დასმით: ა-ლა აფხაზურად არის “თვალი”, ხოლო ა-ლა ნიშნავს ძალს, აბაზურში კი სახელთა ზოგადი ფორმის არარსებობის გამო ფუძე ლა ნიშნავს როგორც თვალს, ისე ძალს.

რა თქმა უნდა, აბაზურის ომონიმიაც და აფხაზურის მახვილის ადგილით განსხვავებულობაც სრულიად ახალი ფაქტია და არ სცილდება იმ დროულ მონაკვეთს, როცა წინარე აფხაზურ-აბაზურ ენაში ბლა ფორმის გვერდით გაჩნდა ლა ვარიანტი.

გ. როგავა თვალის აღმნიშვნელ აფხაზურ-აბაზურ ბლა ფუძეს სამართლიანად აკავშირებდა ადიღეურ-ყაბარდოულ ნა და უბისურ ბლა ფუძეებთან. მისი ვარაუდით, ადიღური ნა ვარიანტი მომდინარეობს ლა სახეობისაგან და არის სონანტ ლ-ს დაკარგვის შედეგი, თუმცა სხვა შემთხვევებში სონანტი ლ სიტყვის საწყის პოზიციაში შეცვლილია ა ფონემით. ამიტომ მკვლევარს უფრო რეალურად მიაჩნია ბლ კომპლექსის სონანტ ნ-ში გადასვლა: *ბლა→ *ბნა→ *მნა→ნა (როგავა 1975: 50).

ა. შაგიროვის აზრით, (ა)-ბლა ფუძე უკავშირდება აფაზურ-აბაზურ (ა)-ბარა “ხედვა” ზმნის ბა ძირს, მაგრამ იგი იქვე აღნიშნავს, რომ არ ღირს ტრუბცევის აზრის უარყოფა, რომლის მიხედვითაც (ა)-ბლა უახლოვდება ნახურ-დაღესტნური ენების მასალას: ლეზგ. ვილ, უდ. პულ, ხუნდ. ბერ, დარბ. ხული... (შაგიროვი, 1977: 276)

დაღესტნურ ფორმებში ძირისეულ ამოსავლად ითვლება ლ. არ არის გამორიცხული, რომ დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღურ-უბისურ მასალაში ლ ფონემა მომდინარეობდეს რ-საგან.

ნახურ ენებში და დაღესტნური ენების ნაწილში რ მკაცრად არის დაცული, ხოლო სხვა ენებში რ-ს შეეძლო მიეცა ლ, შემდგომ ლ-მ ადიღურ ენებში, შესაძლოა, მოგვცა ნ (შაგიროვი 1977-I: 276).

დაღესტნურ ენათა მონაცემების გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ თვალის აღმნიშვნელ აფხაზურ-აბაზურ ფუძეში წარმოდგენილი თავიდურა ბ

თანხმოვანი გრამატიკული კლასის გაქვევებული ნიშანი იყოს. გარდა ამისა, ნათელია ისიც, რომ ვარიანტი ბლა არსებობდა არა მარტო აფხაზურ-აბაზური, არამედ წინარე აფხაზურ-ადიღური ერთობის დონეზეც კი, თუმცა მისი თავდაპირველი ფორმა ალბათ *ბალა იყო.

აბგარხაფუც “ეშვი”

რთული სიტყვაა. პირველი კომპონენტია თურქულიდან ნასესხები ა-ბჯარ “იარაღი”, მეორე კომპონენტია ხაფუც (მის შესახებ იხ. ქვემოთ). შესაძლებელია, ეშვის სახელწოდება “აბგარხაფუც” კბილის ფორმის იარაღის რომელიმე სახეობასთან (საჩხვლეტთან) მსგავსების შედეგია.

აბგარხაფუცია კ-ცურაკ “ორი ცალი ეშვ-ი(-ები)” (კვიჭინია, 1997: 105)

ა-ჯ “ქალის სასქესო ორგანო, Vulva”

მარტივფუძიანი სახელია. მასში გამოიყოფა მხოლოდ სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა-პრეფიქსი და სახელი ცალთანხმოვნიანი ძირი. ფუძის სიმარტივე სიტყვის სიძველეზე მიუთითებს.

ა-გიაწია აბე., ა-გიგწი ბზიფ., *გიაჭია აბაზ. “ღვიძლი”

დასახელებულ ფორმათაგან აბაზურში *გიაჭია სიტყვა დამოუკიდებლად არ იხმარება, მაგრამ იგი ფიგურირებს კომპოზიტში გიაჭია-რგფჲა “საქონლის გულ-ღვიძლი” (ზედმიწევნით: “ღვიძლ-ფილტვი”), რაც ადასტურებს ამ სიტყვის ოდინდელ არსებობას აბაზურში. ამჟამად ამ ენაში ღვიძლის აღსანიშნავად გამოიყენება მარტივი წა ფუძე. ა. შაგიროვის ვარაუდით, აფხაზ. ა-გიაწია და აბაზური წა შეესატყვისება ადიღურ ს,იგ ძირს: ლაბიალიზებულ სისინ-შიშინა ს,ი სპირანტს აფხაზურში შეესაბამება წი, აბაზურში ჭი < წი (შაგიროვი 1982: 39).

ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ აბაზური წა ძირის დაკავშირება დანარჩენ ძირებთან პრობლემურია და დამატებით იმის ახსნას მოითხოვს, თუ რატომ მოგვცა ერთი და იმავე ადიღური ძირის სისინ-შიშინა თანხმოვანმა აფხაზურ-აბაზურ კილოებში როგორც ლაბიალიზებული, ისე არალაბიალიზებული შეესატყვისები. უფრო ლოგიკური ჩანს წა ძირის წარმოშობის სხვა ახსნის დაძებნა: იგი ა-გიაწია // გიაჭია ძირთან მატერიალურ კავშირში არ უნდა იყოს.

მთლიანად სახელი ა-გიაწია და მისი ა-გიგწია // *გიაჭია ვარიანტები, ჩვენი აზრით, კომპოზიტური აგებულებისაა და პირველ კომპონენტად შეიცავს გულის აღმნიშვნელი ფუძის ამოსავალ *გია ვარიანტს (იხ. ქვემოთ).

რაც შეეხება ბზიფური დიალექტის ა-გიგწია ვარიანტს, იგი ა > გ ცვალების შედეგია და მას შემდეგაა მიღებული, რაც ჩამოყალიბდა ეს დიალექტი.

იგიაწია ჟიბოუპ “ჭკუანაკლულია, ბრიყვია” (კასლანძია, 1995: 27), ზედმიწევნით: “სქელი ღვიძლი აქვს”.

სგიაწია თიხიტ “შემაღონა, ბევრი უსიამოვნება მომაყენა” (კასლანძია, 1995: 27), ზედმიწევნით: “ღვიძლი ამომიღო”.

ა-გია, აბაზ. გია „გული“

გულის აღმნიშვნელი გია ფუძე მატერიალურ კავშირშია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან. გიორგი როგავა მიიჩნევს, რომ საერთო აფხაზურ-ადილეური სიტყვა ნაწარმოებია გია ← *გულ ← *გუ (როგავა, 1980: 183).

ამავე სემანტიკის ფუძეებთან და საერთო იბერიულ-კავკასიურ ფუძედ მიიჩნევა პ. უსლარიდან მოყოლებული: შდრ. ქართ. გული, ზან. გურიებული, სვან. გურიებული, გვილდ, ადილ-ყაბ. გია, ჩეჩნ.-ინგუშ. დუობ, ბაცბ. დოპ, ხუნბ. რ-ა-პ, ანდ. როკვო; ლაპ. დაპ; დარგ. ურკი; ლეზბ. რიპ; თაბას. ურკი; უდ. უბ (უსლარი 1887: 127 როგავა 1975: 48; ჩიქობავა 2008-IV: 82, ჩუხუა 2008: 311...).

მიიჩნევა, რომ ამ აფხაზურ-აბაზური სიტყვის ძირია გ თანხმოვანი, ხოლო ლაბიალიზაციის მომენტი და ნეიტრალური ხმოვანი ქართველურ ენათა -ულ, -ურ დეტერმინანტ სუფიქსთა ანალოგიურია (ბლაუბა 1948: 39).

აფხაზურ-ადილურ და ქართველურ ენათა გულის აღმნიშვნელ ფუძეთა შედარება ნახურ და დაღესტნურ მასალასთან გვიჩვენებს, რომ ამჟამად სერიოზული სხვაობაა მორფოლოგიურ სტრუქტურაში: აფხაზურ-ადილურ და ქართველურ ენებში ძირი შეიცავს დეტერმინანტ სუფიქსებს, ან ტრანსფორმირებულ ვარიანტებს, ხოლო ნახურ და დაღესტნურ ენებში აშკარად გამოიყოფა ნივთის გრამატიკული კლასის გაქვავებული პრეფიქსები: ბ-, დ-, რ-. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ წინარე იბერიულ-კავკასიურ ენაში ამ ენის დაშლის წინა პერიოდში იმ დიალექტებში, რომლებიც საფუძვლად დაედო, ერთი მხრივ, ქართველურ ენებსა და, მეორე მხრივ, აფხაზურ-ადილურ ენებს, საანალიზო ფუძე უკვე აღარ შეიცავდა გრამატიკული კლასის ექსპონენტებს,

ხოლო დანარჩენ დიალექტებში, ოომლებიდანაც შემდგომ ჩამოყალიბდა ნახური და დაღესტნური ენები, გრამატიკული კლასის ნიშნები შერჩენილი იყო. სავარაუდოა, ყველა აფხაზურ აფაზურ-ადიდურ ენაში დეტერმინანტი სუფიქსები გაჩენილი უნდა იყოს წინარე აფხაზურ-ადიდური ენის დაშლამდე.

საანალიზო ფუძეს აფხაზურ-აბაზურში ამჟამად შეძენილი აქვს ახალი მნიშვნელობაც: “შუაგული, ცენტრი; შუაში, ცენტრში”.

სათანეი გააშა ლგიგ რთუნჩნენ დნახენჭიროტ აკნეცა “სათანეი გუაშა დაწყნარდა (გული დაიწყნარა) და სახლში დაბრუნდა” (ნართები.., 2000: 23)

იგი ხტირ “მადა მოუვიდა”, ზედმიწ.: “გული მოეხადა”.

იგი კაშახტ “იმედი დაკარგა”, ზედმიწ.: “გული წაექცა”.

იგი იხაშმთიტ “თავისი უბედურება ცოტაოდენ დაავიწყდა, ტკივილი/საწუხარი დაიამა”, ზედმიწ.: “თავისი გული დაივიწყა”.

სგი ყავწერ “დამაწყნარა, გამამხნევა”, ზედმიწ.: “გული გამიკეთა”.

იგი ეძყარამ “თავს კარგად არ გრძნობს, სისუსტეს გრძნობს”, ზედმიწ.: “მისი გული მისი ტოლი არ არის”.

იგი კბახტ “ეჭვი შეეპარა, შეყოფმანდა”, ზედმიწ.: “მისი გული გაორდა”.

სგი აწიგმლ ალოუპ “რაღაც არ მასვენებს, ცუდი გრძნობა მაქვს”, ზედმიწ.: “გულში ლურსმანი მაქვს”.

იგი ცეიტ “შეეშინდა”, ზედმიწ.: “გული წაუვიდა”.

იგი ბელუეტ “კეთილი, შემბრალებელია”, ზედმიწ.: “მისი გული იწვის”.

უი აგი სგმამ “მისი თავი არა მაქვს, მისთვის არ მცალია”, ზედმიწ.: “მისი გული არა მაქვს”.

იგი იალოუპ “ფეთქებადი, მძიმე ხასიათი აქვს”, ზედმიწ.: “მისი გული მტერია”.

იგი იჩმანუპ “ფრთხილია”.

იგი მაჭხეტ “ავად გახდა; გული წაუვიდა” (კასლანბია, 1995: 29-41), ზედმიწ.: “მისი გული დაცოტავდა”.

ა-გიგბუგ'ნაცია “შუათითი”

კომპოზიტია, ოომელიც შედგება ა-გიგ “გული” + ბუ (ა-ბუა-რა “შუა”) + ა-ნაცია “თითი” ელემენტთა შეერთების გზით.

აგილურნაცია იახაზ ამაციაზ “ბეჭედი, რომელიც შუათითზე ეპეთა”
(ნართები, 2000: 81)

ა-გილურნა აბჟ., ა-გილურნა ბზიფ. “ქალის ძუძუ”

ამ კომპოზიტური აგებულების სიტყვაში პირველ კომპონენტად
გამოყენებულია “გულის” აღმნიშვნელი გზე ფუძე.

დანარჩენი ნაწილის რაობა საცმაოდ ბუნდოვანია. შესაძლებელია,
თავდაპირველად გზე ფუძეს მოსდევდა “ბრუნვის, ტრიალის, ამობრუნების”
აღმნიშვნელი ჰი ძირი (შდრ.: აა-ჸი-რა “მობრუნება, მოტრიალება”, ა-ხე-ნ-ჸი-რა
“დაბრუნება, დატრიალება; ამობრუნება, ამოტრიალება”), ხოლო ფ თანხმოვანი
ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს განვითარებული. ასეთ ვარაუდს სემანტიკური
დაბრკოლება არ უნდა ახლდეს: ქალის მკერდის ამობრუცულობას შეეძლო
ხელი შეეწყო მისი ამობრუნებული გულის სახით გააზრებისათვის. საკითხი
შემდგომ კვლევასა და დამატებით არგუმენტირებას მოითხოვს.

ფში აფშეს ლგიურნა ნეიჭმალკიტ, ახა ილზე მჩამიტ “ერთ-ერთმა ქალმა
ბავშვს ძუძუ პირში ჩაუდო, მაგრამ ვერ მოითმინა” (ნართები, 2000: 24)

აჟურა – ლაად ირათოუ, ჸიგზბა მურკა, ემშიაჭიგმწა (აფში ლგიურნა)
“ბატონსაც სჭირდება და მონასაც, მაგრამ არც დანით იჭრება და არც
სუფრაზე იდება” (გამოცანის პასუხია: ქალის მკერდი) (გულია, 1985: 189)

ა-გილურნა აბჟ., ა-გილურნა ბზიფ. “მახვილისებრი მორჩი”

კომპოზიტური აგებულებისაა, შედგება ა-გილურნა “მკერდი” + ა-ლურნა
“ყური” ფუძეებისაგან. სახელის მოტივაცია უნდა ემყარებოდეს იმ ფაქტს, რომ
მკერდის ძვლის ქვედა ნაწილი ფორმით მოგრძო და, ალბათ, ამის გამო თუ
არის მიმსგავსებული ყურის ფორმას. ბზიფური ვარიანტი ფ თანხმოვნის
მეტათეზისის შედეგია.

ა-გილურნა აბჟ., ა-გილურნა ბზიფ. “მახვილისებრი მორჩი
გულმკერდის ძვლის ყველაზე პატარა ნაწილია” (კვიტინია, 1997: 27).

ა-გილურნა აბჟ., ა-გილურნა ბზიფ. “გულმკერდის ქვედა ნაწილი”

კომპოზიტური აგებულებისაა. მასში უდავოდ გამოიყოფა ა-გილურნა
“მკერდი” სახელის ფუძე, მაგრამ მომდევნო ნაწილის რაობა ასე ცხადი არ არის.

შესაძლებელია, წალარა სეგმენტი მიღებული იყოს წაყა “ქვეშ, ქვემოთ, ქვემოთკენ” ზმინზედისაგან პოლიფუნქციური -რა სუფიქსის დართვით (სემანტიკა: ”მკერდის ქვემოთი”), თუმცა ამ ვარაუდს ის დაბრკოლება აქვს, რომ ასახსნელი რჩება **ყ > ღ** ფონეტიკური ცვლილების მიზეზი.

ა-გიგ შმცე “მკერდი”

როული ფუძეა. პირველ კომპონენტად გამოდის “გულის” აღმნიშვნელი გიგ ფუძე, მომდევნო ნაწილის რაობა გასარკვევია. აბაზურში არსებობს გიგჩვ ვარიანტი, რომელიც ინტენსიური შმ თანხმოვნის აფრიკატიზაციითაა წარმოქმნილი.

ფჰიგსკ ლგიგ შმცე ნეიჭმალკატ, ახა ილზგმუჩადტ “ერთმა ქალმა თავისი მკერდი ჩაუდო პირში, მაგრამ ვერ მოითმინა” (ნართები.., 2000: 24).

ა-და “ძარღვი”

მარტივი ძირია, რომლის ეტიმოლოგია გამჭვირვალე არ არის.

აშა იცაშმა ადა იალაგულომ “გამოსაშვები სისხლი ძარღვებში არ ჩერდება” (გულია, 1985: 145).

ა-დაშმ “მყესი”

კომპოზიტია: ა-და “ძარღვი” სიტყვისა და ა-შმ-კია-კია “თეთრი” ზედსართავი სახელის ძირისეული შმ თანხმოვნის შეერთების გზითაა მიღებული (ა-შმ-კია-კია ზედსართავ სახელში რედუქტიცირებული კია ელემენტი, როგორც ქ. ლომთათიძემ დაადგინა ფერის ინტენსიურობას გამოხატავს (იხ.: ლომთათიძე, 1940: 115-135).

საყურადღებოა, რომ თეთრი ფერის აღმნიშვნელი იგივე ძირი სხვა კომპოზიტიც გვხვდება: ა-ხგ-შმ “ქერა” (ზედმიწევით: “თეთრი თავი”). მთლიანობაში მყესის აღნიშვნა როგორც თეთრი ძარღვისა ლოგიკურია, ვინაიდან მყესი მართლაც თეთრი ფერისაა.

აშხია ადაშმ “ქუსლის (აქილევსის) მყესი” (კვიშინა, 1997: 95).

ა-დიახ-ცართა “უპანა ტანი”

რთული ტერმინია. შედგება ა-დიგ “მინდორი” ფუძისა და ახ~ “-კენ” თანდებულისგან, რომელთა შერწყმაც გვაძლევს ზმინზედას “გარეთ”. ეს ზმინსართი საანალიზო სიტყვაში მიერთებულია ა-ცარა “წასვლა” ზმინს ფუძეზე, ხოლო -თა ლოკალური მნიშვნელობის მქონე სახელების მაწარმოებელი სუფიქსია. მთლიანობაში ევფემისტური ტერმინი ა-დიახ-ცართა ზედმიწევნით ნიშნავს “გარეთ გასასვლელ ადგილს; გარეთ გასაგალს” (შდრ. ქართ. ევფემიზმები: ტანში გასვლა, განავალი).

ა-ვანგზა “ელენთა”

სახელში გამოიყოფა გვერდის აღმნიშვნელი გა ძირი (შდრ. ა-ვა-რა “გვერდი”), ხოლო დანარჩენი ნაწილების რაობა შემდგომ ძიებას მოითხოვს.

ლაგი-ლაცი-რუსური რუსურა ავანგზა ცჰარაჟიშიარა აუან “გუგასა და ქუთუთოს შორის ელენთა შუამავლობდა” (აგრძა ოლდა – ზ. ეშერა).

ა-ვარა “გვერდი”

ამ ფუძეს აბაზურში შეესატყვისება ძარა ფონეტიკური ვარიანტი. როგორც აკად. ქ. ლომთათიძემ დაადგინა, არც აფხაზური სახეობაა თავდაპირველი და არც აბაზური ვარიანტი. ორივე მომდინარეობს დღეს უკვე არარსებული *ძიარა ფორმისაგან, რომელშიც ამოსავალი *ძი ფონემა დაიშალა ძ თანხმოვნად და ლაბიალიზაციის მომენტის გაფონემების გზით წარმოქმნილ ვ თანხმოვნად. ახალი ფონემებიდან ძ გაბატონდა აბაზურში, ხოლო ვ – აფხაზურში (ლომთათიძე 1944: 33). სიტყვა ა-ვარა –ში არსებული ვ ბგერა ჩამოყალიბებული ჩანს თვით აფხაზური ენის ფონეტიკური სისტემის ნიადაგზე (ლომთათიძე 1944:32). ა-ვარა // ძარა ფორმებში გამოსაყოფია პოლიფუნქციური -რა სუფიქსი. საყურადღებოა ისიც, რომ აფხაზურ-აბაზურ ვა // ძა < *ძია ძირს უბისურ ენაში შეესაბამება აბაზურის ანალოგიური, იმავე მნიშვნელობის მქონე ძა ძირი, ხოლო ადილურ ენებში წარმოდგენილია ცზალ’ა “ნეკნი” ფუძე.

როგორც გ. როგავა ვარაუდობდა, აფხაზურ-აბაზური ენების მონაცემების საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადილურ ენებში ფუძისეული თანხმოვანი ც | ძ(←ც) არის დელაბიალიზებული აფრიკატი: ადიდ. ცზა ← *ჩიზა, აგრეთვე უბის. ძა ← *ძია (როგავა 1975: 51).

სუვარა სუბურატ “გვერდი მტკივა”.

ა-გაწერს აბე., ა-გაკუც ბზიფ. “ნეპნი”

ფუძეში გამოსაყოფია გვერდის აღმნიშვნელი ვა ძირი. რაც შეეხება წეს (შდრ. აბაზ. ძა-წეს “ნეპნი” < ძა “გვერდი” + წეს) და კუც სეგმენტებს, მათი წარმომავლობა და სემანტიკა ნათელი არ არის, თუმცა ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ სეგმენტში უნდა მონაწილეობდეს -ს > -ც სუფიქსი.

მ. ჩუხუა აფხაზურ ა-გაწერ | ← ა-გაკუც “გვერდის ძვალი” სახელს ადარებს ქართველურ სიტყვას “ნეპნი”. მისი მოსაზრებით, საერთო ქართველური *კუცა ლექსემის შესატყვისი ჩანს აფხაზური ა-წიცა “ჭიქა”. ეს უკანასკნელი მიღებულია ა-კიცა არქეტიპისგან (ჩუხუა, 2000-2003: 126). ამგვარი დაკაგშირება სადაც ჩანს.

ივაწარაქია იდგროცხურებული “ნეპნები დაუთვალეს, სცემებს” (კასლანძია, 1995: 25).

ა-ზორა “ნაღვლის ბუშტი”

ამ სიტყვის პირველი კომპონენტის (აზ) შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ, რაც შეეხება თრა-ს, იგი ადგილის, სათავსოს აღმნიშვნელი სუფიქსია. ტერმინი ზედმიწევნით ითარგმნება როგორც “ნაღველის ადგილი, სათავსო”.

აზორა აზ ზოგმწუა აყალარა იშიართოუ ჩუმაზაროუბ “ნაღვლის ბუშტში ნაღვლის შეკავება საშიში დაავადებაა” (კვიწინია, 1997: 119).

ა-ზქია ”ზურგი”

ბ. ჯანაშია თავის “აფხაზურ-ქართულ ლექსიკონში” აღნიშნავს, რომ სიტყვა წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით და არა აქვს მხოლობითი რიცხვის ფორმა (pluralia tantum) (ჯანაშია 1954: 112). ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ფუძეში არის მრ. რ. ნიშანი -ქია, ხოლო საანალიზო სახელთან სინტაქსურ კავშირში შემავალ სიტყვებში ზურგის აღმნიშვნელად თავს იჩენს მრავლობითი რიცხვის კუთვნილებისა და პირ-კლასის ნიშანი -რ: აზქია რ-ეარხარა “ზურგის შექცევა” (ზედმიწ.: “ზურგები მათი შექცევა”). ამდენად ძირი ზ თანხმოვანია, მაგრამ ქ. ლომთათიძის მიერ დადგენილი ფუძეთა და აფიქსთა თავდაპირველი მოდელის მიხედვით (ლომთათიძე 1976: 249) უნდა აღდგეს ამოსავალი CV სტრუქტურის *ზა არქეტიპი.

ჩმადაშმ “ზქიგშმ” “თეთრი ვირი თეთრი ზურგით” (გულია, 1985: 190).

იზქია იკუდგრჩჩალოვატ “მას ზურგს უკან დასცინიან” (კასლანძია, 1995: 48).

ა-თაჭკიაზმ “მუშტი”

იშვიათად გვხვდება ა-თაჭკიაზმ ვარიანტიც. ფუძის სტრუქტურა და ამოსავალი სემანტიკა ცხადი არ არის. საკვლევია აგრეთვე ა-თაჭკიაზმ და ა-თაჭკიაზმ სახეობათა პირველადობა-შემდგომადობის საკითხი.

იანაკუმ თაჭკიაზმ “როდესაც არ არის საჭირო, მუშტია”.

ა-დაჟია “სწორი ნაწლავი”

ფუძის სტრუქტურა ცხადი არ არის. მოითხოვს დამატებით კვლევას.

ა-დაჟია იჭმიხიტ “რაც ჭამა, არაფერი შეერგო (აღებინა)”, ზედმიწ.: “სწორი ნაწლავი გამოიდო” (კასლანძია, 1995: 83).

ა-დკუაგა “ძგიდე” (მაგალითად, ცხვირისა)

რთული ფუძეა, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: ა-დ-საურთიერთო კატეგორიის პრეფიქსია, ჰ - ორის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელის ძირი, კ - აკრა “ჭერა” ზმნის ძირი, აა - აქეთა მიმართულების პოსტვერბი, ხოლო -გა - მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი სუფიქსი.

აფენწა აგიაკარა ეფკშმოუბ აბაკტო აიკუაგა “ცხვირის ლრუ გაყოფილია ძელოვანი ძგიდით” (კვიწინა, 1997: 43)

ა-კაზექ “საშვილოსნო, Uterus”

სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა ვერ მოხერხდა.

აუ აკაზექ ახუემტ “ძროხას საშვილოსნო სტკივა” (შავრილი, კონჯარია, 1986 –I: 293).

ა-კაზექ აკლემშ, ა-თგჷშითევ “სამო, Kolpos”

პირველი სახელის პირველი კომპონენტია გაურკვეველი ეტიმოლოგიის სიტყვა ა-კაზექ (იხ. ზემოთ), ხოლო მეორე კომპონენტი ცალკე არ დასტურდება. რაც შეეხება მეორე ტერმინს (ა-თგჷშითევ), ვერც მისი ეტიმოლოგიის დადგენა მოხერხდა.

ა-კან “ჭორფლი”

ფუძე ნასესხებია ქართული ენიდან, შდრ. კან-ი. გარდა ზემოთ მითითებული სემანტიკისა, სიტყვა აფხაზურში გამოიყენება შესიტყვებაში: იკან // ლეკან ბზიოუპ “ჯანმრთელია, ჯანსაღია” (ზედმიწევნით: “მისი (მამაკ, ქალის) კანი კარგია”). სემანტიკური გადაწევა მომხდარია აფხაზური ენის ნიადაგზე, ვინაიდან კანის, ტყავის აღნიშვნის ფუნქციით ენაში შემორჩა საკუთრივ აფხაზური ა-ცია სიტყვაც.

ახილებულ იხაჭმებულ ზეგვ აკან იაგანგ იყან “ბავშვის სახე მთლიანად ჭორფლით იყო დაფარული” (შავრილი, 1986: 296).

ა-კ'კა “ძუძუ”

საერთო აფხაზურ-აბაზური ფუძეა. შდრ. აბაზ. კ'კა “ძუძუ”. შესაძლოა, ძირად ა-კ'რა “დაჭერა, დაკავება” ზმნის კ თანხმოვანი გამოდიოდეს. ოუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ფუძეში გამოსაყოფია იარაღის აღმნიშვნელი -გა სუფიქსი, რომლისგანაც ძნელი მოსალოდნელი არ არის მკვეთრი თანხმოვნის შემცველი -გა ვარიანტის მიღება. ამ მოსაზრებას არ დააბრკოლებდა სემანტიკური მხარე:

ჩვილი ბავშვის ძუძუთი კვების ფაქტორის გათვალისწინებით შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ძუძუ გაიგება როგორც ბავშვის პირის მოსაკიდებელი, ბავშვის პირით დასაჭერი ორგანო.

მატერიალური პარალელები გვხვდება ზოგიერთ მონათესავე ენაშიც: ხუნძურში, ლაპურში, ბოთლიხურში, დიდოურში, წახურში (კვარჭია, 1981: 121).

ასაბი დანწიულაკ აუპ იან აკუკა ანიჭმალკუა “როდესაც ჩვილი ტირის, დედა მაშინ აძლევს ძუძუს”.

ფშვე-ეიშცია ჭარაკ ეიცთახესუეტ (აუ აკუკა) “ოთხი ძმა ერთ ადგილას ისვრის” (გამოცანის პასუხი: ძროხის ჯიქანი, ძუძუ) (გულია, 1985: 189).

ა-კ'კმაცი “დვრილი, ძუძუსთავი, კერტი”

ეს რთულფუძიანი სიტყვა პირველ კომპონენტად შეიცავს ძუძუს აღმნიშვნელი ა-კ'კა სიტყვის ბოლო ხმოვანმოკვეცილ ძლი ფუძესა და ა-ნაცია “თითი” სიტყვის ასევე ბოლო ხმოვანმოკვეცილ ფუძეს. ზედმიწევნით ითარგმნება

როგორც “ძუძუს თითი”. საგნის ნომინაცია მოტივირებულია ძუძუსთავის ფარით (შდრ. ქართ. ძუძუს ცერი).

აცია დალოუ აკეპმაციაქია რჭმუ “კანში არსებულ დვრილებში...” (კვიშინია, 1997: 169).

ა-კელწერი “გადმოკარკლული თვალი”

საანალიზო სახელი ბზიფურ დიალექტში სხვაგვარი სემანტიკითაც გვხვდება და აღნიშნავს “ლიპიანს, დიდმუცელას” (გენკო 1998: 118).

სახელთა კლასში გადასული მიმღეობური წარმოშობის სიტყვაა. პირველი კომპონენტია *კა-ლა- > კე-ლა- რთული ზმნისწინი (შდრ. ამავე ზმნისწინის შემცველი ზმნები: ა-კე-ლა-ფ-წია-რა “ხვრელში მომტკრევა”, ა-კე-ლა-

შია-რა “მცირე საგნის ნახვრეტში ჩავარდნა”, ა-კე-ლა-ძ-რა “დაკარგვა”, ა-კე-ლა-ხა-რა “გაჩხერა”, ა-კე-ლ-და-რა “რამეში რისამე გაყრა”, ა-კე-ლ-ხ-რა “შეძვრომა”...).

მეორე კომპონენტად გამოყენებულია ზემოთ უკვე ნახსენები ა-წე-წ-რა “ქვემოდან გამოსვლა, ამოსვლა” ზმნის წე-წ ფუძე, რომლის პირველი წ არის ფუძე-წინდებული, მეორე წ კი – ძირ-სუფიქსი. მთლიანობაში ა-კელწერი მიმღეობური ფორმაა და ნიშნავს “ქვემოდან ამოსულს, გარეთ გამოსულს”, იგულისხმება თვალის, ან მუცლის შიგნიდან გარეთ გამობერილობა.

აბლა კელწერი “გადმოკარკლული თვალები” (შავრილი, 1986: 327).

ა-კია აწლა “საქალწულე აპკი”

რთული სამედიცინო ნეოლიტიშია, შდრ.: ა-კია “უბე” (ირიბად იგულისხმება ქალის სასქესო ასოს უბისებური ფორმა), ა-წლა < წალა “თხელი” (იგულისხმება აპკის სიოხელე).

ა-კიაბზ “კლიტორი, Clitoris”

სიტყვის პირველი კომპონენტი აქაც ა-კია “უბე” სიტყვაა, ხოლო მეორე კომპონენტი ბზ არის ფუძე არსებითი სახელისა ა-ბზ “ენა”. ზედმიწევნით: “უბის ენა”.

ა-კიტაბლ-თრა “საკვერცხეები, Ovarium”

რთული ტერმინია, რომელიც შედგება ა-კატალ “კვერცხი” არსებითი სახელისა და -თა ადგილის, სათავსოს აღმნიშვნელი სუფიქსისგან. ზედმიწვენით: “კვერცხის ადგილი, საკვერცხე”.

ა-კატემ “ნაწლავი”

აბაზურ ენაში ნაწლავი აღინიშნება ჭატი სიტყვით, რომელიც მატერიალურად თითქმის ემთხვევა ადილურ ჭატემ “ნაწლავი” ტერმინს. კ. შავრილის აზრით, აფხაზური ა-კატემ “ნაწლავი” მომდინარეობს ადილური ჭეშა | ჭეშ “გრძელი” სიტყვისაგან (შავრილი 1968: 25), რაც დამაჯერებელი არ არის, ვინაიდან აუხსნელი რჩება აფხაზური და ადილური ფუძეების მატერიალური კავშირი.

უფრო მართებული უნდა იყოს ასეთი მოსაზრება: ადილეური ენის დიალექტებში დადგენილია ამოსაგალი პალატალიზებული გ, ქ, ბ თანხმოვნების კანონზომიერი სპონტანური ცვლა ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნებად: გარაზ > ჯარაზ “ტრიალი” (აბდოკოვი, 1973: 50), ჩელ > ა-ქალა “ტრიალი” (აბდოკოვი, 1973: 74) ჭაფა > ა-კაფა “დუმა”. ამ ფაქტის გათვალისწინება ცხადყოფს, რომ როგორც აფხაზურში არსებული ა-კატემ, ისე აბაზურის ჭატი ვარიანტები ნასესხებია ადილეური ენის სხვადასხვა დიალექტებიდან:

აფხაზურში ტერმინი შესულა იმ დიალექტიდან (შაფსულური დიალექტი), რომელშიც დღემდეა შემორჩენილი კ ფონემა, ხოლო აბაზურს სიტყვა უსესხებია იმ დიალექტიდან (აბაძეხური დილექტი), რომელშიც ეს ფონემა უკვე აფრიკატიზებული ყოფილა.

იკატემ ბგლე-ეატ “მძიმე დანაკარგი, უბედურება განიცადა” (იტყვიან შვილის დაკარგვის დროს) (კასლანძია, 1995: 51.), ზედმიწ.: “მისი ნაწლავი უკვე დაიწვა”.

ა-კატემპა “წვრილი ნაწლავი”

რთული სიტყვაა, პირველი კომპონენტის შესახებ ზემოთ ვიმსჯელეთ. მეორე კომპონენტია ზედსართავი სახელი ა-პა “წვრილი”.

ა-კატემპა დამოუბ კ-ხოთაკ..”წვრილი ნაწლავი ორი ნაწილისგან შედგება. . .” (კვირინია, 1997: 112).

ა-კ-ატერშიპა “მსხვილი ნაწლავი”

როგორც სიტყვაა, პირველი კომპონენტის შესახებ ზემოთ ვიმსჯელეთ. მეორე კომპონენტია ზედსართავი სახელი შიბა “მსხვილი”.

ა-კ-ატერშიპა ხე-ხითაკ რგლა ოშაქ-გელოუპ ”მსხვილი ნაწლავი სამი ნაწილისგან შედგება“ (კვიჭინია, 1997: 114).

ა-კ-ატერლაში “ბრმა ნაწლავი”

კომპოზიტია მიღებულია ა-კ-ატერ “ნაწლავი” ტერმინისა და ა-ლაში “ბრმა” ზედსართავი სახელის შეერთების გზით (შდრ. ქართული ბრმა ნაწლავი). სახელი მოტივირებულია ნაწლავის ფორმით: ნაწლავს ცალი ბოლო “ჩაკეტილი” აქვს.

ა-ლაგიტ, აბაზ. ლაგიტ “თვალის კაპალი”

საერთო აფხაზურ-აბაზური ტერმინია. შედგება ა-ლა “თვალი” და ა-გიტ “გული” სიტყვის ფუძეებისაგან. ორივე ენაში თვალის აღმნიშვნელი უფრო ძველი ა-ბლა ფუძისაგან მომდინარე ა-ლა ფორმის არსებობა აღასტურებს იმ ფაქტს, რომ ამ ფუძის ახალი ვარიანტი აფხაზურ-აბაზური ენის დაშლამდე უნდა წარმოქმნილიყო.

რაც შეეხება გულის აღმნიშვნელი ფუძის სემანტიკას, იგი გამოყენებულია შუაგულის, ცენტრის მნიშვნელობით და ეს ახალი მნიშვნელობაც აფხაზურ-აბაზური ენის დაშლამდე ჩანს გაჩენილი.

ალაგიტ ცქა აკიგმბულ აფორმა ამოუბ “თვალის კაპალს მრგვალი ფორმა აქვს” (კვიჭინია, 1997: 155).

ა-ლაკთა აბჟ., ა-ლაქთა ბზიფ. “თვალის ბუდე”, აბაზ. ლაქთა

ფუძეში გამოიყოფა თვალის აღმნიშვნელი ახალი ლა ფუძე, რომელსაც, ჩვენი აზრით, ერთვის დაჭერა-დაკავების აღმნიშვნელი ა-კ-რა ზმნის კ ძირი და ლოკალური მნიშვნელობის მქონე სახელების მაწაროებელი -თა სუფიქსი. აბუურისა და ბზიფური დიალექტების ამ სიტყვაში აღინიშნება არასრული კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია: “ასპირატების წინ აბრუპტივები გარდაიქმნებიან ფშვინვიერებად : ალაქთა ← ალაკთა” (ბლაუბა, 2006: 116).

ტერმინის ამოსაგალი სემანტიკა ცხადია: “თვალის დასაჭერი ადგილი”. საყურადღებოა, რომ აბაზურ ენაში ლაქთა აღნიშნავს სახეს, სიფათს, ფიზიონომიასაც, რაც ახალი მოვლენაა.

პატგები [ლეუარსა] ილაკთა დანგნთაფშე, დახველაზ დნეოლუუ
დცემა ”პატუხმა ლევარსას შიგ თვალებში რომ ჩახედა, იქვე ჩაიკეცა”
(შავრილი, 1986: 403).

ა-ლაკეწა, აბაზ. ლაკეწა “თვალის უპე, თვალის არე”

რთული შედგენილობის სიტყვაა. პირველი კომპონენტია ა-ლა “თვალი”,
რომელსაც ერთვის დაჭერა-დაკავების აღმნიშვნელი ა-ქ-რა ზმნის გ ძირი და ა-
წა “ფსკერი, ძირი” არსებითი სახელის წა ძირი. მთლიანობაში სიტყვა ნიშნავს
“თვალის ბუდის ქვემოთა არეს”, ანუ “თვალის უპეს”. თვალის აღმნიშვნელი
ფუძე აქაც ახალი ა-ლა ვარიანტის სახითაა წარმოდგენილი როგორც აფხაზურ
ენაში, ისე აბაზურშიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ტერმინი ამ სახით არსებობდა
აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დონეზეც.

სულა იააკიურშმანგ სლაკეწა სუხუმის “თვალების გარშემო არე მტკივა”
(შავრილი, 1986: 404).

ა-ლაფუჯ “წამწამი”

სიტყვის პირველი კომპონენტია თვალის აღმნიშვნელი ა-ლა ფუძე,
რომლის მომდევნო ფუჯ ჰგავს მარყუჯის აღმნიშვნელ ა-ფუჯ სიტყვის ძირს, მაგრამ
წამწამთან მარყუჯის სემანტიკური კავშირი პრობლემურია. საკითხი დამატებით
კვლევას მოითხოვს. ხომ არ არის ეს სეგმენტი კავშირში ქართულის ფუნქ-
ფუძესთან?

ა-ლახიძე “წამწამი”, აბაზ. ლაჭიძე

ტერმინს გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვს. პირველი კომპონენტია თვალის
აღმნიშვნელი ლა ფუძე + თმის, ბეწვის აღმნიშვნელი აფხაზ. ა-ხიძ < აბაზ. ჭიძ

სიტყვის ფუძე, რომელსაც ერთვის ერთეულის, ცალის აღმნიშვნელი
საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძის ც ძირი. მთლიანად სიტყვის სემანტიკაა:
“თვალის თმის ერთი დერი, ერთი ცალი”.

ა-ლახ “შუბლი”

ტერმინის პირველი კომპონენტი აქაც თვალის აღმნიშვნელი ფუძის
ახალი ა-ლა ვარიანტია, რომელსაც ერთვის ხ სეგმენტი. ეს უკანასკნელი
სეგმენტი დამუკიდებლად ხმარებული რომელიმე სხვა სიტყვის ფუძე ან ძირი

თითქოს არ ჩანს. ჩვენი აზრით, შეიძლება ამ ხუ სეგმენტის დაკავშირება აბაზური ჯაფახ “შუბლი” სიტყვის ბოლოკიდურა თანხმოვანთანაც და აფხაზურ-აბაზურ ფეხა // ფახა “უწინ, წინათ” ზმნისართის ხა-სთანაც, რომელშიც ამ სეგმენტს აშკარად აქვს მნიშვნელობა “წინ”. მთლიანობაში საანალიზო ტერმინის ამოსავალი მნიშვნელობა იქნებოდა “თვალის წინ”, რაც გულისხმობს თვალის ბუდესთან შედარებით წინ გამოშვერილ ნაწილს. ვვარაუდობთ იმასაც, რომ აფხაზურში არსებული ფორმა შუბლის მნიშვნელობით არსებობდა აბაზურშიც, რაზეც ის გარემოება მიუთითებს, რომ აბაზურში ეს ფუძე რეალურადაა წარმოდგენილი როგორ სიტყვაში: **ლახ-ედჟიწარა** “გლოგა, ნაღველი, მოწყენილობა” (ზედმიწევნით: “შუბლის შეჭმუხვნა”).

ილახ-უაფშენგ იკაც-ხიგ შეა “მის შუბლს შეხედე და მისი წილი ხორცი გაყავი”.

პ-ლაცია//ა-ბლაცია აბაზ. ლაჩია // ლაცია “ქუთუთო”

სახელი მიღებულია თვალის აღმნიშვნელი პ-ლა სიტყვის ახალი ლა ფუძისა და კანის, ტყავის აღმნიშვნელი ა-ცია სიტყვის ცია ძირის შეერთების გზით.

ადრინდელი ფორმა უნდა ყოფილიყო პ-ლა ა-ცია “თვალის კანი”, სადაც მეორე სიტყვის პირველი პ- ხმოვანი ნივთის გრამატიკული კლასის მესამე პირის კუთვნილების პრეფიქსი უნდა ყოფილიყო. ამ პრეფიქსის რედუქციამ ორწევრა სინტაგმა კომპოზიტად გადააქცია.

რაფხა ილაცია ახ-ხიტგზ “დაბადების ადგილი, ადგილი, სადაც გაჩნდა”,

ზედმიწ.: “სადაც პირველად ქუთუთო გაახილა” (კასლანძია, 1995: 58).

აბლაგიგ აბლაციეგ რუბუარა ავანგზა ცჰარაუიშიან “თვალის გუგასა და ქუთუთოს შორის ელენთა შუამავლობდა” (გულია, 1985: 165).

პ-ლტიუიკა “ლავიწი, ლავიწის ძვალი”

ამ ფუძის ეტიმოლოგია დამაჯერებლად გაარკვია აკად. ქ. ლომთათიძემ თავის კლასიკურ ნაშრომში “აფხაზური პ-ლტიუიკა (“ლავიწი”) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის” (იხ.: ლომთათიძე 1976). აქ წარმოვადგენთ ამ ნაშრომის შინაარსს, რომელსაც ჩვენი მხრივ ვერაფრის დამატებას ვერ შევბედავთ.

პ-ლტიუიკა სიტყვა მარტივი არ ჩანს თავისი თანხმოვანთა თავურილობით და მორფოლოგიური სტრუქტურით. იგი კომპოზიტური შედგენილობისაა. და თი

ტ° ხშულთა სამეული აფხაზურში მეორეული წარმომავლობისაა. და ფონემა თითქმის მხოლოდ ნასესხებ მასალაში დასტურდება და გადმოსცემს სხვა ენათა და (დუ) ბგერათა ჯგუფს. უფრო რთულია თა და ტ° ფონემათა საკითხი (მათი გამოყენების არეც უფრო ფართოა). ლაბიალური უ კომპონენტის თ, ტ-სთან შერწყმით მათი წარმოქმნა გამორიცხული არაა გარკვეულ შემთხვევებში, მაგრამ მათი ამოსავალი უფრო მრავალფეროვანი ჩანს.

ყურადღებას იქცევს ტ°-ს შემცველი თითო-ოროლა ფუძე, რომლებიც ქართულიდან უნდა იყოს შესული აფხაზურში და რომელთაც ქართულში წვ კომპლექსი ადმოაჩნდა ტ°-ს შესაბამისად. ერთი ასეთი ფუძეა ა-ტიან “ნახარში, ბულიონი” და იგივე უნდა იყოს, რაც ქართული წვენ-ი (ძველ ქართულში წვენ-ი დადასტურებულია სწორედ “ნახარშის, წვნიანის” მნიშვნელობით).

ტაპანთურ დიალექტში და თა ტ° ლაბიალიზებულ ხშულთა სამეული მოიშალა და გადასულა აფრიკატიზაციის გზით ჯო ჩი ჭი//ძი ცი წი სამეულში. ამის შედეგად აფხაზური ა-ტიან ტაპანთურში წარმოდგენილია წიან//ჭიან ვარიანტების სახით და ნიშნავს “ნახარშს, ბულიონს”. ტაპანთური წიან//ჭიან ა-ტიან სახეობიდან რომ მომდინარეობს, ამას ნათელს ხდის ტაპანთურისავე ფსიუკრასნოვოსტოკის კილოკავის მონაცემები. XX საუკუნის 30-40-იან წლებში ამ კილოკავში უმცროსი ასაკის პირთა მეტყველებაში იგი უკვე წარმოდგენილი იყო ჭმან ვარიანტის სახით. როგორც გარკვეულია, ასეთი შედეგი კი მხოლოდ მაშინ გვაქვს, როდესაც წი//ჭი ფონემები ტ°-საგან არის მომდინარე. ეს მაშინ, როცა თავდაპირველი, საერთო აფხაზურ-აბაზური წი (ტაპ. წი//ჭი) არ იქცევა ჭმ-დ.

ამ წესის ნიადაგზე უნდა იხსნებოდეს ა-ლტიუკა “ლაგიწი, ლავიწის ძვალი” აფხაზურში, რომელიც საინტერესოა თავისი თანხმოვნების თავურილობითაც. მის შემადგენლობაში მეორე ნაწილად აშკარად გამოდის უკავიანი ფუძე, რაც ცალკე იხმარება და “მხარს” ნიშნავს. საანალიზო ტერმინის პირველ ნაწილად გვევლინება ა-ლტი. ლტი კომპლექსი არაა აფხაზურისათვის დამახასიათებელი. იგი წარმოქმნილია მახვილის ნიადაგზე ხმოვანთა ჩავარდნით (რაც ესოდენ ჩვეულებრივია აფხაზურში, განსაკუთრებით რთულ ფუძეებში). ამის კვალობაზე ლტი ელემენტი უკავშირდება ქართულ ლაგიწი სიტყვას, რომლის ფუძეშიც აფხაზურის ნიადაგზე უნდა ჩავარდნილიყო ო ხმოვანი (მსგავსად სხვა ანალოგიური შემთხვევებისა): ლაგიწ > *(ა)-ლაგწ//*(ა)-ლაგწ.

აფხაზურისთვის უჩვეულოა, ერთი მხრივ, ლგ (ლუ) ბგერათთანმიმდევრობა და, მეორე მხრივ, გწ (უწ) თანმიმდევრობა.

ამ უჩვეულო მიმდევრობის დაძლევის ბუნებრივი გზაა **ლეჭ-ს** გარდაქმნა **ლწვ-დ** ფონემათა სუბსტიტუტციის გზით და აქედან **წ-ს** ტო ფონემად გადაქცევა: **ლწვ→ლტ** (ცალკე ა-ლტ ფუძე არ გვხვდება აფხაზურში). აქ გარკვეული როლი უნდა მიუძღვოდეს **ლ-ს** მეზობლობასაც.

ლავიწის აღმნიშვნელი სიტყვა ტაპანთურში აქ განხილულ პირველ ლტ ელემენტს, ან მის ფონეტიკურ ვარიანტს არ შეიცავს. იქ ლავიწის სახელად გვაქვს ჟიშია ჟიაფს ”მხრის ფოსო”. ამ ტერმინოლოგიურ შესიტყვებაში ჟიშია ”მხარი” ფუძეს მეორე ელემენტად ერთვის ყაბარდოული ტერმინი ჟიაფს ”ფოსო (ძვლისა)”. განსხვავებული აგებულებისაა აფხაზური საანალიზო პლტიჟია ”ლავიწი”, რომლის პირველი კომპონენტია ქართულიდან შეთვისებული ლავიწ ფუძის აფხაზურ ნიადაგზე ადაპტირებული პლტი სახება, რომელსაც ერთვის მხრის აღმნიშვნელი საკუთრივ აფხაზურ-აბაზური წარმომავლობის ჟივა ფუძე. ამ ორი, ქართულ-აფხაზური ფუძის შეერთებით მიღებული რთული ტერმინის სემანტიკაა ”ლავიწ-მხარი” (შდრ. ქართული ლავიწის ძვალი). იშვიათი არ არის ამ რიგის სხვაობა რთულ სიტყვათა აგებულებაში აფხაზურსა და აბაზურს (ტაპანთურს) შორის, როცა აფხაზური კომპოზიტები აგებულებით ქართულს უდგება, ხოლო ტაპანთური მას შორდება, ან ადიღურს მიჰყვება (ლომთათიძე 1974: 221-224).

ალტიჟია ზუფრიარა მარიოუ აბაკეია ირემუოუბ ”ლავიწი ადვილად მტვრევადი ძვალთაგანია” (კვიწინია, 1997: 48).

ა-ლეჭმშა, აბაზ. ლეჭმშა “ყური”

პროფ. გ. როგავას აზრით, აფხაზურ-აბაზური ფუძის ჰა სეგმენტი მატერიალურ კავშირშია აღიღ. თჲაკიგმა და უბის. ლაკიგმა ”ყური” სახელების ჰა ელემენტთან. იმავე მკვლევარის შეხედულებით, ყველა აფხაზურ-ადიღური ფუძე რთულია.

მათთვის საერთოა ჰა ელემენტიც, ამიტომ ის გამოიყოფა როგორც ამ სიტყვის მთავარი ნაწილი. აფხაზურ-აბაზურსა და უბისურ ენებში მორფემა ლა|| ლე აღნიშნავს ”თვალს” (როგავა 1975: 51).

საყურადღებოა გ. დეეტერსის მოსაზრება. იგულისხმება ადიღეური ჰ-სა და აფხაზური ლ-ს ბერათშესატყვისობა: ყაბ. თჲაკიგმა – აფხ. ა-ლეჭმშა “ყური” (შაგიროვი 1982: 7).

კ. შავრილი თვლიდა, რომ აფხაზურ ენაში ზმნა ა-ჟარა “გაგონება” ყურის აღმნიშვნელი სიტყვის ჰა ელემენტიდან არის ნაწაროები (შავრილი 1968: 25), რაც არ არის გამორიცხული.

ილგმშა ითასიტ “ყური მოპკრა, შემთხვევით გაიგო”.

სლუმშა წინიტ “თავი მომაბეზრა თავისი ხმამაღალი საუბრებით” (ყურები წაიღო).

ილგმშა აცია თარტიოუბ “ყრუა, არაფერი ესმის” (კასლანძია, 1995: 59-60).

ა-ლგმშაბაგია “ყურის აპკი”

აშკარად კომპოზიტია. შეიცავს ალგმშა “ყური” ფუძეს, აფხაზური აბაგია “აბრეშუმის პარკს” ნიშნავს. ზედმიწევნით “ყურის პარკი”.

ალგმშაბაგია ფუნქციური უდაგიანების ტურნიტ “თუ ყურის აპკი გაგეხა – დაყრუვდები” (შავრილი, 1986: 422).

ა-ლგმშაციაბაჟი “ყურის გოგირდი”

კომპოზიტია. ეს ტერმინიც შეიცავს ა-ლგმშა “ყური” ფუძეს, ხოლო ა-ციაბაჟი “გამაგრებულ ლორწოს, ან კანს” ნიშნავს. ზედმიწევნით “ყურის გამაგრებული ნივთიერება, ლორწო”.

ა-მაყჭმაჸიარა “წელი” ტაპ. მაყჭმაჸიარა, ბლა ქენოჯვა

კომპოზიტია: ა-მაყა “ქამარი, სარტყელი” + ა-ჭმა-ჸიარა “შეკვრა” (შდრ. ტაპანთური მუაჭმაჸიარა. მთლიანად ტერმინი ნიშნავს “საქამრეს, ქამრის შესაკრავ ადგილს”. ზუსტად იდენტურია ტაპანთური მაყჭმაჸიარა ფორმაც, რაც სახელის სიძველეზე მეტყველებს. რაც შეეხება ტაპანთურ ბლა ქენოჯვა ტერმინს, მისი პირველი კომპონენტი ზურგის აღმნიშვნელი საერთო აფხაზურ-აბაზური ბლა ფუძეა, მეორე კომპონენტის რაობა კი დასადგენია.

კომპოზიციის დროს რედუცირებულა პირველი ფუძის ბოლოკიდურა ა ხმოვანი და მეორე ფუძის ნივთის გრამატიკული კლასის კუთვნილების ა-კრეფიქსი და ამ გზით მიღწეულა ორი სიტყვის შერწყმა ერთ ოდენობად.

ა-მაყიჭმაჸიარა ახითა “წელის ნაწილი” (კვიწინია, 1997: 23).

ა-მახა აბჟ., ა-მახა ბზიფ. “ხელი”; “ბარკალი”, აბაზ. მაჭა “ხელი; მკლავი”

გინაიდან სიტყვა აღნიშნავს როგორც ზედა კიდურს, ისე ქვედა კიდურის ნაწილს, მისი სემანტიკაც არცოუ ისე დიდი ხნის წინ აღბათ “კიდური” იყო. სტრუქტურის თვალსაზრისით ვვარაუდობთ, რომ ფუძე შეიცავს ხელის აღმნიშვნელი ფუძის მა (//ნა) ძირეულ ელემენტს (იხ. ქვემოთ), რასაც ადასტურებს საკუთრივ კიდურის აღმნიშვნელ ა-მა-ხა-შა-ხა კომპოზიტური ტერმინის შემადგენლობაში იმავე მა ელემენტის საპირტონედ ფეხის აღმნიშვნელი შა ძირის არსებობაც (იხ. ქვემოთ). ამ ფაქტორთა გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, რომ ტერმინ ა-მახა-ში აბჟ. ხა < ბზიფ. ხა < აბაზ. გა ელემენტი საკუთრივ კიდურის აღმნიშვნელი თავდაპირველი ფუძე იყო.

კიგბრუკ ამახა აა-ლაკ ირზგრჭომ “ერთი კოდოს ბარკალი რვა ძალლმა ვერ შეჭამა” (აფხაზური ზღაპრები, 1997: 177)

ა-მახაშახა აბჟ., ა-მახა აშახა ბზიფ. “კიდურები” (შდრ. აშხარ. მაჭი-შაჭიქია “ხელ-ფეხი, კიდურები”)

აფხაზური ფორმები კომპოზიტებია. პირველ კომპონენტად გამოდის ხელისა და ბარძაყის აღმნიშვნელი ა-მა-ხა < ა-მა-ხა < მა-გა რთული ფუძე (იხ. ზემოთ), ხოლო მეორე კომპონენტია ფეხის აღმნიშვნელი ა-შა-ხა < ა-შა-ხა < შა-გა ასევე რთული ფუძე (აშხარული ვარიანტის ბოლოკიდურა -ქია მრავლობითი რიცხვის ნიშანია).

ორივე კომპონენტის საზიაროა აბჟ. ხა < ბზიფ. ხა < აშხარ.-ტაპ. გა ელემენტი, რომელიც, ჩვენი აზრით, თავდაპირველად კიდურს აღნიშნავდა. მა სეგმენტი ხელის აღმნიშვნელი ძირია, ხოლო შა სეგმენტი – ფეხისა, რომელთაგან ორივე მონაწილეობს აშხარულ მაჭი-შაჭიქია ფორმაში, სადაც -ქია მრავლობითი რიცხვის ნიშანია.

უმ იმახაშახა იხილ, დგრმაზაკუპ “ხელ-ფეხს ვერ ხმარობს, ავად არის” (შავრილი, 1986: 434), ზედმიწ: “კიდურები ვერ შეელის”.

ა-მახიარ აბჟ., ა-მახიარ ბზიფ. “მკლავი, ხელი მტევნის გარეშე”

პ. ჭარაია ოვლიდა, რომ მეგრული მახგარ-ი აფხაზურიდან არის ნასესხები, ხოლო მათთან დაკავშირებულია სვანური მეხერ (ჭარაია 1912: 30). გვიქრობთ, პ. ჭარაია მართალია აფხაზური და მეგრული ფორმების

წარმომავლობის საკითხში, ხოლო სვანური მეხერ სიტყვის დაკავშირება არგუმენტირებული არ არის, ვინაიდან აუხსნელი დარჩა სვანურში ე ხმოვნების გაჩენა აფხაზურ-მეგრული ა ხმოვნების ადგილზე და სვანურში გ თანხმოვნის დაკარგვის მიზეზი.

აფხაზურ ვარიანტებთან მატერიალურად ახლოსაა აბჟური ა-მახo < ბზიფ. ა-მა-ხo “ხის ტოტი, შტო, რტო” < აშხარ. მაგიგ “ხის ტოტი, შტო, რტო; ხის კოქი, ნუქი, კორძი”, აშხარულივე მაგი-შაგიქია “ხელ-ფეხი, კიდურები” და მაგი-შაგიგ “ტანადი, ტანბრგე ადამიანი; კოქიანი, ნუქიანი, კორძიანი ხე”. ამ ფორმებიდან ერთ-ერთში ბოლოკიდურად ნეიტრალური ხმოვნის არსებობა უნდა მიგვანიშნებდეს უფრო ადრეულ ეტაპზე ფუძის ბოლოს ა ხმოვნის არსებობაზე. რაც შეეხება სემანტიკას, კიდურებისა და ხის ტოტის ერთი სახელით აღნიშვნა სხვა ენებისთვისაც დამახასიათებელია (შდრ. ქართ. ტოტი “ხის შტო, რტო; ადამიანის ან ცხოველის კიდურები”).

აფხაზურ ა-მახoარ // ა-მახoარ “მკლავი, ხელი მტევნის გარეშე” ფუძეში ბოლოკიდურა -რ კრებითობის -რა სუფიქსის ნაშთი ჩანს.

უი დააიუან ლელასახა ლმახიარ იაკიგრშმანგ “მოდიოდა მკლავზე მატყლშემოხვეული” (ნართები, 2000: 171).

ა-მახoჭმა აბჟ., ა-მახoჭმა ბზიფ. “ხელის მტევანი”, ტაპ. მაგიჭმა “მაჯა” სამივე ვარიანტი ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდის ფორმაა. მათგან უძველესია ტაპანთური ჭი თანხმოვნიანი სახეობა, მისგან მომდინარეობს ჭი თანხმოვნის შემცველი ბზიფური ვარიანტი, ხოლო ამ უკანასკნელისაგან – აბჟური ხი თანხმოვნიანი ფორმა.

სიტყვა კომპოზიტური აგებულებისაა. პირველ კომპონენტად გამოდის ზემოთ უკვე განხილული მკლავისა და ტოტის აღმნიშვნელი *მაგია არქეფორმა, მეორე კომპონენტი კი შეიძლება დავაკავშიროთ პირის აღმნიშვნელი აფხაზურ-აბაზური სიტყვის ამოსავალ *ჭმა ფუძესთან. ამგვარ დაკავშირებას სემანტიკური დაბრკოლება არ უნდა ახლდეს, ვინაიდან ხელის მტევანი, ან მაჯა იოლად შეიძლებოდა გაგებულიყო როგორც “ხელის, მკლავის პირი”, ანუ ხელის, მკლავის დასაწყისი.

ამახoჭმა აბაკებია “მტევნის ძვლები” (კვირინია, 1997: 52).

პ-მგია, აბაზ. მგია “მუცელი

გასაზიარებელია პ. ჭარაიასა და მის კვალდაკვალ გ. როგავას მიერ გამოთქმული მოსაზრება საანალიზო ფუძის ქართულ გვამი (ძვ. ქართ. გუამი) სახელთან მატერიალური კავშირის შესახებ (ჭარაია 1912: 30), თუკი ქართულში ბოლოკიდურა მ თანხმოვანს დეტერმინანტ სუფიქსად მივიჩნევდით. იმავე გ. როგავას აზრით, ეს ფუძე უკავშირდება ადიდურ ნგბა— *მგბა ← *მგგია და უბიხურ ნგბია— *მგბია— *მგგია ფუძეებს. ვთიქრობთ, დაბრკოლებას არ უნდა ქმნიდეს გ. როგავას მიერ აღნიშნული მედერი გი-ს აბრუპტიულ კი-ში გადასვლა უბიხურში (როგავა 1975: 49), ვინაიდან ამგვარი ცვლა მოულოდნელი არ არის.

მაშასადამე, მუცლის აღმნიშვნელი ფუძეები საერთოა აფხაზურ-ადიდური და ქართველური ენებისათვის.

ღას იუმოუ უმგოუპ “შენი მტერი შენი მუცელია”.

მგია მუციაკიან ხე ზუციომ “თუ მუცელს არ სძინავს, თავი ვერ დაიძინებს”.

ა-მგ შხიოგლწ აბჟ., ა-მგ შხიოგლწ ბზიფ., მაჩგიგნწა აბაზ. “იდაყვი; გზის მოსახვევი”

შემადგენლობით და მნიშვნელობით აღნიშნული სიტყვები არ განსხვავდება. ფონეტიკური თვალსაზრისით შეინიშნება სხვაობანი, კერძოდ:

ა) აბაზური ენის ხშულ სპირანტს აფხაზურში შეესაბამება შიშინა სპირანტი შ;

ბ) აბაზურის ლაბიალიზებულ ყრუ ფარინგალურ სპირანტ გი-ს შეესაბამება აბჟურის უკანასასისმიერი ყრუ ლაბიალიზებული სპირანტი ხი, ხოლო ბზიფურ დიალექტში – სპეციფიკური ხი;

გ) აფხაზური ლ თანხმოვნის ადგილას აბაზურში წარმოდგენილია ნ თანხმოვანი;

დ) აფხაზურში რედუცირებულია ბოლო ა ხმოვანი. მაგრამ არცერთი ამ ფონეტიკურ სხვაობათაგან არ არის აუხსნელი და მოულოდნელი. სხვა საქმეა, რომ მთლიანად სიტყვის ეტიმოლოგია არ არის გამჭვირვალე და მოითხოვს შემდგომ კვლევას.

ამგ შხიოგლწ ახიამც ხ-წკარაკ ამოუპ ”იდაყვის [იდაყვის სხეულს] სამი კიდე აქვს” (კვიჭინია, 1997: 49).

ა-ნაპგ აბჟ., ა-მაპგ ბზიფ., ნაპგ აბაზ. “ხელი”

ფუძის წარმომავლობა და სტრუქტურა დამაჯერებლად გაარკვია აკად. ქლომთათიძემ სტატიაში “ხელისა და ფეხის აღმნიშვნელი ფუძეების უძველესი სახეობებისათვის აფხაზურ-ადიდურ ენებში და ზოგი ქართველური ფუძის ანალიზის საკითხი” (ლომთათიძე, 1966, იგე ტ. XV). ჩვენ ვიზიარებთ ამ ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებებს და ქვემოთ მოკლედ წარმოვადგენთ მათ.

ავტორი აღნიშნავს, რომ ა-ნაპგ ფუძეში ბგ “ხელის” აღმნიშვნელი ძირი არ ჩანს, სიტყვის ძირია ნა და ივარაუდება შემდეგი სიტყვების ძირებში: ა-ნა-ცია “ხელის თითი”, ა-ნა-პ-ხე-ც “ხელის ფრჩხილი”. ამავე დროს ხელის აღმნიშვნელ რთულ ფუძეთა შემადგენლობაში “ხელ” სიტყვის ძირეული ნაწილი ჩვეულებრივ მა- ელემენტის სახით წარმოვიდგება, მაგალითად: ა-მა-ცია “ხელის თითი”, ა-მა- (*←ა-მა-ჭა) “სახელური”, ა-მა-ცია-ზ “ბეჭედი”.

როგორც ჩანს, “ხელ” სიტყვის ძირეულ ნაწილად გვევლინება ნა | მა. ნ-სა და მ-ს მონაცვლეობა აფხაზურში ხშირი მოვლენაა. ნ-სა და მ-ს მონაცვლეობას “ხელ” სიტყვის ფუძეში თავდაპირველად გარკვეული კანონზომიერება ახასიათებდა. კერძოდ, ნა მხოლოდ ისეთ ფუძეებში უნდა გვქონოდა, რომლებშიც ბაგისმიერი ხშული პ იყო ხოლმე, დანარჩენ შემთხვევაში კი იყო მა-. აქედან გამომდინარე, ხელის აღმნიშვნელი ძირი იყო მა-, ნა- კი არის პოზიციურად მიღებული მა-სგან პ-სთან შორეული მეზობლობით (დისიმილაციის საფუძველზე). ეს ვითარება დღესაც შეურყევლად დაცულია ტაპანთურ დიალექტში, პარალელური ფორმები ა-მაცია | ა-ნაცია ტიპისა ტაპანთურშიც არ დასტურდება. ტაპანთურში მუდამ არის, ერთი მხრივ, მხოლოდ მა-ცია, მეორე მხრივ მხოლოდ ნა-პგ.

როგორც ჩანს, ხელის აღმნიშვნელი ძირი იყო მა. ნა-ს სახით ის უნდა გვქონოდა პ-ს შემცვლელ ფუძეში, მაგალითად, ნაპგ. ასეთი დაპირისპირების კარგ ნიმუშს იძლევა ზმნები: ა-ნაპგ-რ-შცგლარა და ა-მა-შცარა | ა-რ-მა-შცაკრა, რაც “მოშინაურებას”, “ხელზე მიჩვევას” ნიშნავს.

ერთი და იგივე ძირეული მასალა (მა) ერთი და იმავე სახით წარმოვიდგა *ა-მაპგ-სა და ა-მპგ -ში (მ), თუმცა თავიანთი გენეზისის მიხედვით სხვადასხვა ამოსავალს გულისხმობს თითოეული მათგანი:

1. *ამაპგ → 2. ანაპგ (დისტანციური დისიმილაცია) → 3. *ამპგ
(კონტაქტური ასიმილაცია ა ხმოვნის რედუქციის საფუძველზე).

ხელის აღმნიშვნელი მ(ა) ძირი ფართოდ ჩანს გამოყენებული აფხაზურში ისეთ სახელებსა და ზმნებში, რომლებშიც დღეს უშუალოდ ხელზე მითითება არა გვაქვს, მაგრამ ეტიმოლოგიურად “ხელის” გაგებას უნდა უკავშირდებოდეს (ლომთათიძე, 1966: 150-161).

უი იარღა ნაპგ ჟაჭიას იმოუპ, იარმა ნაპგ რგთიას იმოუპ “თავისი მარჯვენა ხელი უროდ აქვს, მარცხენა ხელი - მაშად” (ნართები, 2000: 18).

ლნაპგ გრგულუა დნგრფვლან “ხელების ტრიალით შეეგება” (ნართები, 2000: 10).

ინაპგ ახუ აფსსომტ “თავისი საქმის ოსტატია”, ზედმიწ: “ხელებიდან ოქრო სცვივა”.

სნაპგ საჭომტ “ვინმეს ცემა მინდა”, ზედმიწ: “ხელები მექავება”.

ლნაპგ დანფშმულოუპ “ფინანსურად მასზე (ქალზე) არის დამოკიდებული”, ზედმიწ: “ხელებზე დაჰყურებს”.

ა-ნაპსურგიგწა აბჟ., **ა-ნარგიგწა** ბზიფ., **ნაპსარგიგწა** აბაზ. “ხელისგული” რთული აგებულების მქონე სიტყვაა. ბზიფური ვარიანტი ყველაზე ახალი წარმონაქმნია და მიღებულია პხგ მიმდევრობის რედუქციის გზით. რაც შეეხება აბჟურ და აბაზურ სახეობებს, მათში აშკარად გამოიყოფა ხელის აღმნიშვნელი ფუძის ნაპ სეგმენტი, გულის, შუაგულის აღმნიშვნელი გიგ ფუძე და ფსკერის, ძირის გამომხატველი წა ძირი, დანარჩენი ელემენტების რაობა საკვლევია.

უა ინაპსურგიგწა ამსაქია გწოუპ “მის ხელისგულზე კორძებია” (შავრილი, 1986: 471).

ა-ნაპხეც აბჟ., **ა-ნაპხეც'** ბზიფ. “ხელის ფრჩხილი”, აბაზ. **ნაპხეც** “ხელის ფრჩხილი”, აბაზ. **ნაპხეც** “ხელის ფრჩხილის წანაჭერი”

ბზიფურ დიალექტში მომხდარა ფუძის ბოლოკიდურა თანხმოვნის სპონტანური ცვლა (ბლაჟბა 2006: 128) და ხ თანხმოვნის მეზობლად პ თანხმოვნის ფ-დ ქცევა. ფუძეში გამოსაყოფია ხელის აღმნიშვნელი სიტყვის ნაპ სეგმენტი. დანარჩენ სეგმენტთა რაობა საკვლევია. აბაზურ ენაში დადასტურებულ ორ ვარიანტს შორის არსებული სემანტიკური სხვაობაც ახსნას მოითხოვს.

ნაპხეცკ იაყარამ “პაწაწინაა, ფრჩხილის ოდენა არ არის”.

უი ნაპხუცი ეფუიგზეადა? “ხორცი და ფრჩხილი ვინ დააშორა ერთმანეთს?” (გულია, 1985: 172).

პ-ნაცია // პ-მაცია აბჟ. , **პ-მაცია** ბზიფ., **მაცია** აშხარ., **მაჩიგ** ტაპ. “თითი”
აღსანიშნავია, რომ აბჟუურ დიალექტში გამოიყენება როგორც **პ-ნაცია//პ-მაცია** ვარიანტები, ისე მათი სინონიმი **ა-ნაციკ-ზს** (მის შესახებ იხ. ქვემო).
ნაცია // მაცია// მაჩიგ ვარიანტებიდან თავდაპირველი ჩანს **მაცია** ფორმა შემდეგ
მიზეზთა გამო: ა) ფუძეში ნა//მა სეგმენტები ხელის აღმნიშვნელი ფუძეა (შდრ.:
ა-შა-ცია “ფეხის ფრჩხილი”), რომელთაგანაც, როგორც ზემოთ ითქვა, ნა
სეგმენტი გვხვდება მხოლოდ მაშინ, როცა სიტყვაში პ თანხმოვანიცაა, აქ კი ეს
უკანასკნელი არ ფიგურირებს და ნ ბგერა აშკარად ანალოგიითაა გაჩენილი; ბ)
ტაპანოური **მაჩიგ** ვარიანტი სრულიად ახალი ჩანს. იგი მიღებულია პ > გ და ც
> ჩი გადასვლათა შედეგად.

უნაცია ძაუკელარ იხნაწიოვტ “წყალი ძალიან ცივია, თითებს თუ წყალში
ჩაყოფ, მოგწყვეტს” (კასლანძია, 1995: 67).

ა-ნაციკ-ზს, აბაზ. **მაციკ-ზს // მაჩიკ-ზს** “ხელის ნეკათითი”
ამ ტერმინის მრავლობითი რიცხვის **ა-ნაციკ-ა-რა// მაჩიკ-ა-რა** ფორმები
საშუალებას იძლევა გამოვყოთ მხოლობით რიცხვში წარმოდგენილი -ს
სუფიქსი, რომელსაც ქ. ლომთათიძე საგნის სიმცირის გამომხატველ აფიქსად
თვლიდა (ლომთათიძე, 1941: 200). შესაბამისად გამოსაყოფია აგრეთვე ხელის
აღმნიშვნელი ნა//მა ძირი და თითის აღმნიშვნელ **პ-ნაცია // პ-მაცია** ფორმებში
წარმოდგენილი ბოლო ხმოვანმოკვეცილი ნაცი სეგმენტი. რაც შეეხება
დანარჩენ კ-ზ < კ-ა ელემენტის რაობას, იგი საძიებელია.

უნაციაქია ადუჭალოვტ “ძალიან გემრიელია”, ზედმიწ.: “ხელის ნეკათითებს
მიაჭმევ” (კასლანძია, 1995: 68).

ა-ნაციხეზფ, აბაზ. **მაჩიკაბა** “ცერათითი (ხელისა)”
სიტყვის პირველი კომპონენტია **ნაცია//მაჩია** “თითი” ფუძის
ხმოვანმოკვეცილი სახეობა. მეორე კომპონენტი უკეთ დაუცავს აბაზურ ენას,
სადაც წარმოდგენილია გაბა სეგმენტის სრულხმოვნიანი, **CVCV** სტრუქტურის
მქონე სახეობა, რომლის სემანტიკა ცხადი არ არის. აფხაზურში ამ მეორე

კომპონენტს დაუკარგავს ბოლოკიდურა ა ხმოვანი, ხოლო პირველი ა ხმოვანი გადასულა ნეიტრალურ ხმოვანში.

ანაციხე არდაშმაგა აუგშია კაჭმ “ცერათითის გამსწორებელი მოკლე კუნთი” (კვიტინია, 1997: 85).

ა-უძ, აბაზ. უგ “ხორცი”

მარტივი შედგენილობის ფუძეა. უკავშირდება ადილურ ლგ ძირს. ბგერათშესატყვისობა: აფხაზ.-აბაზ. უ : ადიდ. ლ' ნ. ტრუბეცკოიმ ამ სიტყვის მაგალითზეც გამოავლინა.

იგივე მკვლევარი ამ ძირს დაღესტნურ ენათა მასალასთანაც (არჩიბულ ში, დიდოურ ში, უდიურ ში, ლეზგიურ ში, რუთულურ ში, ადულურ ში, თაბასარანულ ში, ლაკურ ში, დარგულ ში) აიგივებდა (ტრუბეცკოი 1987: 278).

გ. კლიმოვი ძირს უკავშირებს ქართველურ *ლალვ ფუძეს (ქართ. ლელვ -ი “ხორცი”, ზან. ლულ-ი “ლელვი”, სვან. ლელვ “ხორცი”).

საინტერესოა, რომ აფხაზურ ში ხორცის აღმნიშვნელად გამოიყენება სხვა, ა-კაც სიტყვაც, რომელიც არ დასტურდება აბაზურ ში. ა-უძ და ა-კაც სიტყვები სრული სინონიმები არ არის, მათ შორის არსებობს სემანტიკური სხვაობა: ა-უძ გამოიყენება ცოცხალი ადამიანისა და ცხოველ-ფრინველის ხორცის აღმნიშვნელად, ხოლო ა-კაც სიტყვა – დაკლული საქონლისა და ფრინველის ხორცის მნიშვნელობით. ჩვენი აზრით, ა-კაც ნასესხები უნდა იყოს ქართულიდან (შდრ. ხორცი-ი).

აუგ იკიტ “გასუქდა”, ზედმიწ: “ხორცი დაიჭირა”.

სუგ იფედტ “გამაწამა, გამაწვალა, დამტანჯა”, ზედმიწ: “ჩემი ხორცი შეჭამა”.

იმალა იუგ იზუმჭო დგუოუბ “ჩადენილის გამო ძალიან განიცდის, ნანობს”, ზედმიწ: “მარტო თავის ხორცს ვერ ჭამს” (კასლანძია, 1995: 45).

ა-უზოტი აბუ., ა-ზტი ბზიფ. “თეძო; ბარძაყი”, აბაზ. ჟიჭიგ “საქონლის უკანა ბარკალი”

ფუძის მორფოლოგიური სტრუქტურა ცხადი არ არის. ფონემატური თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ბზიფური ვარიანტი უფრო ძველი ჩანს, რაცი

შეიცავს სისინ-შიშინა **ჭ** ფონემას, ასევე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აბაზურში **ჭი** ფონემაც ახალია და მომდინარეობს **ტი-საგან**.

გარდა ამისა, **CC** სტრუქტურის **ჭტი // ჟიტი // ჟიჭი** კომპლექსებიც არ უნდა ჰქონოდა ამოსავალ ვარიანტს. უნდა ვივარაჟდოთ, რომ თავდაპირველად **ჭტი** თანხმოვნებს შორის რომელიდაც ხმოვანი (ალბათ **ა**) იდგა და შემდგომ რედუცირდა.

ზეგან რეიშა იაუუ იშიპოუ აბაჲ განკა იახაჲუპ აჲიტი “ყველაზე გრძელ მსხვილ ლულისებრ ძვალს ბარძაყი ჰქვია” (კვიშინია, 1997: 57).

ა-უ-კახე-რ აბჲ., ა-ზახე-რ // ა-ზ-დახე-რ // ა-ზ-კახე-რ ბზიფ., ჟიშიაჭა // ჟიშია აბაზ. “მხარი”

ფუძის ამოსავალი ფონემატური სტრუქტურა დაცული არ არის არცერთ ვარიანტში, გარდა “მარტივი” აბაზური ჟიშია ფორმისა. თავდაპირველია ბზიფურის **ჭი** ფონემა, რომლისგანაც მომდინარეობს დანარჩენ ფორმათა უ თანხმოვანი, მაგრამ ბზიფურშივე დაკარგულია აბაზურში დაცული ამოსავალი **ჭი** ფონემისაგან მომდინარე კ თანხმოვანი, რომელიც აბჲურშიც მეორეულია. აბაზურში წარმოდგენილი თავდაპირველი **ჭი** ფონემისაგან ბზიფურში წარმოქმნილა სპეციფიკური **ჭ** თანხმოვანი, რომელიც მოშლილია აბჲურში და მოუცია **ჭ** ფონემა. აბაზური სრული ჟიშიაჭა ვარიანტის ბოლოკიდურა ა ხმოვანი აფხაზურში გადასულა ნეიტრალურ ხმოვანში.

გარდა ამისა, აფხაზურში ფიგურირებს აბაზურისაგან განსხვავებული **რ** დაბოლოებაც. ჟიშიაჭა ფორმა უნდა მომდინარეობდეს *ჟიაშიაჭა < *ზაშიაჭა-საგან. ფონოლოგიური თვალსაზრისით უძველესი ფორმა არ შემორჩენია არც აბაზურ “მარტივ” ჟიშია ვარიანტს: იგი მომდინარეობს თავდაპირველი ***ზაშია** არქეტიპისაგან.

მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით ამოსავალია “მარტივი” ***ზაშია** > აბაზ. ჟიშია > აფხაზ. ჟივა, რომელსაც მოგვიანებით დართვია თავის აღმნიშვნელი **ჭა** ძირი, აფხაზურში **კი** დამატებით მიერთებია სიტყვათმაწარმოებელი -რ სუფიქსიც (შდრ. ა-მახია-რ “მკლავი”).

სემანტიკის მხრივ აღსანიშნავია შემდეგი: აბაზურში ტერმინის ჟიშია და ჟიშიაჭა გარიანტები ნიშნავს “მხარს”, ხოლო აფხაზურში **ა-ზ-კა** // ა-უ-კა

აღნიშნავს “ფრთას”, ა-ზახურ // ა-ზდახურ // ა-ზოკახურ და ა-უიკახურ ფორმები კი “მხარს”.

სავარაუდოა, რომ წინარე აფხაზურ-აბაზურ ენაში თავდაპირველად სწორედ *ზაშია აღნიშნავდა როგორც “მხარს”, ისე “ფრთას”, ხოლო შემდგომში მხრის აღსანიშნად გაბატონდა ამ ამოსავალი ფორმისაგან მომდინარე მორფოლოგიურად გართულებული *ზაშიაჭა და მისგან მომდინარე ფონეტიკური და მორფოლოგიური ვარიანტები.

ტაპანთურ დიალექტში “მხრის” სემანტიკით გამოიყენება ადიღური წარმოშობის დამა სიტყვაც (შაგიროვი 1977-1: 143)..

რეზივახურ ევბურთევატ “ერთმანეთს დაეხმარნენ, გვერდში ამოუდგნენ”, ზედმიწ: “ერთმანეთს მხარი მისცეს”.

ა-უიკაშიაუ ~ // ა-უიგუშიაუ ~ აბჟ., ა-ზუკნაუ ~ ბზიფ., უიშიგმსაუ ~ აბაზ. “ბეჭი” რთული შედგენილობის ტერმინია. პირველ კომპონენტად გამოდის ფონეტიკურად ტრანსფორმირებული მხრის აღმნიშვნელი *ზაშია ფუძისაგან მომდინარე ვარიანტები (ამ ფუძის შესახებ იხ. ზემოთ), დანარჩენი საჭა ნაწილის ამოსავალი ფონეტიკური სახე შემოუნახავს ბზიფურ დიალექტს.

ჩვენი აზრით, ამ მეორე ნაწილში გამოსაყოფია “ბრტყელის” აღმნიშვნელი ა-უაფა ზედსართავი სახელის ფა ძირი, სა სეგმენტის რაობა კი საძიებელია.

ირშგზ აბგახიგჭე აუიკაშიაუ ~ “მოკლული მელას ბეჭი” (ნართები, 2000: 171).

აუიკაშიაუ ~ აბაკ იაკზ ლამპეწაშიან ილეანგ ილა იხშიალტ. “ბეჭის ძვალი, რომელიც ეპავა გაუვარდა და მას თვალში ჩაუვარდა: (აფხაზური ხდაპრები, 1997: 174)

ა-რგიწესთა “საფეოქელი”

ტერმინის შემადგენლობაში აშკარად გამოიყოფა ნაზმნარ სახელთა ლოკალური მნიშვნელობის მიმნიჭებული -ს-თა სუფიქსი (შდრ.: ა-ჟიგ-ს-თა // ა-ჟიგ-რ-თა “საძოვარი” ა-ჟი-რა “ძოვა” ზმნისაგან...). დანარჩენი ნაწილის რაობა საძიებელია.

არგოწესთა ადიახეთი აგან აჭმე დამოუბ ადიახეთი ალგმჰათუკრა “საფეოქლის გარე ნაწილში მოთავსებულია გარეთა სასმენი ხვრელი” (კვიწინია, 1997: 35).

ა-რფჲპ, აბაზ. რაფჲპ // რეფჲპა “ფილტვი”

სახელის სტრუქტურა ცხადი არ არის. მოითხოვს დამატებით კვლევას. ამოსაგალი ფონეტიკური ვარიანტი აბაზურში დაცული რაფჲპ სახეობა ჩანს. შესაძლებელია, ხმაბაძვითი ფუძე იყოს.

არფჲპა იანუპ ავაწარაქია “ფილტვები ნეკნებშია მოთავსებული” (კვიწინია, 1997: 126).

ა-რგმთრა, ანკაპგშმთა აბჟ., ა-მპგშმთა ბზიფ., ა-მბგშმთა აბაზ. “შარდის ბუშტი”

ა-რგმპ სიტყვაში ბ თანხმოვანი შესაძლოა ა-ძგ “წყალი” სახელისაგან მომდინარეობდეს, მაგრამ დანარჩენი სეგმენტების რაობა ნათელი არ არის. რაც შეეხება თრა-ს, იგი ადგილის, სათავსოს აღმნიშვნელი სუფიქსია, ზედმიწევნით “შარდის ადგილი, სათავსო”.

რაც შეეხება ბზიფურ ტერმინს, ა. შაგიროვი მის პგშმთა კომპონენტს ქართულ სიტყვასთან “ბუშტი” აიგივებს (შაგიროვი, 1989:146).

ა-ტიყიძ “თებო”

ფუძის სტრუქტურა ცხადი არ არის. მოითხოვს დამატებით კვლევას.

ა-უაბუგრძ “საზარდულთან მდებარე ფეხის ზემო ნაწილი”

ფუძის სტრუქტურა ცხადი არ არის. მოითხოვს დამატებით კვლევას.

ა-უატალა “ჯირკვალი”

სიტყვა ნახესხებია ქართველური ენებიდან. ქ. ლომთათიძის აზრით, იგი მომდინარეობს ჯირკვლის აღმნიშვნელი მეგრული ონტოლი-საგან (შდრ. გურული კილოს ორტოლი “ჯირკვალი” – “ბაღანას ორტოლები ჩამოუსივდა” – რაც თავის მხრივ ზანიზმია გურულში).

თვით ონტოლი, ორტოლი ზანურ შესაბამისობით არის მიჩნეული ქართული “არტალა”-სი.

სიტყვათსესხების ფონოტაქტიკის სრული შესაბამისობით არის ო[ნ]ტოლისაგან აფხაზურში მიღებული ა-ტატალა (ქართ. ო→ აფხაზ. 1. ჟა; 2. ა).

ბზიფურ დიალექტში (და პარალელურ სახეობად აბჟურულიც, ოდონდ დავიწროებული მნიშვნელობით) ეს სიტყვა გვხვდება “ა-კიატალა”-ს სახით. სენებულ ა-კიატალა სახეობაში უ ბგერას წინ დართვია პ ხშული (ლომთათიძე: 1981: 85).

უატალა – სატალა,
არნა – სურნა,
ფუფქა, ცეცქა,
სარსალევ უატალა (გულია, 1939: 174).

“ჯირკვალი – სატალა,
არნა სარნა,
ფიფქა, ციცქა,
სარსალევ ჯირკვალი”.

(შელოცვის ტექსტის დიდი ნაწილი არ ითარგმნება, რადგან შედგება ამჟამად გაურკვეველი მნიშვნელობის მქონე სიტყვებისგან, რაც ზოგადად დამახასიათებელია ტაბუირებული მნიშვნელობის მქონე საკრალური პოეზიისთვის).

ა-ტატა, აბაზ. ჟაჩია “ბარძაყი, ბარკალი (ადამიანისა და ცხოველისა)” ფონემატური სტრუქტურის თვალსაზრისით აბაზური ვარიანტი უფრო ახალია და მიღებულია თ > ჩი სპონტანური ცვლილების შედეგად (ამ პროცესის შესახებ იხ.: ლომთათიძე 1944: 28; ლომთათიძე 1954: 7).

ატჲო “უკანალი”

ამ სიტყვის სტრუქტურა ცხადი არ არის. მასში აშკარად გამოსაყოფი ჩანს “ბრუნვის, ტრიალის” აღმნიშვნელი ჰა ძირი (შდრ.: აა-ჰ-რა “მობრუნება, მოტრიალება”), თუმცა დანარჩენ სეგმენტთა რაობაზე დაბეჯითებით რისამე თქმა ჭირს.

ა-ფართა/ა-ფათრა “პლაცენტა”

აღნიშნული ტერმინის საწყისი ფორმაა ა-ფათრა, სადაც ა-ფა “ვაჟი”, რაც შეეხება თრა-ს, იგი ადგილის, სათავსოს აღმნიშვნელი სუფიქსია, ზედმიწევნით “ვაჟიშვილის ადგილი, ვაჟის სათავსო” (კვარჭია, 1981: 121).

საყურადღებოა, რომ აქ ვაჟი ზოგადად შვილის აღმნიშვნელი სახელია.

ა-ფსტრძთა “ყველაზე სუსტი ადგილი სხეულზე”

კომპოზიტია. პირველი კომპონენტია ა-ფსტ “სული”, რ- კაუზატივის პრეფიქსი უნდა იყოს, ბ “დაკარგვის > დაღუპვის” აღმნიშვნელი ზმნის ძირი ჩანს, ხოლო ბოლოკიდურა -თა ადგილის აღმნიშვნელი საგანგებო სუფიქსია. მთლიანად ტერმინის ამოსავალი სემანტიკაა “სულის დაკარგვის ადგილი”, ანუ ყველაზე სათუთი ადგილი სხეულზე.

პ-ფხაშარა აფგ ში დუქია “დიდი სასირცხვო ბაგეები, Labia majora pudendi”

აღწერით გადმოცემული ნეოლითისტური ტერმინია. შედგება შემდეგი სეგმენტებისაგან: **პ-ფხაშარა** “სირცხვილი”, **ა-ფგ ში** “ბაგე, ტუჩი”, **პ-დუ** “დიდი” (ეს უკანასკნელი სიტყვა დგას მრავლობით რიცხვში, სუფიქსია -ჭია). მთლიანად ტერმინოლოგიური შესიტყვება ითარგმნება, როგორც “სირცხვილის დიდი ბაგეები”.

პ-ფხაშარა აფგ ში ხიგჭებია “პატარა სასირცხვო ბაგეები, Labia minora pudendi”

აღწერით გადმოცემული ნეოლითისტური ტერმინია. შედგება იმავე კომპონენტებისაგან, რომლებსაც შეიცავს ტერმინი **პ-ფხაშარა აფგ ში დუქია** “დიდი სასირცხვო ბაგეები, Labia majora pudendi”. სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ამ უკანასკნელში წარმოდგენილია ზედსართავი სახელი ა-ხიგჭები “პატარა, მცირე”.

პ-ფხაშარა ციტრულთაჭია “სასქესო ორგანოები”

ტერმინოლოგიური სინტაგმა შედგება **პ-ფხა-შა-რა** “სირცხვილი” მასდარისაგან, რომელსაც მოსდევს ტერმინი **ა-ციტ-რ-უ-ცი-ტა-ჭია** “სხეულის ნაწილები” (ამ უკანასკნელის შესახებ იხ, ქვემოთ).

აფხაზარა ციეცუხითავია რულა ახაციედ აჭისევ რედჭმარტიგშია ეიფშებ
“მამაკაცი და ქალი სასქესო ორგანოებით განსხვავდებიან” (გვიწინია, 1997: 130).

ა-ფხბძ “ოფლი”, აბაზ. ფხბჺ “ოფლი; ჯაფა, გარჯა”

ჩვენი აზრით, ფუძეში გამოსაყოფია წყლის აღმნიშვნელი მგ ძირი, ხოლო ფხ კომპლექსი უნდა უკავშირდებოდეს “თბილის” აღმნიშვნელი (ა)-ფხა ზედსართავი სახელის ძირს.

აფხბჺ აცია იანალწუა. . . “როდესაც ოფლი გამოიყოფა. . . ” (გვიწინია, 1997: 170).

ა-ფგურიკაბაჲ “წინამხრის ძვალი”

რთული შედეგნილობის ტერმინია. პირველ კომპონენტად გამოდის ფონეტიკურად ტრანსფორმირებული მხრის აღმნიშვნელი *წაჭია ფუძისაგან მომდინარე ვარიანტები (ამ ფუძის შესახებ იხ. ზემოთ), მეორე ნაწილად წარმოდგენილია აბაჲ “ძვალი” (ამ ტერმინის ვრცელი განხილვა იხ. თავის დასაწყისში), ხოლო რაც შეეხება ამავე სახელის ფგ-ს, ა. შაგიროვის აზრით, იგი უკავშირდება აფხაჲ “წინ” ზმნისართის ძირს, ა-ფგნწა (“ცხვირი”) ნიშნავს “წვეტიანი რამ, რომელიც წინ არის”.

ტერმინი ითარგმნება, როგორც “მხრის წინა ძვალი”.

ა-ფგლგდ “ბარძაყის ძვალი”

ფუძის სტრუქტურა ცხადი არ არის. მოითხოვს დამატებით კვლევას. ლგდ თანხმოვანთა კომპლექსი მეორეულია და არღვევს ორი თანხმოვნის წესს.

ა-ფგმაწ “წვივი”

ფუძის სტრუქტურა ცხადი არ არის. მოითხოვს დამატებით კვლევას.

ა-ფგნწა, აბაზ. ფგნწა “ცხვირი”

მიიჩნევა საერთო აფხაზურ-ადიღურ ფუძედ. შდრ.: ადიღ. ფა, უბიხ. წაწა. ყველა აფხაზურ-ადიღური ენისთვის საერთო ელემენტად გვევლინება ფგ//ფა. ადიღურში ფგ // ფა დამოუკიდებელი სიტყვაა და “ცხვირს” ნიშნავს,

ხოლო აფხაზურ-აბაზურსა და უბისურში მასთან მატერიალურად დაკავშირებული ფგ და **fa** ძირები კომპოზიტური ფუძის პირველი კომპონენტებია. აღნიშნული აფხაზურ-ადიდური ძირების მასალაზე ადგენენ კანონზომიერ ბგერათშესატყვისობას: აფხაზ.-აბაზ. ფ :ადიდ. ფ :უბის. **f** (როგავა 1975: 49).

ა. შაგიროვის აზრით, აფხაზურ ა-ფგნწა-ში წა მარცვალი ზედსართავ ა-წარ “წვეტიანი” სახელის ძირეული ელემენტია, ხოლო მის წინ მდგომი ნ - ლოკატიური აფიქსი, ან ფონეტიკური დანართი (შაგიროვი 1982: 58). იგივე მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამავე სახელის ფგ შეიძლება დაგაკავშიროთ აფხა “წინ” ზმნისართის ძირთან, ამ შემთხვევაში ა-ფგნწა-ს სემანტიკა იქნება “წვეტიანი რამ, რომელიც წინ არის”. ვფიქრობთ, ა. შაგიროვის ეს ვარაუდი მისაღებია

იფგნწა უკარ, იფსუ ხშმოვეტ “მის ცხვირს თუ მოკიდებ, მისი სული მოწყდება” (ძალიან სუსტია, დასუსტებულია) (კასლანძია, 1995:79).

ა-ფგნწაკლჲ “ცხვირის ნესტო”

შედგება ორო კომპონენტისაგან: ა-ფგნწა “ცხვირი” + ა-კლჲარა “ხვრელი” სიტყვის პირველი ნაწილი.

ა-ფგნწაგიაპრა “ცხვირის ღრუ, ნესტო”

შედგება ორი კომპონენტისაგან: ა-ფგნწა “ცხვირი” + ა-გიაპრა “ფუღურო” სიტყვის აბსტრაქტული ა-გიაპრა “სიღრუე” ფორმა.

აფგნწაგიაპრა აგთა კეჭარა იშმოუბ ადკადაგა ალა “ცხვირის ღრუ ძგიდით ორ ნაწილად იყოფა” (კვიშინია, 1997: 121).

ა-ქადა “გვერდი”

ფუძის სტრუქტურა და წარმომავლობა ცხადი არ არის. მოითხოვს დამატებით კვლევას.

ა-ქ-ში // ა-ფგში, აბაზ. ფგში “ბაგე, ტუჩი”, აბაზ. ფგში “ბაგე, ტუჩი; ნისკარტი”

აშკარაა სამივე გარიანტის ფონემატური სიახლოვე, თუმცა ახსნას ითხოვს ანლაუტის ფ და ქ თანხმოვანთა პირველადობა-შემდგომადობისა და მონაცემების მიზეზი. სრულიად აშკარაა, რომ ფგში და ფგში ფუძეები

ერთიმეორის ფონეტიკური ვარიანტები არ უნდა იყოს, თუმცა მათ ამჟამად სემანტიკური სიახლოვე აქვთ. საყურადღებოა, რომ აბჟურ დიალექტში **ა-ფეჭი** სიტყვა აღნიშნავს “კიდეს”, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო “კიდე, ნაპირი, განაპირა ნაწილი”, რომლისგანაც აბაზურში განვითარდა “ნისკარტისა” და “ბაგე-ტუჩის” სემანტიკა.

იქვე დგჭიგიწევატ “აგდებულად მოექცა, არ იკადრა”, ზედმიწ: “თავის ტუჩზე დაისვა”.

ა-ლრა „მუცლის ლრუ“

სიტყვა აბაზურში არ ჩანს. ჩვენი აზრით, ნასესხებია ქართულიდან. შდრ. ქართ. **ლრუ**. სესხებისას რ თანხმოვნის მომდევნოდ მდგომ უ ხმოვანს მხოლოდ ა ხმოვნად ტრანსფორმაცია შეეძლო.

აღრევ აჭაჭევ ედგსლოვატ “ძალიან გამხდარია”, ზედმიწ: “მუცლის ლრუ და თირკმელი ერთმანეთს ეხლება”.

ა-ლგ „მამაკაცის სასქესო ასო, Penis“

სახელში გამოიყოფა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი **ა-პრეფიქსი** და **ლგ** < *ლა უმარტივესი ძირი. სიტყვის პრაფორმა ***ა-ლა** უნდა ყოფილიყო. ფუძის სიმარტივე სიტყვის სიძველეზე მიუთითებს.

ა-ყატარა „წელი; ხორცის უძვლო ნაჭერი“

ამ სიტყვაში გამოიყოფა სიტყვათმაწარმოებელი პოლიფუნქციური -რა სუფიქსი, ძირია **ყატა**. აფხაზურშივე **ა-ყატა** აღნიშნავს “ნორჩს”, “მოქნილს” და “დეკეულს”. ვფიქრობთ, ამ მნიშვნელობებს აერთიანებს მოქნილობის სემანტიკა. ამდენად წელის აღმნიშვნელი ტერმინიც **ა-ყატა** სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს.

ა-ყაფციოგ ბზიფ. „ნიკაპი“

ფუძე არ დასტურდება არც აბჟურ დიალექტსა და არც აბაზურ ენაში. ხ. ბლაჟბას აზრით, მომხდარია ამოსაგალი ა ხმოვნის ცვლა ნეიტრალური ხმოვნით (ბლაჟბა 2006: 138). ფუძის მორფოლოგიური სტრუქტურა ცხადი არ არის და მოითხოვს დამატებით კვლევას.

ა-ყურყები, აბაზ. ყურყები “ყელი”

ადიღურ ყიგრბაყად “ყელი”, მეგრულ ყორყელი და ქართულ ყელი სიტყვებს ხმაბაძვით ფუძეებად მიიჩნევენ და დასავლეთკავკასიურ ფორმებს მატერიალურად აკავშირებენ ქართულ *ხორხ ფუძესთან (აბდოკოვი 1983: 76). თუმცა ადიღური ფუძისა და ქართული ყელის კავშირი დანარჩენ ფუძეებთან პრობლემურია.

კ. შავრილის აზრით, აფხაზურ-აბაზური სიტყვა ყვ ძირის რედუპლიკაციის გზით არის წარმოებული (შავრილი 1968: 25). ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ რედუპლიცირებულ ძირში რ თანხმოვანი გვიანაა განვითარებული.

აფშექა იყურყები “ჩვილის ხორხი” (ნართები.., 2000: 24).

იყურყები დკულახებტ “ის არ უყვარს”, ზედმიწა: “ხორხში გაეჩხირა”.

ა-ყიარებია ბჟ., ა-ყიარები ბზიფ. “ზურგი”

ამოსავალი სახეობა დაცულია აბჟურ დიალექტში, ბზიფურ ვარიანტში მოკვეცილია ბოლო ხმოვანი. აბჟური ფორმა მიღებულია ყია ძირის რედუპლიკაციის გზით.

აშიარახ ყიარებია ირგმანგ “ნანადირევი ზურგზე ჰქონდათ მოკიდებული” (ნართები.., 2000: 70).

იყიარებია აცია ახურხიტ “მაგრად დაბეგვეს, ძლიერ სცემეს”, ზედმიწა: “მის გვერდებს კანი ააძვრეს”.

ა-ყიარებიგლ “მალა”

სიტყვა მიღებულია ყიარ ძირის რედუპლიკაციით. გაორმაგებისას მეორე ნაწილში რ თანხმოვანს დისიმილაცია განუცდია.

აყიარებიგლია რხეფხაძარა ნაძოატ 33-34 ცერა რყენდა “მალების რაოდენობა 33-34 ერთეულს აღწევს” (კვიწინა, 1997: 23).

ა-შა, აბაზ. შა “სისხლი”

ჯერ კიდევ ნ. ტრუბეცოიმ დააკავშირა ერთმანეთთან აფხაზურ-აბაზური ა-შა // შა და ადიღური ლე ფუძეები და გამოავლინა აფხ.-აზ. შ : ადიღ. ლ’ ბგერათშესატყვისობა, რაც გაზიარებულია სხვა მკვლევართა მიერაც (შაგიროვი 1977-I: 255). ა. შაგიროვი მართებულად არ იზიარებს ნ. ტრუბეცოისა და პ.

ჭარაიას მიერ ადიღ. შე “ძმა” და აფხაზური პ-და-შა “ძმა” ფუძის შა სეგმენტის დაკავშირებას სისხლის აღმნიშვნელ შა ძირთან, ვინაიდან ადიღურ ენებში ძმის აღმნიშვნელი ძირის შ თანხმოვანს ისევ შ თანხმოვანი შეესატყვისება, ხოლო სისხლის აღმნიშვნელი აფხაზურ-აბაზური შა ძირის შ თანხმოვანს – ლ’ თანხმოვანი (შაგიროვი 1982: 5).

იშა შმუელტ, იდა შმუელტ “სისხლი უდუღს”.

აჩმა აუაკუ იშა ალოუბ “ცხენს ადამიანის სისხლი აქვს”.

ა-შამხე აბჟ., ა-შამხე ბზიფ., შამგა აბაზ. “მუხლი”

როგორც პ. ჭარაია წერს, ა-შამხე რთული შედგენილობისაა: ა-შა “ფეხი” და მხე, რომელიც საზიაროა ქართულ მუხლ სიტყვასთან (ჭარაია 1912: 52). ამ ვარაუდს არ ეთანხმება ა. შაგიროვი, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს სიტყვა ამგვარი შედგენილობისაა: ა-შაბგ “ფეხი” სიტყვის შა ძირი + თავის აღმნიშვნელი ა-ხე ფუძის ხ ძირი, ხოლო მათ შორის მდებარე ელემენტი მ უკავშირება ა-მაა “სახელური, ტარი” სიტყვას (შაგიროვი 1977 –I: 250). მკვლევარს მხედველობიდან გამორჩა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ მუხლის აღმნიშვნელი სამი ვარიანტიდან ყველაზე ძველი (მაგრამ არა უძველესი) დაცულია აბაზურში, ხოლო მისგან მიღებულია ჯერ ბზიფური და მერე აბჟური ფორმები.

იშამხე წაროუბ “მუხლი უჭრის, კარგად დარბის, მკვირცხლია”, ზედმიწ.: “მისი მუხლი მჭრელია”.

იშამხე იწყრააუელტ “ძალიან კარგ განწყობაზეა”, ზედმიწ.: “მუხლი ქემოდან უფრინავს”.

ა-შაპგ, აბაზ. შაპგ “ფეხი”

მიიჩნევა საერთო აფხაზურ-ადიღურ სიტყვად. ა-ნა-პგ//ა-მა-პგ “ხელი” სიტყვის სტრუქტურასთან შედარების საფუძველზე მასში გამოყოფენ შა და პგ ძირებს, რომელთაგანაც პირველი გამოხატავს ფეხის სემანტიკას. ამოსავალი ფონეტიკური ვარიანტია *ა-შა-პა. შა ძირის შ თანხმოვანი კანონზომიერ ბგერათშესატყვისობას იძლევა ადიღური ლ’ა, ლ’ა-კია “ფეხი” და უბის. ლ’ა-პა “ფეხი” ფუძეების ლატერალურ თანხმოვანთან (როგავა 1975: 49; შაგიროვი 1982: 32; აბდოკოვი 1983: 74).

ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ ა-შა-პგ სიტყვის პირველი ელემენტი პგ-ს გარეშეც გვხვდება მისი ძირითადი მნიშვნელობით, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ ეს ელემენტი ძირეულია. იგი შა//შგ//შ ფონეტიკურ ვარიანტთა სახით (პგ-ს გარეშე) გვხვდება შემდეგ სიტყვებში: ა-შა-ცია “ფეხის თითები”, ა-შა-ჭმა “ნაბიჯი” (“ფეხის პირი”), ა-შა-თა // ა-შ-თა “კვალი” (თა ადგილმდებარეობის, საცავის გამომხატველი ელემენტია), ა-შა-ხია “წვივი”, ა-შ-ხია “ქუსლი”. იგივე შა გამოიყენება “ფეხთ ჩაცმა-გახდის” აღმნიშვნელ ზმნებში ფუძე-წინდებულის სახით: ო-ლ-შრ-უპ “მას (ქალს) ის ფეხთ აცვია”... ასევე გვხვდება იგი ცალკე არსებულ ზმნებში, როგორიცაა: ა-შა-ჭიუ-რ-გულა-რა “დადგენა, დაფუძნება” (“ფეხზე დაყენება”) და სხვა (ლომთათიძე 1966: 150-151).

არმა შაპგ ფსუნგურის იმოუპ “მარჯვენა ფეხი გრდემლად აქვს” (ნართები.., 2000: 18).

იშაპქია დაარგებიუმგელო დააყალეოტ “ისე გახდა, ფეხზე ვერ დგებოდა” (ნართები.., 2000: 73).

იშაპგ ალიხიტ “რადაც საქმე წამოიწყო”, ზედმიწ.: “თავისი ფეხი აირჩია”.
იიჟიგზ იშაპგ იწალეოტ “ძალიან დათვრა, გამოიბრუეა, სიმთვრალისაგან ფეხზე ვერ დგას”, ზედმიწ.: “რაც დალია, ფეხში ჩავდგა”.
იშაპგ დგჭინგლეოტ “გამოჯანმრთელდა; მისი საქმეები კარგად მიდის; ფული იშოვა”, ზედმიწ.: “ფეხზე დადგა”.

ა-შაპხეც აბჟ., ა-შაპხეს' ბზიფ. , შამხე // შაპხე აბაზ. “ფეხის ფრჩხილი”, აბაზ. შაპხესა “ფეხის ფრჩხილი; ფლოქვი”

აქვს ისეთივე აგებულება და ისტორია, როგორიც აბჟ. **ა-ნაპ-ხეც**, ბზიფ. **ა-ნაფხეს'** “ხელის ფრჩხილი”, აბაზ. **ნაპხე** “ხელის ფრჩხილი” ფორმებს (იხ. ზემოთ). აბაზ. **შაპხესა** სახეობის ბოლოკიდურა -სა ვარიანტი ხელისა და ფეხის ფრჩხილის სახელებში აღგვადგენინებს ამ სუფიქსის CV სტრუქტურის არქეფორმას.

ა-შარგიგცი, ა-შაპგიაცი “წვივი”

რთულფუძიანი სიტყვაა. პირველი კომპონენტია ფეხის აღმნიშვნელი შა ძირი (იხ. ზემოთ). მას ერთვის ფუძე გზე “გული”, რომელსაც ამ შემთხვევაში

აქვს მნიშვნელობა “შუა”, რ- – მრ. რ. მესამე პირის პრეფიქსია. რაც შეეხება ც სეგმენტს, მისი რაობა ნათელი არ არის.

ზაფხული ზურაბ გულუ, ზურაბ ზურაბ გულუ (აშარგიუცი) “რასაც წინ ზურგი აქვს, უკან – მუცელი” (გამოცანის პასუხია: წვივი) (გულია, 1985: 189).

ა-შახა “ფეხი”

ფეხის აღმნიშვნელი კომპონენტი შა გვხვდება გამონათქვამში იშეი იშეი ეიქიწო “ძალიან ნელა (სვლა)” – იშეი იშეი ეიქიწო დნეიუემტ “ძალიან ნელა, მიდის”. რაც შეეხება ხა სეგმენტს, მისი ეტიმოლოგია სარკვევია. აღმნიშნული სიტყვა დასტურდება მხოლოდ კომპოზიტ ა-მახაშახა-ს მეორე კომპონენტად.

ა-შაციკ-გს “ფეხის თითი”

როულფუძიანი სიტყვაა. შეიცავს ა-შა-ცია (ზედმიწ: “ფეხის კანი”, შდრ. ა-ნაცია “ხელის თითი”) სეგმენტისაგან, რომელსაც მოსდევს კ-გს ელემენტი. ქ. ლომთათიძის აზრით, ამ უკანასკნელში გამოიყოფა ერთგულის აღმნიშვნელი -ს სუფიქსი, რომელსაც მრავლობითი რიცხვის ფორმაში ჩაენაცვლება კრებითობის -რა სუფიქსი: ა-შაციკ-ა-რა “ფეხის თითები” (შდრ. მხ. რ. ა-ნაციკ-გს “ხელის თითი” – მრ. რ. ა-ნაციკ-ა-რა) (ლომთათიძე, 1941: 200). რაც შეეხება კ-გ // კ-ა ელემენტებს, მათგან უფრო ძველი მეორე ვარიანტი ჩანს, თუმცა მისი ამოსავალი სემანტიკა ცხადი არ არის.

ა-შაციკ-არაჭია ნაციკ-არაჭია ირევფშმუპ “ფეხის თითები ხელის თითებს ჰგავს” (კვიწინია, 1997: 63).

ა-შახია, აბაზ. შახია “წვივი”

კომპოზიტია. ფუძე შედგება ფეხის აღმნიშვნელი შა და ხია ძირებისაგან (ლომთათიძე, 1966: 151). ხია ძირის სემანტიკა საძიებელია.

ა-შაჲირძებ აბე.. ა-შაჲირძ'აძ' ბზიფ “კოჭი”

როულფუძიანი სიტყვაა. მასში გამოიყოფა ფეხის აღმნიშვნელი შა ძირის შემცველი *შახია > ბზიფ. შაჲიგ “წვივი; წვივის ძვალი” ფუძე, რომელშიც აბეუურ დიალექტში მომხდარა სუბსტიტუცია ხი > ჰი. ტერმინის სხვა ნაწილების რაობა დამატებით ძიებას მოითხოვს.

პ-შება აბჟ., პ-შები ბზიფ. “ქუსლი; ტერფი”, აბაზ. შვია “ქუსლი; ტერფი” კომპოზიტია. პირველ კომპონენტად გვავლინება ფეხის აღმნიშვნელი ხმოვანრედუცირებული შა > შ ძირი (ლომთათიძე, 1966: 151), მეორე კომპონენტია “მრუდეს, მოხრილის, ირიბის” აღმნიშვნელი აბაზ. ჭია > ბზიფ. ჟია > აბჟ. ხია ფუძე. ამოსავალი ფონეტიკური ვატიანტი უნდა ყოფილიყო *შა-ჭია “ფეხის მრუდე ნაწილი”.

ლუშებალა დნაგათასუნ... “მან (ქალმა) თავისი ქუსლი ჰკრა... ” (ნართები.., 2000: 8).

იშება ცემტ “ქუსლები გაეყინა”, ზედმიწ.: “მისი ქუსლი წავიდა” (ჯასლანძია, 1995: 123)

ა-ჩმხითგვე “ბოქვენი”

რთული შედგენილობის ტერმინია. პირველი ა-ჩმ კომპონენტის მნიშვნელობისა და ეტიმოლოგიის დადგენა ძნელია. რაც შეეხება მეორე ხი კომპონენტს, იგი ა-ხიგ “თმა, ბუსუსი” სიტყვის ფუძეა, თგვ კი – ა-თგვ “ადგილი” სიტყვის ფუძეა. ტერმინი ნაწილობრივ ითარგმნება, როგორც “???? თმის ადგილი”. ვფიქრობთ, მოსალოდნელია, რომ საკუთრივ ბოქვენს აფხაზურში თავდაპირველად სწორედ ა-ჩმ სიტყვა აღნიშნავდა, ხოლო საანალიზო რთული ფუძის სემანტიკა იყო “ბოქვენის თმის ადგილი”.

ა-ჩმხიგ “ბოქვენის თმა”

ამ ტერმინის პირველი კომპონენტის შესახებ იხ. აქვე, ზემოთ, მეორე კომპონენტი ხი – ა-ხიგ “თმა, ბუსუსი” სიტყვის ფუძეა. ვვარაუდობთ, რომ ტერმინი ითარგმნება, როგორც “ბოქვენის თმა”.

პ-ცა “კუჭი”

მარტივი ფუძეა ამოსავალი CV ფონემატური სტრუქტურით.

ზნგ-ზგნლა აცა დაზკნგ ირშიოატ ამგია ჰია “ხანდახან კუჭს ამგვა-ს (მუცელს) უწოდებენ” (კვიწინია, 1997: 109).

ა-ცლგმშია აბჟ., ა-ცლამშია ბზიფ. “ნიკაპი; ყბა; ლოფა”, აბაზ. ცლამშია “ყბა”

ფონემური სტრუქტურის თვალსაზრისით ყველაზე ძველი სახეობაა აბაზური ვარიანტი, რომლის ორი ა ხმოვნიდან პირველი აბუურ ფორმაში გადასულია ნეიტრალურ ხმოვანში, ხოლო მეორე ხმოვანი ბზიფურში ქცეულა იმავე ნეიტრალურ ხმოვნად. ტერმინის ამოსაგალი ფორმა უნდა ყოფილიყო *ცალამაჲია.

ტერმინის მორფოლოგიური სტრუქტურა ნათელი არ არის და დამატებით ძიებას მოითხოვს. შესაძლებელია, მასში გამოიყოფოდეს კბილის, ნისკარტის აღმნიშვნელი ც ძირი (იხ. ქვემოთ).

იუციგმლუ აუაკუ იცლამში აშთუბუ დუდბურის იუაჲაუედტ “იმ ადამიანის ყბების ხმა, რომელიც გეზიზდება, ჭექა-ქუხილივით გესმის” (გულია, 1985: 148).

ა-ცჰაგა ხაფუც “საჭრელი კბილი”

აღწერილობითი ტერმინი, შედგება ა-ცჰარა “კბეჩა, კბენა” + გა სამოქმედო იარაღის აღმნიშვნელი საგანგებო სუფიქსი + ხაფუც “კბილი”. ზედმიწევნით “საკბეჩი, საკბენი კბილი” (მეორე კომპონენტის შესახებ იხ. ზემოთ).

ახაფუცქია რფორმულა აუაკუ იქნება იშმულოუ აბასოუბ: აცჰაგაქია – ფა-ცურაკ. . . “ადამიანის კბილების ფორმულა შემდეგნაირია: საჭრელი – ოთხი ცალი”. (კვირინია, 1997: 105).

ა-ცეხციგ “პენისი, Penis”

მეორე კომპონენტი უეჭველად არის კანის, ტყავის აღმნიშვნელი ცივ ფუძე, ხოლო სიტყვის პირველი ცეხ კომპონენტის მნიშვნელობა გაურკვეველია. ენაში არსებობს პენისის სხვა მარტივფუძიანი სახელი ა-ლგ < *ა-ლა, რომელიც აშკარად უფრო ძველი ჩანს. ამიტომ, შესაძლოა, ტერმინი ა-ცეხციგ პენისის მეორეული, ტაბუირებული სახელი იყოს. არსებითია ერთი გარემოებაც: რაგი ტერმინი ა-ცეხციგ შეიცავს კანის, ტყავის აღმნიშვნელ ფუძეს, სავარაუდოა, რომ ტერმინის თავდაპირველი სემანტიკა იყო “პენისის კანი, პენისის ტყავი, ანუ ჩუჩა”.

ა-ცია აბჟ., ჩია აბაზ. “კანი, ტყავი; ქერქი; ნაჭუჭი”

კ. შავრილი მიიჩნევდა აფხაზურ-ადიღური ენებისთვის საერთო სიტყვად და აკაგშირებდა ადიღ. ჭიშიუ სიტყვის ში თანხმოვანთან, თუმცა ვერ განმარტავდა ამ ადიღური სიტყვის დანარჩენი ნაწილების რაობას. მკვლევარის აზრით, იგივე ადიღური ელემენტი ში შენარჩუნებულია აფხაზურ სიტყვებში: ა-ში-წა “ტანსაცმელი”, ა-ში-წა-რა “ჩაცმა” და ა.შ., ხოლო აფხაზურ-ადიღურ ში-ს ყაბარდოულში შეესაბამება ჭ (შავრილ 1968: 26). კ. შავრილის ეს ვარაუდი დამატებით არგუმენტირებას მოითხოვს.

უი აუაკე იცია, აუაკე იუგ დალუმწიტ “ის ადამიანის კანიდან, ადამიანის ხორციდან არ დაბადებულა” (ნართები.., 2000: 37).

იცია ალაშიერტ “ეჭვი გაუჩნდა”, ზედმიწ.: “მას კანში ჩაუვარდა”.

ლცია დალწირტ “მან (ქალმა) ის შვა”, ზედმიწ.: “მისი კანიდან გამოვიდა”.

ლცია ფიჩმიტ “ნამუსი ახადა, გააუპატიურა”, ზედმიწ.: “მან (მამაკ) მისი (ქალის) კანი გატეხა”.

ა-ცი-ტ-ჟ “სხეული, ორგანიზმი”

კომპოზიტია. შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ა-ცია “კანი, ტყავი; ქერქი; ნაჭუჭი” + კაგშირი ა- “და” + ა-ჟ “ხორცი”, ანუ “კანი და ხორცი”. კომპოზიციისას ა ხმოვანს ა-ს ზეგავლენით განუცდია ნაწილობრივი ასიმილაცია და მოუცია ე ხმოვანი, ხოლო ხორცის აღმნიშვნელ ფუძეს დაუკარგავს ნეიტრალური ხმოვანი.

აფურლგ ეიფშმ იცია-იუგ ყაფშუპ, ამცა აწკ-უს იციერ-იუი ცოუპ! “მისი სხეული გავარვარებული ნახშირივით წითელია, მისი სხეული ცეცხლზე უფრო ცხელია” (ნართები.., 2000: 24).

ლცია-ლუგ აშიაძა ეიფშმ იშმკაკიან “მისი სხეული (კანი და ხორცი) ჭყინტი ყველივით თეთრი იყო” (ნართები.., 2000: 13).

აციერუ რგუნგ აშირაქია რალწრა “სხეულზე შეშუპებების, ჩირქებროვების ამოსვლა”. (საბინეცკი, 1910: 31)

ა-ცი-ტ-ჟ-ხითაქია “სხეულის ნაწილები”

ტერმინი შედგება ა-ცი-ტ-ჟ “სხეული” და მრავლობით რიცხვში მდგომი ა-ხითა “ნაწილი” სიტყვების ფუძეებისაგან.

აუაკე იციერუ ხითაქია “ადამიანის სხეულის ნაწილები” (კვიტინია, 1997: 11).

ა-ძამკა, აბაზ. ძამჭ°ა|| ზამჭ°ა|| ძამკა “ლოყა”

კომპოზიტი ჩანს. უნდა შედგებოდეს წყლის აღმნიშვნელი (ა-ძგ
სიტყვისა და გზის აღმნიშვნელი მჭ°ა > ა-ძკა სიტყვებისაგან,, ანუ ტერმინის
ამოსავალი სემანტიკაა “წყლის (ცრემლის) გზა”.
აძამკა თუფეხო აგარა დგარან “ბავშვი ლოყაჩამთბარი აკვანში იწვა”
(ნართები, 2000: 31).

ა-ძლგ აბჟ., ა-ძ'ლგ ბზიფ. “ლოყა; დაწვი”

CCV სტრუქტურის ტერმინია. მისი მორფოლოგიური აგებულება ცხადი
არ არის. შეიძლებოდა, გვევიქრა, რომ ფუძეში მონაწილეობს წყლის
აღმნიშვნელი ძ თანხმოვანი (შდრ. ტერმინი ა-ძამკა “ლოყა” < “წყლის გზა”),
მაგრამ ამგვარი დაცაგშირება პრობლემურია, ვინაიდან წყლის აღმნიშვნელი
ფუძე ბზიფურ დიალექტში შეიცავს სადა ძ თანხმოვანს, საანალიზო სიტყვაში
კი სისინ-შიშინა ძ' ფონემა გვაქვს იმავე ბზიფურ დიალექტში.

ა-ჭაპან “ჭიპლარი, ჭიპი”

მიიჩნევა მეგრული დიალექტიდან ნასესხებ სიტყვად. შდრ.: ქართ. ჭიპ-ი,
მეგრული ჭიპ-ი, ლაზური ჭიპა (შაგიროვი 1989: 146), თუმცა ასახსნელია
ბოლოკიდურა ან სეგმენტის რაობა-წარმომავლობა. აბაზურში ამავე
მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი ბგნჯა, რომელიც ხის კვირტსაც აღნიშნავს.
ა. შაგიროვს ეს სიტყვა სამართლიანად მიაჩნია ყაბარდოულიდან ნასესხებად:
შდრ. ყაბ. ბგნჯა და ადიდეური ნებგჯ (შაგიროვი 1989: 146).

ა-ჭაჭა აბჟ., ჭაჭა აბაზ., ჭაჭე უბიხ. “თირკმელი”

ნასესხებია მეგრულიდან, შდრ. მეგრ., იმერ. ჭაჭა. სპეციალურ
ლიტერატურაში, კერძოდ ა. შაგიროვთან გვხვდება, რომ ქართველურ ენებში ჭაჭა
აფხაზურ ნასესხობაა. (შაგიროვი, 1977: 200)

არმარახ~ იკუდუ აჭაჭა ემშა ემშაუბ “მარცხენა თირკმელი უფრო დიდია”
(კვიწინია, 1997: 127).

ა-ჭმაძე “ნერწყვი”

ორკომპონენტიანი რთული სიტყვაა. პირველი კომპონენტია პირის აღმნიშვნელი ა-ჭმე სიტყვის ფუძე, რომელსაც მიერთვის წყლის აღმნიშვნელი ა-ჭმე სიტყვის ფუძე. თავდაპირველი სემანტიკაა “პირის წყალი”.

აჭმაძე ზურბულა აუატალაქია ირგხანულ აუიძე უატალაქია “ნერწყვის გამომყოფ ჯირკვლებს სანერწყვე ჯირკვლები ეწოდება” (კვიჭინია, 1997: 104).

ა-ჭმე, აბაზ. ჭმა “პირი”

გ. როგავას მართებული თვალსაზრისით, საერთო აფხაზურ-ადილური ფუძეა, რომლის კონსონანტებს შორისაც კანონზომიერი ბგერათშესატყვისობაა: ადილ. უა-აფხ.-აბაზ. (ა)-ჭმე, უბის. ჭმგ (როგავა 1975: 50).

ჩვენი მხრივ დავამატებდით, რომ ამოსავალი საერთო აფხაზურ-აბაზური პრაფორმა შემოუნახავს აბაზურ ენას ჭმა ვარიანტის სახით.

აფშიგზბა ლჭმე ანგლგძიძია “ქალიშვილმა პირი რომ დაიბანა...” (ნართები.., 2000: 54).

იჭმე ხტგმ “დაღვრემილია”, ზედმიწ.: “მისი პირი ახდილი არ არის”.

იჭმე აკიტ “დამუნჯდა”, ზედმიწ.: “მისმა პირმა დაიკავა”.

იჭმე ფურჩმუამ “უარს არ ეტყვიან”, ზედმიწ.: “მის პირს ისინი არ გატეხენ”.

ა-ჭმერუ-არა, აბაზ. ჭმერუ-არა “დიდი პირი”

ფუძეში უდავოდ შედის პრის აღმნიშვნელი სახელის ჭმე ძირი, რომლის მომდევნო ნაწილი აშკარად მასდარის ფუძეა და შეიცავს კაუზატივის რ-პრეფიქსს, უა ძირსა და მასდარის მაწარმოებელ -რა სუფიქსს, თუმცა მთლად ცხადი არ არის უა ძირის სემანტიკა.

ა-ჭმერა აბჟ., ა-ჭმარა ბზიფ. “სასა”

ფუძე შედგება ა-ჭმე ”პირი” და ა-ჭმა “ფსკერი, ძირი” სახელების ძირებისაგან. ამოსავალი სემანტიკაა “პირის ღრუს ფსკერი”, რაც იმას ნიშნავს, რომ ტერმინი თავდაპირველად სასის ნაცვლად პირის ღრუს ფსკერს აღნიშნავდა და შემდგომ მოხდა სემანტიკის გადაწევა. საინტერესოა, რომ აფხაზურ ენას უსესხებია ქართული სასა ტერმინი, ოდონდ ა-სასა ფორმას აქვს პირუტყვის პირის, ხახის მნიშვნელობა.

აჭმეწა ხეხტით ათუან “სასის ზედა თაღი” (კვიშინია, 1997: 99).

ა-ხაგითა აბჟ., ა-ჲაგითა ბზიფ., გაგითა // გექითა აბაზ. “თხემი”

ამოსავალი სახეობაა აბაზური ჭაგითა, რიგით მეორეა აბაზურივე ჭგქითა, რომელიც მიღებულია $\Delta > \text{გ}$ გადასვლისა და ფშვინგიერი $\Theta-\text{ს}$ გავლენით $\text{გ} > \text{ქ}$ ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად. ბზიფური **ა-ჲაგითა** წარმოქმნილა ამოსავალი \mathfrak{g} თანხმოვნის \mathfrak{k} სპირანტად სპონტანური გარდაქმნის გზით, ხოლო აბჟური გარიანტი მისგან მომდინარეობს.

იბლაქია იხაგითახ ~ იხალტ ”თვალები შუბლზე აუვიდა, გაოცდა, გაოგნდა”, ზედმიწ.: ”თვალები თხემზე აუვიდა” (კასლანძია, 1995: 24)

ა-ხაფიკაბჟმ “კეფა”

კომპოზიტია, რომელიც სამი ფუძის შეერთებით არის ნაწარმოები: **ა-ხე** ”თავი” + **ა-ჷიკა** ”მხარი” + **ა-ბჟმა** ”ნახევარი” (კასლანძია 1998:: 93), თუმცა სემანტიკური მხარე შემდგომ კვლევას მოითხოვს, ვინაიდან ცხადი არ არის, თუ რა კავშირია კეფას, მხარსა და ნახევარს შორის.

ა-ხაფეც აბჟ.. ა-ჲაპეც ბზიფ, ფეც აბაზ. “კბილი”

აფხაზური ვარიანტები მიღებულია აბაზური ფეც სახეობის თავის აღმნიშვნელი $\mathfrak{k}\mathfrak{a} < \mathfrak{k}\mathfrak{a}$ ძირით გართულების გზით. ბზიფური ფორმაში \mathfrak{z} თანხმოვანი დისიმილაციის შედეგია. ვარაუდობენ, რომ აბაზურში პირველადი ფეც სიტყვა ნიშნავდა ”წინა, საჭრელ კბილს” და შედგება ”წინა”-ს აღმნიშვნელი ფ ძირისა (იხ. ზემოთ **ა-ფე-ნ-წა** ”ცხვირი”) და აბჟ.-ბზიფ. **ა-ც** ”ცხოველის კბილი, ეშვი” სიტყვის ც ძირისაგან. თავის მხრივ, ამ ც ძირს აკავშირებენ ცალის, ერთეულის აღმნიშვნელ საერთო იბერიულ-კავკასიურ ც ძირთან (დევტერსი, 1963: 78-79; ლომთათიძე 1941: 205; ბურჭულაძე 1988: 251-252; აბდოკოვი 1983: 85).

მედა ყიარაშმ (ახაფეცია) ”უწყლო რიყე” (გამოცანის პასუხი: კბილები) (გულია, 1985: 189).

ნართაა $\mathfrak{h}\mathfrak{g}\mathfrak{t}\mathfrak{n}\mathfrak{e}\mathfrak{m}\mathfrak{u}\mathfrak{a}\mathfrak{h}$ აუაა რხაფეცია მუცხის იშმეკიაკიანგ, დარა უაა ეიქიაწიაზაპ “იმ ხალხს, რომლებთანაც ნართები მიღიოდნენ, კბილები

ძალიან თეთრი პქონიათ, ხოლო თავად შავები ყოფილან” (ნართები.., 2000: 45).

ზხაფუც კაფსაზ არასა იციგმლუპ “უპილოს თხილი ეზიზდება”.

ა-ხაფუცუ აბჟ., ა-ხაფუცუ ბზიფ., ფუცუ აბაზ. “ღრძილი”
კომპოზიტია. ნაწარმოებია ორი სახელის ფუძის შეერთებით: ა-ხაფუც
ჲაფუც “კბილი” + ა-უ “ხორცი”, ანუ “კბილის ხორცი”.

აქვე აკნუწყატი აცია მზლუხუ ახაფუცუ “პირის შიდა კანისაგან შედგება
ღრძილი” (კვიშინია, 1997: 99).

ა-ხაშთახ~ აბჟ., ა-ხაშთახ~ ბზიფ. “კეფა”
რთული სიტყვაა. შედგება ა-ხე~ // ა-ხე~ “თავი” + ა-შთახ~ “უპან”
ფუძეებისაგან.

ა-ხაჭმახ~ აბჟ., ა-ხაჭმახ~ ბზიფ. “სახე, პირისახე”
მიღებულია ა-ხაჭმე // ა-ხაჭმე “სახე, პირისახე” კომპოზიტები ქართულიდან
ნასესხები ა-სახ~ < სახე ფუძის მიერთების გზით.

ა-ხაჭმე აბჟ., ა-ხაჭმე ბზიფ., ჭმაჭა აბაზ. “სახე, პირისახე”
შედგება თავის აღმნიშვნელი ჭა > ხა > ხა ძირისა და პირის
აღმნიშვნელი ჭმა > ჭმე ძირებისაგან. ამოსავალი სემანტიკა “თავ-პირი”
შეიცვალა “პირისახი”-ს მნიშვნელობად. ტაპანთურში “პირისახის”
მნიშვნელობით გვხვდება ლაგთა-ც, რაც ეტიმოლოგიურად “თვალის ჭერის
ადგილს, ე.ი. თვალბუდეს” ნიშნავს, ხოლო აფხაზურში გამოიყენება “მზერა,
გამოხედვა, გამომეტყველები”-ს მნიშვნელობით.

ა-ხშმევ აბჟ., ა-ხშმევ ბზიფ. “ტვინი”
სიტყვის ისტორიისა და აგებულების შესახებ იხ. ქვემოთ, მომდევნო
ნაწილში.

ამჩი ახშმევი დარა იგუმ “ძალა და გონი, ჭკუა მას არ აკლია” (ნართები.., 2000: 18).

იხშმულ ფერულ ტექსტზე “არასერიოზულია, ჰკუმხიარულია”, ზედმიწ.: “მისი ჰკუმ დაფრინავს”.

იხშმულ თაშიერტ “დაჭვიანდა, ჰკუმა მოემატა”, ზედმიწ.: “მისი ჰკუმ შიგ ჩავარდა, ჰკუმა ჩაუვარდა”.

**ა-ხშმებავ // ა-ხებავ აბჟ., ა-ხშმლებავ // ა-ხშმებავ ბზიფ., წაბგჷ //
წაბგჷლაშმა აბაზ. “თავის ტვინი; თავის ქალა”**

ჩვენი აზრით, არქეტიპად უნდა ჩაითვალოს აბაზური წაბგჷლაშმა ვარიანტი, რომელიც აშკარა სიძველეს გვიჩვენებს. იგი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: წა “თავი” + ბგჷ < ბაჲ < * ბაჲა “ძვალი” (შდრ. რეალურად დამოუკიდებელ სიტყვად არსებული აბაზური ბჲა) + გაურკვეველი სემანტიკის ლაშმა (შდრ. ზემოთ მსჯელობა პ-ბაკლაშა სიტყვის შესახებ). აბაზური წაბგჷ ვარიანტიც გვიდასტურებს, რომ ეს ფორმა რეალურად დასტურდებოდა დამოუკიდებელ სიტყვად. რაც შეეხება აბუურ და ბზიფურ ვარიანტებს, ისინი სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა მოქმედებით გვიან წარმოქმნილი ფორმებია. ასევე ახალია აბჟ. ა-ხშმებავ და ბზიფ. ა-ხშმებავ “ტვინი” სახეობებიც და ისინიც იმავე არქეტიპისაგან მომდინარეობენ. რაც შეეხება წარმოდგენილ ფორმათა სემანტიკას, ისინი, ერთი მხრივ, აღნიშნავენ “თავის ტვინს”, მეორე მხრივ კი “თავის ქალას”.

გვიქრობთ, თავდაპირველად თავის ქალას აღნიშვნის ფუნქცია უნდა ჰქონოდა წაბგჷ “თავის ძვალი” ვარიანტს, წაბგჷლაშმა ვარიანტი კი აღბათ “თავის ტვინს”. შესაძლოა, ლაშმა კომპონენტი უკავშირდებოდეს (ა)ლაშმა “ნათელი” სახელს და ტერმინში შექმნდა სემანტიკა “თავის ქალას ნათელი, თეთრი [ნივთიერება]”.

აწია ზთაგულოუ აშმთა ზლაკიგრშმოუ ამასარქია უაკ ხებაკლა ითოუბ “ვაშლი რომ დგას, იმ ეზოს გარშემო დობე (სარები) ადამიანის თავის ქალებით არის სავსე” (ნართები, 2000: 95).

უბრივ ახშმებავ აუბ უაბხია იხეხ~ ხოშიგ “ის თავის ტვინი არის შენი მამამთილის (სიმამრის) თავის ტკიფილის წამალი”

ა-ხებავ აბჟ., ა-ხებავ ბზიფ., წა აბაზ. “თავი”

პ. ჭარაია აფხაზურ (აბჟურ) სიტყვას აკავშირებდა ქართულ თხემ-ი სახელთან (ჭარაია 1912: 42-43), რაც პრობლემურია.

აკად. ქ. ლომთათიძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ზემოთ დასახელებული სამი აფხაზურ-აბაზური ფორმიდან ფონეტიკურად უძველესი (ამოსავალი) ვარიანტი შემონახულია აბაზურ ენაში, ბზიფური და აბჟური ვარიანტები კი მისგან მომდინარეობენ გ > ხ > ხ და ა > გ გარდაქმნათა საფუძველზე (გრცლად იხ. ლომთათიძე 1944: 29; ლომთათიძე 1954: 37; ლომთათიძე 1976: 112, ლომთათიძე 1980: 57).

ახგ აქიმწევტ “თავი გაწირა”, ზედმიწ: “თავი ზედ დადო”.

სხვ ხეშიწია “პასუხს ვაგებ, რომ...”, ზედმიწ: “ჩემი თავი მომაჯერით”

ხელა დნეციონტ “ჭკვიანია, ყველა ნაბიჯი გათვლილი აქვს”, ზედმიწ: “თავით დადის”.

ახგ ათანგ “ორგანიზებულად, გათვლით, გონივრულად”, ზედმიწ: “თავის მიცემით”.

ა-ხესმაცია // ა-ხესგა ნაცია “საჩვენებელი თითი”

ტერმინის პირველი ვარიანტი მომდინარეობს ორსიტყვიანი მეორე ვარიანტისაგან. ა-ხეს-გა ფორმაში ხეს ფუძე უკავშირდება ა-ხეს-რა “სროლა” ზმნას, -გა სამოქმედო იარაღის აღმნიშველი საგანგებო სუფიქსია.

მეორე სიტყვა ა-ნაცია “ხელის თითი” სიტყვის ფუძეა. მთლიანად ტერმინი ითარგმნება როგორც “თითი, რომლითაც ისვრიან, სასროლი თითი”. ტერმინი გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლას, რის გამოც უნდა დავასკვნათ, რომ ორივე ვარიანტი ვერ იარსებებდა გვიანდელ შეა საუკუნეებამდე, სანამ აფხაზთა წინაპრებს შორის მასობრივად არ გავრცელდებოდა ცეცხლსასროლი იარაღი.

საჩვენებელი თითის თავდაპირველი სახელწოდება შემოუნახავს ტაპანოურ დიალექტს ფშმგა “საჩვენებელი” ფორმით, რომელიც უკავშირდება “ცქერის, მზერის” აღმნიშვნელ ფშმ-რა ზმნას და შეიცავს სამოქმედო იარაღის -გა სუფიქსს.

ა-ხიამც “სხეულის ნაწილი წელს ზემოთ, ტორსი”

სიტყვის სტრუქტურა ნათელი არ არის. მოითხოვს დამატებით კვლევას. ტაპანოურში გამოიყენება სიტყვა ჭიადი “სხეული”, რომელიც არ გვხვდება

აფხაზურში. ა-ხირმც და ჭიადი ფორმებში ხია და ჭია სეგმენტები ვერ გაიგივდება იმის გამო, რომ ბზიფურ დიალექტში ჭი ფონემის ფარდად არ დასტურდება მოსალოდნელი სპეციფიკური ჲი სპირანტი.

ახირმც აბაკეთი “სხეულის ძვლები” (კვიშინია, 1997: 23).

ა-ხირდა აბჟ., ა-ხირდა ბზიფ. “კისერი; ყელი”, აბაზ. ჭირდა “კისერი”

ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო *ჭიადა, რომელიც რეალურად არ დასტურდება. არქეტიპთან ყველაზე ახლოს აბაზური ფორმაა, რომლისგანაც მიღებულია ბზიფ. ა-ხირდა > აბჟ. ა-ხირდა. სემასიოლოგიურად საინტერესოა, რომ ტაპანთურ დიალექტში ყაბარდოულიდან ნასესხები თამაყ არ გამოიყენება კისრის მნიშვნელობით და აღნიშნავს მხოლოდ “ყელს” (ამიჭბა 1967: 147).

იხილა აძახია ახარწევტ “მოკლეს”, ზედმიწ.: “ყელზე ვაზი შემოახვიეს, მოაბეს”.

იხილა აა-ლაკ ირზგჭომ “ძალიან მსუქანია”, ზედმიწ.: “მის კისერს რვა ძალლი ვერ შეჭამს”.

ა-ხირდათაგგლა “ნუშისებრი (ნუშურა) ჯირკვალი”

რთული ტერმინია. პირველი კომპონენტის ა-ხირდა “კისერი; ყელი” შესახებ იხ. ზემოთ. მეორე კომპონენტი თაგგლა ზმნა ა-თაგგლარას “რამეს შიგნით რაღაცის ჩადება, ჩადგმა” ფუძეა. ტერმინის ზედმიწევნითი სემანტიკაა “ყელში ჩადგმული”.

ა-ხირდაცია აბჟ., ა-ხირდაცია ბზიფ. “კანი კეფაზე”

კომპოზიტია, რომელიც შედგება ა-ხირდა // ა-ხირდა “კისერი; ყელი” და ა-ცია “კანი” სახელების ფუძეებისაგან. ზედმიწევნით ნიშნავს “კისრის კანს”.

ა-ხახირდა აბჟ., ა-ხახირდა ბზიფ., ჭაჭირდა აბაზ. “კეფი”

შედგება თავის აღმნიშვნელი ჭა > ჲა > ხა ძირისა და კისრის, ყელის აღმნიშვნელი ჭირდა > ჲირდა > ხირდა ფუძისაგან. ამოსავალი სემანტიკაა “კისრის ზემოთა (ნაწილი)”.

ა-ხიდაჭალ აბუ., **ა-ხიდაჭალ** ბზიფ. “კეფა”

რთულფუძიანი ტერმინის პირველი კომპონენტია კისრის, ყელის აღმნიშვნელი **ჲიდა** > სიდა ფუძე, მეორე კომპონენტის რაობა და წარმომავლობა ცხადი არ არის.

ახებავ აბაკეთ ჰია ირგფხაძოდტ: ახიდაჭალ.. . . “თავის ქალის ძვლებია: კეფა...” (კვიშინია, 1997: 31).

ა-ხიდგრრა “ხრტილი”

სახელის სტრუქტურა და წარმომავლობა ნათელი არ არის და მოითხოვს დამატებით კვლევას.

აყირატირა ახიდგრრა “სახსრის ხრტილი” (კვიშინია, 1997: 63).

ა-ხილამშიგ // ა-ხილამშია “ხახა”

სახელის სტრუქტურა და წარმომავლობა ცხადი არ არის და მოითხოვს დამატებით კვლევას.

აჭატი აჭმე აგიაკარა აყუნტი ნაყ იახ-თალო აციეიუხითა იახ-ძუპ ახილამშიგ. “ორგანოს, სადაც პირიდან საჭმელი გადადის, ხახა ჰქვია” (კვიშინია, 1997: 108).

ა-ხიგცი “ყელი”

სახელის სტრუქტურა და წარმომავლობა ცხადი არ არის და მოითხოვს დამატებით კვლევას.

ა-ჯმშ “წარბი”, აბაზ. ჯმსა “წარბი”

უფრო ძველი აბაზური ვარიანტი ჩანს. მასში შიშინა ჯ თანხმოვნის ზეგავლენით მოხდა სისინა ს თანხმოვნის ასიმილაცია და მივიღეთ აფხაზური ვარიანტი (შაგიროვი 1982: 43). გ. კლიმოვის აზრით, აბაზურში დაცული მსა ფუძე გვხვდება აფხაზურ სიტყვაში ა-ქამსა “გაწეშილი, ბალნიანი, ბანჯგვლიანი” (შაგიროვი 1982: 59), თუმცა მკვლევარმა ვერ ახსნა ამ უკანასკნელი სიტყვის ქა სეგმენტის რაობა. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ არც წარბისა და არც ბანჯგვლიანის აღმნიშვნელი ფუძეების მორფოლოგიური სტრუქტურა ჯერ კიდევ არ გარკვეულა.

აჭმეიფშე დედლაშიოუბ “კოხტად, კარგად აცვია”, ზედმიწ.: “წარბივით არის გახვეული, შემოსილი”.

ატგ აბლაქია ანაუ, აჭმშ იაშიონ “როდესაც ბუმ თვალები მიიღო, წარბს ითხოვდა”.

ა-კეტრა, აბაზ. ჰეტრა “იღლია”

ფონეტიკური არქეტიპი შენარჩუნებულია აბაზურში, ხოლო აფხაზური ვარიანტი ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგადაა მიღებული, კერძოდ: ფარინგალური ლაბიალიზებული ჸ სპირანტი გარდაქმნილია მეორეულ ჸ სპირანტად, ბოლოდან მეორე უმახვილო ა ხმოვანი კი რედუცირებულია.

ფუძეში აშკარად გამოსაყოფია პოლიფუნქციური სიტყვათმაწარმოებელი -რა სუფიქსი. შესაძლოა, ჸა “ფსკერის, ძირის” აღმნიშვნელი სახელის ძირი იყოს. რაც შეეხება ჸ > ჸ სეგმენტს, მისი რაობა გაურკვეველია.

იღლიის აღსანიშნად დასტურდება აგრეთვე აბჟ. ა-მღეტრა და ბზიფ. ა-მღრეტა. ბ. ბლაჟბა მათში სამართლიანად ხედავდა რ თანხმოვნის მეტათეზის: ამოსავალი ფორმა აბჟური უნდა იყოს და მასში გამოსაყოფია პოლიფუნქციური სიტყვათმაწარმოებელი -რა სუფიქსი (ბლაჟბა, 2006: 121), თუმცა დანარჩენი ნაწილების რაობა სარკვევია.

ბკეტრა იწაკ “შენს იღლიაში დამალე” (ნართები..., 2000: 19).

ამრიგად, ჩვენ მიერ სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილებში გაანალიზებული ადამიანის ანატომიასთან დაკავშირებული სახელწოდებები საშუალებას გვაძლევს, გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. ტერმინთა უმრავლესობა სახელებია;
2. სახელთა დიდი ნაწილი კომპოზიტური შედგენილობისაა;
3. საუხერხულო სემანტიკის გადმოსაცემად გამოიყენება ტაბუირებისა და ეფუძნების ხასიათი;
4. ნასესხები ლექსიკა მინიმალური რაოდენობით არის წარმოდგენილი;
5. ადამიანის სხეულის ნაწილების ამსახველი ტერმინების დიდი ნაწილი დასტურდება ფრაზეოლოგიზმებში და მხატვრულ ტექსტებში;

6. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დიდი ნაწილი შედგენილობისა და სემანტიკის მხრივ სრულად, ან ნაწილობრივ ემთხვევა ქართულ ფრაზეოლოგიზმებს.

თავი II

დაავადებებთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ლექსიკა

1. დაავადებათა სახელწოდებანი

დაავადებათა აღმნიშვნელი აფხაზური სახელებიდან შედარებით მცირეა მარტივფუძიანი სახელები, მათი უმრავლესობა დერიგაციის, ან ფუძეთა შერწყმის (კომპოზიციის) გზით წარმოქმნილი ტერმინია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ჯგუფის სახელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ნეოლოგიზმებია.

ქვემოთ ჯერ წარმოვადგენთ კონკრეტულ ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს, შემდეგ კი შევაჯამებთ მთლიანად ამ ჯგუფის სახელწოდებათა კვლევის განხოგადებულ შედეგებს.

ააპკრა, ტაპ. ჭაპკრა “ცოფი”

რთული შედგენილობის არსებითი სახელია.

გამოიყენება ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაშიც: დააპკრ დზგდჭმაჲალო “უახლოესი, ყველაზე სანდო ადამიანი” (ზედმიწა: “ვისაც გაცოფებულთან მიაბამენ ხოლმე”).

ეს სიტყვა ერთპირიანი გარდაუვალი ზმნის მასდარია, რომლისგანაც იწარმოება დრო-კილოთა ფორმები: მააპკიტ “ის (ნ.) გაცოფდა”, დააპკიტ “ის (ად.) გაცოფდა”. გამოიყოფა მასდარის მაწარმოებელი -რა სუფიქსი და აქეთა მიმართულების აა- < ჭა- ზმნისწინი, ძირია პკ, რომლის სტრუქტურა ნათელი არაა. ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელია მასში წარმოდგენილი იყოს ა-პ-რა “დაჭერა, შეპყრობა” ზმნის პ ძირი, რომელიც ხშირად დასტურდება დაავადებათა აფხაზურ სახელებში (იხ. ქვემოთ). თუ ეს ვარაუდი სწორია, სიტყვა კომპოზიტური ბუნებისა ყოფილა, ცოფის სახელად კი პ ძირი უნდა ჩაითვალოს და სემანტიკურად უნდა აღნიშნავდეს “ცოფისაგან შეპყრობას”.

დააპკურ დზედჭმაჲშიალო “ყველაზე ახლობელი ადამიანი”, ზედმიწევნით “თუ გაგიჟდა, ვისაც მიაბამენ; ის, ვისზეც გაცოფებულს მიაბამენ” ალა ააპკურ – დაადაყა იცოდტ. “ძაღლი რომ გაცოფდება, ლვადაში გარბის” (გულია, 1985: 170)

ანცია ათაზარა “წმინდა ვიტეს დაავადება”

ზედმიწევნით: “რაღაცის შიგნით, ე.ი სხეულში ღმერთის ყოფნა”. სინტაგმა ტაბუირების მაგალითია და გამოხატავს ფსევდოდადებით კონტაციას.

ანცია ჩემაზარა “წითელა”

ზედმიწევნით: “ღმერთის, ღვთაებრივი დაავადება”. სინტაგმა ტაბუირების მაგალითია და გამოხატავს ფსევდოდადებით კონტაციას.

ა-ბარბაც “ალერგია, კანზე გამონაყარი”

სიტყვა ნასესხებია მეგრულიდან, სადაც ბარბაც-ი “გამონაყარს, ქავილს” ნიშნავს.

ა-ბაჟ-კიადარა “რაქიტიზმი”

სახელის შემადგენობაში შედის: არსებითი სახელი ა-ბაჟ “ძვალი” + ქართულიდან ნასესხები ზედსართავი სახელი ა-კიადა “სუსტი”, ხოლო -რა – მასდარის მაწარმოებელია. ზედმიწევნით სახელი ნიშნავს “ძვლის სისუსტეს”.

აფხაზურ სიტყვა ა-კიადა-ს ქ.ლომთათიძე ადარებს ქ. ქართულ მკოდოვის.

აკიადასთან დაკავშირებულ სტატიაში მკვლევარს მოჰყავს ქ. ბოჟდას აზრი, აფხაზურსა და აბაზურში არსებული ა-კიადა “სუსტი, უძლური” სიტყვა უკავშირდება ადილურ ენათა კიადგნ ფუძეს, რაც ნიშნავს “უფსკრულს”, “დაკარგვას”. ამავე სიტყვასთან დაკავშირებით ლომთათიძეს მოჰყავს აბდოკოვის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ა-კიადა დაკავშირებულია პირველი ნაწილის სახით ადილურ კიაჭმა-სთან, რაც “ძალას” ნიშნავს, ხოლო მეორე საფუძველზედაც წარმოქმნილია კიადა სიტყვის მნიშვნელობა “უძლური”, “სუსტი”.

ქ. ლომთათიძის აზრით, იგი უკავშირდება ძველი ქართულის მკოდოვი ფუძის ამოსავალ *მკვედავ (\rightarrow *მკოდავ \rightarrow *მკოდოვ) სახეობას აფხაზურის შესაბამისი გახმოვანებით და კიდურა თანხმოვანების “მოკვეცით”.

ძველი ქართულის “მკოდოვი” ნიშნავს “დარიბი”, “დატაკი”. დარიბის გაგებაში ხშირად სწორედ “სუსტის”, “უძლურის” მნიშვნელობით იჩენს თავს.

მკოდოვი სიტყვის ამოსავალი უნდა იყოს ქართული კვდომა ზმნის პვედ (კვედავ) ფუძე, რომელსაც სავსებით კანონზომიერად აფხაზურში სესხებისას უნდა მოეცა კვად(ა). ხოლო ქართულში მოქმედ ფონეტიკურ პროცესთა ნიაგადზე მოსალოდნელი იყო ასევე მისი კვდ(ა)კლ| | კლ სახეობები.

ქვ. ქართულის მკოდოვისა “დარიბი” (ეტიმოლოგიურად “სუსტი”, “უძლური” $<$ “მომაბვდავი”) და აფხაზურ-აბაზური მეორეული გარიანტის მიმართება საინტერესოა იმ მხრივ, რომ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა საკმაოდ მიახლოებული სემანტიკით შემოუნახავს აფხაზურ-აბაზურს (ლომთათიძე, 1998: 7-8).

ა-ბაჟფშიარა “მოტეხილობა”

ტერმინი კომპოზიტია და წარმოებულია ა-ბაჟ “ძვალი” არსებითი სახელისა და ა-ფშიარა “მოტეხა, მოწყვეტა” მასდარის ფუძეთა შეერთების გზით. ამ დროს მასდარს აღარ ერთვის ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა-პრეფიქსი.

ა-ბზრა “წითელა”

ტაბუირებული ტერმინი. ზედმიწევნით “კარგი”.

აფხაზურ ენაში მრავლად გვხვდება ტერმინები, რომლებიც დაავალებას აღწერით, მთელი ფრაზის, ან სინტაქსის მეშვეობით გადმოსცემენ.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ტერმინთა ერთი ნაწილი აღნიშნავს იმ გადამდებ დაავალებებს (ყვავილი, წითელა, წითურა, ყივანახველა, წმინდა ვიტეს დაავალება...), რომლებსაც სხვადასხვა ეთნოსში განსაკუთრებული რიდით ეპყრობიან და მათ ლვთისაგან, თუ ლვთაებათაგან მოვლენილად მიიჩნევენ. ამ დაავალებათა მიმართ ხალხის შიში და მოწიწება იმითაც გამოიხატება, რომ მათ ზოგად სახელწოდებად ტაბუირებული სიტყვა “ბატონები” (აფხაზურად აჭცია იხ. ქვემოთ) იხმარება, ხოლო სნეულს განსაკუთრებულად უვლიან, უქმნიან სასიამოვნო გარემოს, რთავენ და კაზმავენ ბინას, დაავალებულს ართობენ

მუსიკითა და სიმღერით, უსრულებენ სურვილებს, ერიდებიან უკმაყოფილების გამოხატვას, არასასიამოვნო თემებზე (მაგალითად, სიკვდილზე) საუბარს და ა.შ.

აღნიშნულ დაავადებათა მიმართ ასეთი დამოკიდებულების ამსახველია შესაბამის სახელწოდებებში სიტყვა “ღმერთის”, ან ზედსართავ “კარგის” გამოყენება (“ღმერთის დაავადება”, “რაღაცის შიგნით, ე.ი სხეულში ღმერთის ყოფნა”, “კარგი ხველა”, შდრ. ჭლექი, რომელიც “ბატონების” კატეგორიაში არ შედის, რის გამოც მას “ცუდი ხველა” ჰქვია).

აცილფშება უავგ იანიხლაკებული “აბზია” ჰია დაშთან, ახ-ძ რჷოომგზტ, ნასგუ იკიაშმონ “როდესაც ადამიანი წითელათი ან ყვავილით ავადდებოდა, მის (დაავადების) სახელს არ იძახდნენ, თან ცეკვავდნენ” (გუბლია, 1965: 96)

ა-ბლე “თიაქარი”

აქ ბლე მარტივი ფუძეა, ნაწარმოებია ა-ბლე-რა “წვა” (ი-ბლ-იტ “დაიწვა”) ზმნისგან. ამგვარ ახსნას სემანტიკური დაბრკოლება არ ახლავს, ვინაიდან სახელის მოტივაცია ემყარება თიაქარისთვის დამახასიათებელ სიმპტომს – ამ დაავადებას თან სდევს წვის შეგრძნება. ტერმინი ა-ბლე “თიაქარი” მარტივფუძიანი მიმღეობაა, ამ ტიპის მიმღეობები კი აფხაზურში მეტად გავრცელებულია (ლომთათიძე, 1979: 216).

აჟაშმ კნაჟანგ აცია ახე ზხებულა?
აქმაფშ ამცა დაქიუნგ იზბგლებულა?
მათაფშ წაკნგ “ხი” ზჲიახებულა?
სუმშო ბზიოუპ,
ახეა რტიაგა აფსუფ ალა სუთიშიომტ,
ჩფტუ, ჩფტუ, ჩფტუ! (აგრბა ოლდა, ზ. ეშერა)

“პანტა მსხალი ვინ ჩამოკიდა და კანი ვინ გააცალა?
ყავისფერი შეფერილობის თხა ვინ დააგდო ცეცხლზე და ვინ დაწვა?
კავკასიური გველგესლა ვინ დამალა და “ხი” ვინ თქვა?
ჩემი ფეხი კარგია (კარგი ფეხი მაქვს),
ტკივილს შებერვით შეგილოცავ,
ჩფუ, ჩფუ, ჩფუ (შებერვის ბგერითი მიბაძვა”).

ა-ბრუ//მგბრუ

საქონლის დაავადების სახელია. პირუტყვი ავადდება, თუ შეჭამს იმ ფოთოლს, რომელშიც მუხლუხოა გახვეული. აფხაზურად ა-ბრუ “მუხლუხოს” ნიშნავს (კვარჭია 1981: 44). შესაძლებელია, ბრუ ქართულიდან იყოს ნასესხები, შდრ.: ბრუ-ალ-ი, თავ-ბრუ. ტერმინის არააფხაზურ წარმოშობაზე აუსლაუტში წარმოდგენილი უ ხმოვანიც უნდა მიანიშნებდეს, რომელიც აქ არ უნდა ყოფილიყო.

ა-ბგლრა, აბაზ. ბგლრა “დამწვრობა”

ამ შემთხვევაში წარმოდგენილია იგივე ძირი ბლ/ბგლ: ბგლ მარტივი ზმნური მორფემაა, ხოლო -რა – მასდარის მაწარმოებელი.

ციი-უი ეიგაცნუ ინხახ~ადა,
აცგიგ ალა ეიშმუანუ იზბახ~ადა?!
აჯგმშცია ლაწანუ იააზრუ ხხ~ადა,
აჯმა წაცნუ იციალიახ~ადა?!
აბგლრა ხ~აუბ ჰია ზაჰახ~ადა?!
უა – ალაფშმ! (გულია, 1939: 170)

“ხარი და ძროხა ერთად შებმული ვის დაუტოვებია,
კატა რომ ძაღლს უყეფდეს, ვის უნახავს?!
ხახვის ჩენჩო დათესვით ვის მოუყვანია,
თხის შებმით ვის უხნავს?!
დამწვრობა ტკივილიაო, ვის გაუგია?!
უი – გათვალვა!”

ა-გიაანგელარა “გულისცემის შეჩერება; არიომია”.

სახელი ნაწარმოებია ა-გიგ “გული” ფუძისა და აანგელარა “გაჩერება, შეჩერება” მასდარის შეერთებით. ამ კომპოზიტური მასდარისაგან ზმნის კლასოვან-პიროვან ფორმათა წარმოების დროს კომპოზიტი იშლება შემადგენელ ორ კომპონენტად და გულის აღმნიშვნელი ფუძე სუბიექტის გამომხატველ სახელად რჩება, ხოლო მეორე კომპონენტი (მასდარი) ზმნის ჩვეულებრივ ფორმად იქცევა: სგიგ აანგელომატ “ჩემი გული ჩერდება, გული მიჩერდება”.

ვფიქრობთ, კომპოზიტის ასეთი ქცევა იმის ამსახველია, რომ მასდარი ა-გიაანგელარა უკვე ტერმინოლოგიზებულია (ლექსიკალიზებულია) - სამედიცინო

შინაარსის მქონე ტერმინადაა ქცეული და კონკრეტული სხეულების აღმნიშვნელი დასახელების (ნომინატიური) ფორმაა, თუმცა მის შემადგენელ ნაწილებს ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ ბოლომდე ერთმანეთთან შერწყმა.

ა-გიახერწერა “გულის გაფართოება (დაავადება)”

კომპოზიტია. ა-გიგ “გული”, ხ – ა-ხე “თავი” სიტყვის კონსონატური ნაწილია, ად- საურთიერთო კატეგორიის პრეფიქსი. ა-წერა “რაიმედან გამოსვლა, რაიმედან ამოსვლა” ზმნისაგან მომდინარე წერწერა სეგმენტში პირველი წ არის ფუძე-წინდებული, მეორე კი – ძირ-სუფიქსი. მთლიანად ეს სიტყვა ნიშნავს “გულის თავის ზემოთ გამოსვლას”, ანუ “გადიდებას, გაფართოებას”.

ა-გიაწიგხერა, ბზიფ. ა-გიაწიკრა “ფილტვების ანთება”

ტერმინების პირველ კომპონენტად დვიძლის აღმნიშვნელი ა-გიაწია ფუძე გამოდის, აბჟუურ ვარიანტში მეორე კომპონენტია ტკივილის, სენის აღმნიშვნელი ხ- ძირი, ხოლო ბზიფურ ვარიანტში ა-კ-რა “დაჭერა, დაკავება, შეპყრობა” ზმნის ფუძე. შესაბამისად, აბჟუური სახელი ზედმიწევნით აღნიშნავს “დვიძლის ტკივილს”, ბზიფური კი “დვიძლის შეკავებას”, რაც რეალისა და მისი სახელწოდებების შეუსაბამობის მაგალითია – სახელები ხომ ფილტვის დაავადებას აღნიშნავენ და არა დვიძლისას! დამატებით კვლევას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიზეზმა გამოიწვია ტერმინის თავდაპირველი სემანტიკის გადაწევა.

ა-გიერსრა “გულისცემა”

კომპოზიტი ნაწარმოებია ა-გიგ “გული” სახელისა და ახსრა “ძგერა, ცემა” ზმნის ფუძის შეერთებით. ისევე როგორც ზემოთ განხილული ზოგიერთი ტერმინი, ამ სიტყვის შემადგენელი კომპონენტებიც დამოუკიდებელ სიტყვებად აღიქმება. ეს ვლინდება დრო-კილოთა ფორმების წარმოებისას კომპოზიტის ორ დამოუკიდებელ სიტყვად დაშლისას. მაგალითად, სგიგ ევსუევტ “ჩემი გული ძგერს, გული მიძგერს”.

ა-გიხაშმთრა “ამნეზია”

ტერმინი კომპოზიტია და წარმოებულია ა-გიგ “გული” არსებითი სახელისა და ა-ხაშმთრა “დავიწყება” მასდარის ფუძეთა შეერთების გზით. ამ

დროს მასდარს ადარ ერთგის ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა-პრეფიქსი. ზედმიწევნით “გულმავიწყობა”.

ა-გიტიბგლრა “კუჭის წვა”

კომპოზიტი შედგება ა-გიგ “გული” სახელისა და ა-ქი-ბგლრა “რისამე რამის ზედაპირზე წვა” მასდარის შერწყმის გზით. იგულისხმება კუჭის წვის დროს მუავიანობის მომატების შეგრძნება კუჭის ზემოთ, საყლაპავი მიღის ზედა ნაწილში, რაც ადამიანის ანატომიის ნაკლებად მცოდნე ადამიანს საკუთრივ გულის ზედაპირზე, გულის კოვზის შიგნითა მხარეს მიმდინარე პროცესად ეჩვენება. ამიტომ გაესმის ხაზი ამ აფხაზურ სიტყვაში გულზე, გულის ზედაპირზე წვას. ამ კომპოზიტურ მასდარსაც იგივე თავისებურება ახასიათებს, რაც ზემოთგანხილულ ა-გიანგგლარა და ა-გიესრა ტერმინებს. სიტყვა ა-გიტიბგლრა-ს შემთხვევაშიც, მისი შემადგენელი კომპონენტებიც დამოუკიდებელ სიტყვებად აღიქმება. ეს ვლინდება დრო-კილოთა ფორმების წარმოებისას კომპოზიტის ორ დამოუკიდებელ სიტყვად დაშლისას: იგი გქიბგლუებტ “მას კუჭი ეწვის”.

ადიღეური გიგ შხაბუმ, ა. შაგიროვის აზრით, გამომდინრეობს გიგ-დან, შხა “თავი” და ზმის ფუძე ბუმ “წიწვნა, წვა” (შაგიროვი 1977: 121)

ა-გიტმაზარა “გულის დაავადება”

კომპოზიტი მიღებულია ორი არსებითი სახელის ფუძის შეერთებით: ა-გიგ “გული” და ა-ჩემაზარა, ა-ჩმაზარა “დაავადება, ავადმყოფობა“. აფხაზურში მრავლად გვხვდება დაავადებების აღმნიშვნელი სიტყვები, რომელთა პირველი კომპონენტი არის მსაზღვრელი, კერძოდ, დაავადებული ორგანოს სახელი, ხოლო მეორე კომპონენტი საზღვრული სიტყვები ა-ჩმაზარა “დაავადება”, ან ა-ხაა > -ხ ~ “ტკივილი”. მაგალითად, აჭმეწა-ხ ~ “სურავანდი”, ახია-ფა-ჩმაზარა “სოკოვანი დაავადება”.

ა-გიტწალარა “1. გულის მანკი; 2. რისამე მძიმედ განცდა, რამის გამო წუხილი”

ნაწარმოებია ა-გიგ “გული” სახელისა და აწალარა “რისამე ქვეშ შესვლა” მასდარისაგან. გულის მანკი რეალურად წარმოადგენს დია არტერიულ ხვრელს, წინაგულთაშუა და პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტს, რაც იწვევს

პემოდინამიკურ დარღვევებს. საანალიზო სიტყვის სტრუქტურა და შემადგენელ კომპონენტთა ამოსავალი სემანტიკის ჯამი ახლოს არ დგას თვით გულის მანკის სპეციფიკასთან. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი წინაპრები არ იყვნენ ღრმად ჩახედული ადამიანის ანატომიასა და შინაგანი ორგანოების ფიზიოლოგიის საკითხებში, ამ სიტყვის ეტიმოლოგია სხვაგვარად უნდა აიხსნას. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ახსნა ასეთი შეიძლება იყოს: შესაძლებელია, აფხაზური ტერმინი ა-გიგწალარა “მანკი” დაკავშირებული იყოს გულის მანკისთვის დამახასიათებელ გულისწასვლის, ანუ გულის “გაპარვის”, სხეულის სიღრმეში “ჩაძირვის” შეგრძნებასთან. რაც შეეხება ტერმინის მეორე მნიშვნელობას (“რისამე მძიმედ განცდა, რამის გამო წუხილი”), იგი უნდა უკავშირდებოდეს დარღის გულის სიღრმეში შეღწევას. ეს სიტყვაც, დრო-კილოთა წარმოებისას ცალ-ცალკე სიტყვებად გვხვდება: სგიჭ წალომტ “რაღაცას ძალიან განვიცდი”.

ა-დაგია, აბაზ. დაგი, უბის. დაგიგ, ადიღ. დაგია // დაგიგ “ყრუ”

ა. შაგიროვის აზრით, ტერმინი ადიღური წარმოშობისაა და მიღებულია და “სმენა”, ან “ყური” ძირეულ მორფემაზე გია//ჭია პრივატული სუფიქსის დართვით. ავტორი საანალიზო სიტყვას ადარებს შაფსულურ დაგია “პირუტყვის მოკლე ყურები” სიტყვასთან, სადაც მეორე ნაწილში გვხვდება იგივე პრივატული სუფიქსი, რომლის ამოსავალია დამოუკიდებელი ზედსართავი “მოკლე”. ა. შაგიროვი წერს, რომ ელემენტი “სმენის”, ან “ყურის” აღმნიშნელი იგივე და ძირი წარმოდგენილია ზმნაში დაწიან “მიყურადება, ყურად აღება”.

ავტორის აზრით, გია//ჭია პრივატული სუფიქსი გვხვდება არა მარტო ადიღურ ენებში, მაგრამ სიტყვის ფუძისმიერი ნაწილი (და) გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ აფხაზურში, აბაზურსა და უბისურში საანალიზო ფუძე ადიღური ნასესხობაა, ხოლო აფხაზურის მეშვეობით ეს სიტყვა შევიდა მეგრულშიც – დაგვა “ყრუ” (შაგიროვი 1977 I: 145). ჩვენ ვიზიარებთ ა. შაგიროვის ამ მოსაზრებას.

ადაგია იზგ კგნტი ადაულ იასუამ “ყრუსთვის დოლზე ორჯერ არ უკრავენ” (შაგირილი, კონჯარია, 1986:193).

ა-დოუ ბზიფ. “ჯილეხი”

სიტყვის ეტიმოლოგია ცხადი არ არის და დამატებით კვლევას მოითხოვს. შესაძლოა, იგი ნასესხებიც იყოს რომელიმე ენიდან.

აქ მოვიყვანთ ჯილების საწინააღმდეგო აფხაზური შელოცვის ტექსტს, რომელშიც ჯილების სახელწოდება არ არის გამოყენებული, მაგრამ საინტერესოა, რომ მასში იხსენიება წითელი ქარის აღმნიშვნელი ტერმინი “აფშერა”. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შელოცვა თავდაპირველად გამოიყენებოდა წითელი ქარის სამკურნალოდ და შემდეგ იქნა გამოყენებული ჯილების საწინააღმდეგოდაც.

ეინციგ შმი ძერლაში
ეაფშე ეაცე ზბახ~ადა?
გა იკელგა გაძე დზურუ~ხ~ადა?
ამშეგნ აცჲა აქიწანგ ილგქის კუქისხ~ადა?
უ~კან კ~გბ კედგრგლანგ,
ილეივეიხ~ადა?
გა-ფსლუმძ უ~ლასგ იკაზუფსახ~ადა?
აფშერა სათოჭიან,
აფშერა ხესცემტ.
ახ~აა სათოჭიან,
ახ~აა ხესცემტ (გულია, 1939: 156)

“ხვლიკი და ზღარბი
ერთმანეთის მსგავსნი ერთად ვის უნახავს?
ნაპირთან ვინ მიიყვანა და ზღვის წყალი ვინ დაალევინა?
ზღვას ხიდი ვინ დაადო და აქეთ-იქით ვინ დადიოდა?
ცას კიბე ვინ მიადგა და
ზემოთ-ქვემოთ ვინ ადი-ჩამოდიოდა?
ზღვის ქვიშას თესლის მაგივრად ვინ თესდა?
ქარს შევულოცე,
ქარი განვდევნე.
ტკივილს შევულოცე,
ტკივილი განვდევნე”.

ჯილების საწინააღმდეგო სხვა შელოცვაშიც არ იხსენიება ამ
დაავადების სახელი:

იზზურდულგზ იზგრმაციუსგზ

ატიგლა ზერსაზ.

ბჟესგმწაახაკ ეფშმაზკუზ

ბჟეზციუგბარძეგ ალა აზგრფსგზ

ჩფფუ, ჩფფუ, ჩფფუ!

“ვინც იჭექა და იქუხა, იელვა,

ვინც დედამიწა დააქუცმაცა (დაანაწევრა),

ვინც შვიდ შეშას ცეცხლი წაუკიდა,

ვინც შვიდი წვეთით ჩააქრო,

ჩფუ, ჩფუ, ჩფუ!” (ინფორმატორი ავიძბა ნიუსია კუბარის ასული, სოხუმის
რაიონი, ზემო ეშერა)

ა-დიახ-ზეგმცარა “შეკრულობა”

კომპოზიტი-ტერმინი. შედგება ორი ნაწილისგან: ა-დიგ “ეზო; მინდორი”,
ახ- “-კენ” ა-ზეგმცარა “ვერ წასვლა” (ზ- პოტენციალისის პრეფიქსია, ზ- –
უარყოფის ნაწილაკი, ცა ძირია, ხოლო -რა მასდარის სუფიქსი). ზედმიწევნით:
“გარეთ ვერ გასვლა”, ევფემიზმი.

პ-თალოუ “ქოლერა”

ადილეურ-ყაბარდოულში გვხვდება ასეთივე ფორმით. პ. შაგიროვი
თვლის, რომ ისევე, როგორც აფხაზურ-აბაზური, ადილერი თალოუ-ც თურქული
ენებიდან არის ნასესხები, შდრ.: თათრული თალაუ “ცხენების დაავადება”,
ნოდაური თალავ “ჭირი”, ყუმიკური თალავ “ავთვისებიანი სიმსივნე” (შაგიროვი
1977: 68).

ა-თაფთა “ჩიყვი; ცხიმგროვა”

ტერმინის ეტიმოლოგია ბუნდოვანია და დამატებით ძიებას მოითხოვს.

პალრაკრა “შეკრულობა”

სიტყვა იშლება ასე: ა-დრა-კ-რა. ა- საურთიერთო კატეგორიის მაჩვენებელია, დრა იგივეა, რაც ა-დრა “მუცლის ღრუ”, რომელიც, ჩვენი აზრით, ნასესხებია ქართულიდან (შდრ. ქართ. ღრუ). სესხებისას რ თანხმოვნის მომდევნოდ მდგომ უ ხმოვანს მხოლოდ ა ხმოვნად ტრანსფორმაცია შეეძლო, ხოლო კ-რა- სეგმენტი მომდინარეობს ა-კ-რა “დაჭერა, შეპყრობა” სიტყვისაგან. შესაბამისად აფხაზური სიტყვა ა-დრაკრა ნიშნავს “მუცლის ღრუს, ანუ შიგნეულობის ერთიანად დაჭერას, შეკვრას”. აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი სიტყვის აგების წესებიდან გამომდინარე, ტერმინში საურთიერთო კატეგორიის ა- პრეფიქსი არ უნდა დართულიყო ნასესხები არსებითი სახელის წინ, ვინაიდან მისი ადგილი ზმნური ფუძის წინ იყო, მაგრამ რაკი მთლიანად სიტყვა უკვე ტერმინოლოგიზებულია, ეს წესი დაირდვა და საურთიერთო კატეგორიის მაწარმოებელიც მთელი რთული ფორმის წინ გადაჯდა. ტიპური გამონათქვამია: ახიგჭე დეილრანაკიტ “ბავშვს შეკრულობა აქვს, ბავშვი კუჭშია შეკრული”, ზედმიწევნით: “ბავშვი მუცლის ღრუს შეკრულობამ ერთიანად დაიჭირა”.

ა-დრაკრა ზგხ-ქიო ადგრარა უადაკუპ... “მათი გამოცნობა, ვისაც შეკრულობა აქვს, ძნელია...” (საბინეცკი, 1910: 22)

ა- ადმშია “ხველა”, ა- ადმშია-რა “დახველება”

ტერმინი ა- ადმშია “ხველა” ნაზმნარი სახელია და მიღებულია მასდარის ა- ადმშია-რა “დახველება” ფორმისაგან მასდარის მაწარმოებელი -რა სუფიქსის ჩამოშორებით. ა- ადმშია ფუძეში გამოიყოფა საურთიერთო კატეგორიის მაწარმოებელი ა- და ლოკატიური ბ- პრეფიქსები, ძირია “თქმის” სემანტიკის მქონე ჰიდა მარცვალი.

ა- ადმშიარედ აწას ბააფსი უზგწიახუამ “ხველას და ცუდ ზნეს ვერ დამალავ”
(გულია, 1985: 159)

ა- ბააფს “ჭლექი”

ტერმინოლოგიური სინტაგმა. შედგება ა- ადმშია “ხველა” ნაზმნარი არსებითი სახელისა და ა- ბააფს(ე) “ცუდი” ზედსართავი სახელისაგან. ზედმიწევნით: “ცუდი ხველა”. შესიტყვება გამოხატავს ხალხის შეფასებით დამოკიდებულებას, უარყოფით კონტაკიას ჭლექის, როგორც მძიმე სენის მიმართ.

ადმშია ბზრა “ყივანახველა”

ტერმინოლოგიური სინტაგმაა. შედგება ადმშია “ხველა” არსებითი სახელისა და ა-ბზრა “კარგი” ზედსართავი სახელისაგან. ზედმიწევნით: “კარგი ხველა”. შესიტყვება გამოხატავს ხალხის შეფასებით დამოკიდებულებას, ფსევდოდადებით კონტაციას ყივანახველას მიმართ. ამგვარი ფსევდოდადებითი კონტაციის გზით მიიღწევა ტაბუირება: რეალური უარყოფითი დამოკიდებულების გამქდავნება, ხალხის აზრით, გააღიზიანებდა “ბატონებს” და სწერებას შეეძლო სავალალო შედეგი გამოედო.

ა-კანწერები “მეჭეჭი”

კომპოზიტური აგებულების ტერმინია. პირველ კომპონენტად გამოყენებულია ქართულიდან ნასესხები კან-ი სიტყვის ფუძე (იხ. ზემოთ), ხოლო მეორე ნაწილია აფხაზური ა-წერ-წ-რა “ქვემოდან გამოსვლა, ამოსვლა” ზმნის ფუძე მასდარის მაწარმოებელი -რა სუფიქსიანად. ამოსავალი სემანტიკაა “კანის ქვემოდან ამოსული” წანაზარდი. ქართულ-აფხაზურ ფუძეთა შეერთების შედეგად წარმოქმნილ ახალ ტერმინში მახვილმა გადაინაცვლა ბოლოდან მეორე მარცვალზე, სადაც იგი მოსალოდნელი არ იყო. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს კომპოზიტის სემანტიკური მხარე: თუ მახვილი დარჩებოდა იქვე, სადაც იგი მოუდის ა-წერ-წ-რა ზმნას, ამას შეეძლო გამოეწვია ომონიმია და ერთიმეორეს დაემთხვეოდა მეჭეჭის აღმნიშვნელი ტერმინი და “კანის ამოსვლის” აღმნიშვნელი შესიტყვება. სწორედ ომონიმიის თავიდან აცილების მიზნით ჩანს გადანაცლებული მახვილი მისთვის უჩვეულო ადგილზე.

აკანწერები ცია “მეჭეჭიანი კანი” (საბინეცკი, 1910: 12)

ა-კატიჯარ აბჟ. “დურბელი, კისრის ჯირკვლების, ლიმფური კვანძის ანთება”

ტერმინი ნასესხებია მეგრულიდან, სადაც დასტურდება სახელი კატუჯვარ-ი “მდგნალი (მცენ.); დურბელი, ლიმფური ჯირკვლების დასიება” (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. II, თბ., 2002, გვ. 112).

ბზიფურში გვხვდება ტერმინი ათაგი. ხ. ბლაუბას მიხედვით, აბჟური ა-კატიჯარ მეგრულიდან არის ნასესხები (ბლაუბა. 2006: 238)

არსებობს კატიჯგარ-ი ვარიანტიც. სულხან-საბას ლექსიკონში ეს ტერმინი შემდეგი განმარტებით გვხვდება: “კატუჯარი – ცხენის სირაჯა” (სულხან-საბა თრბელიანი, 1991-I, 359), “სირაჯა – თურქთა ენაა, ქართულად კატუჯარი ჰქვიან“ (სულხან-საბა თრბელიანი, 1993-II, 93). ქართული ენის ელექტრონულ ლექსიკონში კატუჯარის განმარტებაში მოყვანილია ტერმინი “ცხენის ნაფაზი” (<http://www.wingeo.org/lexicon/index.php/term/7,8127.xhtml>).

ნაფაზი კი “სუნთქვის შეკვრას, ხიხინს” ნიშნავს. მეგრულიდან აფხაზურში სესხების დროს სიტყვას გადაჰყოლია მხოლოდ ერთი მნიშვნელობა (“დურბელი, კისრის ჯირკვლების, ლიმფური კვანძის ანთება”), ხოლო ფონემატური სტრუქტურის მხრივ კატიჯგარ-ი ფორმაში აფხაზურმა ვერ იგუა მხოლოდ ჯ თანხმოვნის მომდევნოდ მდგომი ვ თანხმოვანი (ანალოგიისათვის შდრ.: ქართ. ჯვარ-ი > აფხაზ. ა-ჯარ).

ა-კ-ატეი ჩემაზარა ბააფსე ჭმკე “დიზენტერია”

ტერმინოლოგიური შესიტყვებია ზედმიწევნით ითარგმნება, როგორც “ნაწლავების ცუდი გადამდები დაავადება”. ამ შემთხვევაში საქმე ტაბუირებასთან არა გვაქვს და სენის სახელი საკმაოდ პირდაპირ გამოხატავს უარყოფით კონოტაციას.

ა-კ-ტბა, ა-თაგი ბზიფ. “კიბო”

აბჟუური ტერმინი ნასესხებია ქართულიდან სესხების წესთა სრული დაცვით: კ თანხმოვნის მომდევნო ი ხმოვანს გამოუწევია თანხმოვნის პალატალიზაცია და გადასულა ნეიტრალურ ხმოვნად, ხოლო ბოლოკიდურა ო ხმოვანი კანონზომიერად შეცვლილა ა ხმოვნით (ლომთათიძე, 1976: 60). რაც შეეხება ბზიფურ ტერმინს, მისი ეტიმოლოგია დამატებით კალვას მოითხოვს.

ა-ლარქიგები აბჟ., ა-კიგრწება ბზიფ. “ჯიბლიბო”

აბჟუური სახელწოდება აშკარად კომპოზიტია: მასში გამოიყოფა თვალის აღმნიშვნელი ა-ლა სიტყვა და -რქიგები სეგმენტი, რომელიც ამჟამად ცალკე სიტყვად არ დასტურდება.

გვიქრობთ, ეს სეგმენტი უნდა შეიცავდეს კუთვნილების მრავლობითი რიცხვის მესამე პირის რ- პრეფიქსს (სემანტიკა: “მათი”), ხოლო დარჩენილი ქიგები აწ უკვე გამქრალი არსებითი სახელის ფუძეა, რომელიც, ჩვენი ვარაუდით,

საკუთრივ ჯიბლიბოს სახელი იყო. რაც შეეხება ბზიფურ სახელს, მისი ეტიმოლოგია დამატებით კვლევას მოითხოვს.

ალა აშთახ~ სუნკულაფშმუნ,

კიგრწეპ~ ზბედტ.

კიგრწეპ~ თაშიალა სუთაპიედტ.

ჩჭუ, ჩჭუ, ჩჭუ (ინფორმატორი - ოლდა აგრძა, ზემო ეშერა)

“თვალის უკან შევიჭყიტე და

ჯიბლიბო ვნახე.

ჯიბლიბო შელოცვით შეგილოცე.

ჩფუ, ჩფუ, ჩფუ”.

ა-ლაფშმ ა-კრა // ა-ლაფშმკრა “გათვალვა, თვალი”

სახელთა პირველი წყვილის პირველი კომპონენტია **ა-ლა-ფშმ “მზერა”** (ზედმიწევნით: “თვალ-მზერა”), ამ სახელს მეორე კომპონენტად ერთვის მასდარი **ა-კ-რა** “დაჭერა, დაკავება, შეპყრობა, შებოჭვა”. სახელი ნიშნავს “მზერისგან, თვალისგან დაჭერას, ანუ გათვალვას. კლასოვან-პიროვანი ფორმები ქართულად ითარგმნება ასე: **ალაფშმ დაკიტ** “იგი (ადამიანი) მზერამ დაიჭირა, ე.ი. გაითვალა”.

ტერმინოლოგიზაციის ნიადაგზე ეს ფუძეები გარკვეულ შემთხვევებში მონოლითურნი ხდებიან და კომპოზიტად გვევლინებიან – იღებენ ერთიან ზმნურ გაფორმებას. მაგალითად: **ახილშე დლაფშმკიტ** “ბავშვი გათვალულია”.

შელოცვა გათვალვისგან:

ლახია-წიგხია თასტ

ლაფშ-წიგფშ თასტ

ლაშმ-წიგშმ თასტ

ლაღია-წიგღია თასტ

ლეფქიაწია-წიეფქიაწია თასტ

აუბააუ ძეხხუზტიგზ

ალაფშმციგზ აჭმაფშმციაგ~

აბუ-შხან ინარხესატ

ულაფშმუ უჭამ იანუპ

ულაფშმებ უთააცია ირგმოუპ.

ჩფფუ, ჩფფუ, ჩფფუ!

“რუხ თვალში რუხი შამფური მოხვდა,

წითელ თვალში - წითელი შამფური,

თეთრ თვალში - თეთრი შამფური,

ჭრელ თვალში - ჭრელი შამფური,

შავ თვალში - შავი შამფური.

ჭაობი სუფთა წყაროდ ვინ გადააქცია,

ცედი თვალიც, თვალიც, რომელიც ცედად მზერს,

შვიდი მთის იქით განვდევნე,

შენი თვალი შენს ჯამში იყოს,

შენი თვალი - შენს ოჯახს.

ჩფუ, ჩფუ, ჩფუ!” (ინფორმატორი ავიძბა ჭიმჭა, კუბარის ას სოხუმის რაიონი, სოფ. ზემო ეშერა)

ა-ლაში, აბაზ. ლაში “ბრმა”

სახელის პირველი კომპონენტია (**ა-ლა** “თვალი”, ში კომპონენტის რაობა კი ნათელი არ არის. ა.შაგიროვის აზრით, ადილეური ნაფ // ყაბარდოული ნაშიგ “ბრმა” მთლიანად შეესატყვისება აფხაზურ-აბაზურ ვარიანტებს: ნა “თვალი”, ფუ-ნ // შიგ-ნ “ლპობა” (შაგიროვი 1977: 280).

თუმცა ამ ვარაუდს სემანტიკური დაბრკოლება აქვს: არ არის ახსნილი, რატომ არ დასტურდება აფხაზურსა და აბაზურში ლპობის აღმნიშვნელად ში ძირი.

ალაში აბლაქია რგდა დგნხოვტ, ახა აფსადგვლდა დაფსუევტ. “ბრმა თვალების გარეშე ცხოვრობს, მაგრამ სამშობლოს გარეშე მოკვდება” ალაში მათახუ - იკებლაკ “რაც ბრმას უნდა - ორი თვალია” (გულია, 1985: 173)

ა-ლაფშმ ციგა “ავი თვალი, გათვალვა”

ტერმინოლოგიური შესიტყვება ზედმიწევნით “ცუდ მზერას” ნიშნავს: **ა-ლაფშმ “მზერა”, ა-ციგა “ცუდი”**.

ა-მასროლ “ბუასილი”

ნასესხებია ქართული ენიდან.

ა-მაჩარაბა “ცხენის დაავადება”

ტერმინის ზუსტი სემანტიკისა და ეტიმოლოგიის დადგენა ვერ მოგვიხერხდა.

პ-მგიახასრა “დიზენტერია”

ა-მგია “მუცელია” და **ა-ხასრა “ეპიდემიის, დაავადების გავრცელება”,** ანუ **“მუცელის დრუს დაავადების გავრცელება”.**

პ-შიააძა აბჟ., ა-შიააძგ პზ. “ოსტეომიელიტი”

ტერმინის შედგენილობა ბუნდოვანია, თუმცა აშკარად კომპოზიტია. ფონეტიკურად ბზიფური სახეობა უფრო ძველია.

პ-ნთაფსრა “ცუდად გახდომა, გულის წასვლა, შედონება”

ნ- იქითა მიმართულების **ნა-** პრევერბის თანხმოვნითი **ნაწილია,** **თა-** ლოკატიური პრევერბია, რომელიც ზემოდან ქვემოთ მოქმედებას, ან რაიმეს შიგნით ყოფნას აღნიშნავს, ხოლო **ა-ფსრა** “სიკვდილი, კვდომა”. ტერმინი ზედმიწევნით “რაიმეს შიგნით სიკვდილს” ნიშნავს.

ა-უამრა “დაავადება, რომლის სიმპტომებია ტემპერატურის მომატება, უმიზეზო ტირილი, რაც ჩაბჟირებაში გადადის და ნევროზულობა” (ნაჭყებია, 2004: 5-8). დაავადების მიზეზად თვლიდნენ სახლში მარტო დარჩენილი ბავშვის შიშს.

ჩვენი აზრით, ნასესხებია ქართველური ენებიდან, სადაც სიტყვა **“მოჟამულ/მოჟამურ”**-ს ასეთივე დახასიათება აქვს.

ახიგჭე დანჯამუა ათაბია

ამჩიმება დუამზარ,

აშიანა დუამზარ,

ახაშმა დუამზარ,

აფშაშმა დუამზარ,

ახიაშმა დუამზარ,

ასაბშება დუამზარ,

აუამრა ზეგა ხესცემტ,

ლუფსუ ლსგთაჲიემტ,

ლუცია სურთუნჩხმტ.

ჩფუ-ჩფუ-ჩფუ. (ინფორმატორი - აგრძა თლდა, სოხუმის რაიონი სოფ. ზემო ეშერა)

“ბავშვის მოქამვის შელოცვა

კვირას თუ მოქამულია,

ორშაბათს თუ მოქამულია,

სამშაბათს თუ მოქამულია,

ოთხშაბათს თუ მოქამულია,

ხუთშაბათს თუ მოქამულია,

პარასკევს თუ მოქამულია,

შაბათს თუ მოქამულია,

მთელი მოქამულობა გავაგდე,

მის (ქალის) სულს შევულოცვა,

მისი (ქალის) კანი (სხეული) დავაწყნარე,

ჩფუ, ჩფუ, ჩფუ!”

ა-უ-ზკა “ჯილეხი”

კომპოზიტია, რომელშიც ჭი “ძროხა” + ა-ზკა “გადამდები სენი, ჭირი, ეპიდემია”. ზედმიწევნით ნიშნავს “ძროხის წყლულს”, რაც მოტივირებულია იმით, რომ რომ ეს დაავადება ადამიანზე დასნეულებულ პირუტყვთან, ან მის ხორცთან კონტაქტით გადადის.

აღნიშნული დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება იგივე შელოცვა, რაც ა-დოჟ “ჯილეხის” დროს (იხ.ზემო).

ა-რგე-თშრა აბჟ., ა-ხ-თგუშრა ბზიფ. “ციება, ციებ-ცხელება”

ტერმინის ორივე დიალექტური ვარიანტი შეიცავს ა-ხ-თა “სიცივე” + ა-შრა “მოკვლა” ფუძეებს. აბჟუური ვარიანტის ანლაუტში დგას კაუზატივის რ-პრეფიქსი, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს არსებითი სახელის (ა-ხ-თა “სიცივე”) ფუძეს, რაც ნორმის დარღვევაა (აფხაზურ ენაში სახელს კაუზატივის ფორმა არა აქვს), მაგრამ ეს დარღვევა იმითაა გამოწვეული, რომ ბზიფურში

რეალურად დაცული ახ-თგზრა ვარიანტი უკვე ტერმინოლოგიზებულია და მთელ ფორმას ამიტომაც დაერთო აბეუურში კაუზატივის მაწარმოებელი. ტერმინი მთლიანობაში ითარგმნება, როგორც: “ციებით, სიცივით სიკვდილი” (ბზივ.) // “ციებისაგან, სიცივისაგან მოკვლა” (აბჟ.).

ა-საფრან “წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ჭირი”
აღნიშნული ტერმინის ეტიმოლოგიის დადგენა ვერ მოხერხდა.

ა-საფურდათ “ფალარათი”
სახელის ეტიმოლოგია დამატებით კვლევას მოითხოვს.

საწრელ (საწარლისა) აბჟ., ა-ნაციხეკიგრშმა ბზივ. “პანარიციუმი, დუდკო, საწერელი”

აბეუური სიტყვა ნასესხებია ქართველური ენებიდან, შდრ. საწერელი. ხოლო ბზივური სიტყვა ა-ნაციხეკიგრშმა სამი ფუძისგან შემდგარი კომპოზიტია: არსებითი სახელი+ არსებითი სახელი+ ზმნა.

ა-ნაცი არსებით სახელ ანაცია-საგან “ხელის თითი” მომდინარეობს, ხგ სეგმენტი “თავის” აღმნიშვნელი ახგ სიტყვის ფუძეა, ხოლო კიგრშმა ა-კიგრშმარა “შემორტყმა” ზმნისა. ამ დაავადების დროს ფრჩხილის არეში ინფექციის შეჭრის შედეგად წამოიზრდება დეფორმირებული ფირფიტა. დაავადების აფხაზური სახელწოდება, როგორც ჩანს, გადმოსცემს დაავადების მიერ დაზიანებულ მიდამოს “თითის თავის გარშემომრტყმელი”.

აფხაზურშო არსებობს ამ დაავადებების მეორე სახელწოდებაც ასაწარელ, რომელიც ქართულიდან უცვლელად არის ნასესხები (ბლაჟბა, 2006: 238)

- საწარლისა, საწარლისა, უაბაცოვ?

- ბაკშეხუარა.

- ჩშოუ! სუფსუ ცევტ,

უაუიუწიუ ~ ახიში უსემთევ?! (ინფორმატორები – ოლდა აგრძა, ზემო ეშერა)

“-საწერლისა, საწერლისა, სად მიდიხარ შენ (მამაკაცი)?

- ძვლის დასამტვრევად.

ჩშოუ! ჩემი სული წავიდა,

ახლახან წამალი არ მოგეცი?!”

ა-ფსმაჭრა “გულის წასვლა”

კომპოზიტური შედგენილობის სიტყვაა: პირველი კომპონენტი ა-ფსგ “სული” სახელის ფუძეა, რომელსაც მოსდევს ა-მაჭ “ცოტა, მცირედი” ზედსართავი სახელის მაჭ ფუძე, ბოლოს კი კომპოზიტს ერთვის მასდარის -რა სუფიქსი.

ტერმინი ზედმიწევნით ითარგმნება, როგორც: “სულის დაპატარავება, სულის შემცირება”. იგულისხმება, რომ გულის წასვლისას ადამიანი კი არ კვდება, არამედ მხოლოდ უმცირდება სული.

აჭკიგნ იფსგ მაჭხან აარა უაწიყა დკაჲატ “ბიჭს გული წაუვიდა და იქვე წაიქცა” (აფხაზური ზღაპრები, 1997: 115)

ა-ფსხერა “აგონია”

კომპოზიტი. პირველი კომპონენტი არსებითი სახელით ა-ფსგ “სული” არის წარმოდგენილი, მეორე კომპონენტი ზმნის მასდარის ახეხრა “მოხსნა, მოხდა, მოკვეთა” ფუძით. ამ დროს მასდარს ადარ ერთვის ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსი. ზედმიწევნით ტერმინი ნიშნავს “სულის ამოხდომას”.

სარა სანნეო, უდ დგშმპსრა დგქიგნ, დგფსხეხუან. “მე როდესაც მივედი, ის კვდებოდა, აფონია ჰქონდა”. (შავრილი, კონჯარია, 1987 – II: 41)

ა-ფსპიგსთრა “სირსველი”

სახელის ეტიმოლოგია დამატებით კვლევას მოითხოვს.

აკან ფშმრა ზმოუ აფსპიგსთრა “სირსველი, რომელიც ჭორფლს ჰგავს”. (შავრილი, კონჯარია, 1987- II:41)

ა-ფსგლშიშიარა “გულის წასვლა”

კომპოზიტია: ა-ფსგ “სული” + (ა-)ლშიშიარა “ამოვარდნა, ამოპნევა, ამოცვენა”. ზმნაში რედუპლიცირებული შიშია ძირი პროცესის ინტენსივობის სემანტიკას გახაზავს. ზედმიწევნით ტერმინი ითარგმნება, როგორც: “სულის ამოცვენა”.

ა-ფსტჩმ “სუსტი”

კომპოზიტია. პირველი კომპონენტი აქაც ა-ფსგ “სული” სიტყვაა, ხოლო ჩმ ძირის რაობა საკვლევია.
აუაკ ფსგჩმ “სუსტი ადამიანი”.

ა-ფხთრა “მუნი, მღიერი”

კომპოზიტია. სიტყვის ეტიმოლოგია სარკვევია.
ამ სიტყვის სინონიმია ტერმინი ა-ციგხარა “მუნი”. ეს ტერმინიც კომპოზიტურია. შედგება ორი სიტყვისაგან: ა-ციგ < ა-ცია “კანი” + ა-ხარა “გაცრეცა, გაცვეთა”, ზედმიწევნით “კანის გაცვეთა”. შესაძლებლია ამ მნიშვნელობის იმით ახსნა, რომ მუნისთვის ძლიერი ქავილი და კანის გადატყავება არის დამახასიათებელი. “კანის გაცრეცა, გაცვეთა”-ში, როგორც ჩანს, ეს არის ნაგულისხმევი.

აძლაბ აფხთრა ლგხტ “გოგოს მუნი დაემართა”

ა-ფშრა “წითელი ქარი”

ეს მარტივფუძიანი სახელი ნაწარმოებია “წითელის” აღმნიშვნელი ა-ფაფშ ზედსართავი სახელისაგან მომდინარე ა-ფშ მეორეული ვარიანტისაგან, რომელსაც დამატებით “მწითურის” სემანტიკაც აქვს (მაგალითად: უი დაფშუპ “იგი (ად.) მწითურია”).

ასე რომ დაავადების სახელად მისი გამოყენება შედარებით ახალი ფაქტი ჩანს. ფუძე გაფორმებულია სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა-პრეფიქსისა და აბსტრაქტულობის გამომხატველი -რა სუფიქსის გამოყენებით. ტერმინი ითარგმნება, როგორც “სიწითლე”, რაც ანალოგიას ქართულშიც ჰპოვებს, სადაც “სიწითლე” “წითელი ქარის” სინონიმია. აფხაზური და ქართული სახელები მოტივირებულია იმით, რომ ამ ანთებითი დაავადების დროს კანი წითლდება.

წითელი ქარის შელოცვის დროს გამოიყენება იგივე შელოცვა, რაც ჯილების დროს (იხ. ზემოთ). ამაზე მეტყველებს წითელი ქარის აღმნიშვნელი სიტყვა აფშრა.

ეინციგ შმი ძგრლაში ეფუშმნე ეცუზბახ~ადა?

გა იკელგა გაძგდძგრუახ~ადა?

ამშენ აცჰა აქიწანგ ილუქისკექისხადა?
უკან კუბ კუდგრგლანგ იკაზგფსახადა?
აფშრა სათოჭიან,
აფშრა ახესცემტ,
ახა სათოჭიან,
ახა ხესცემტ (გულია, 1985: 224)

“ხვლიკი და ზღარბი
ერთმანეთის მსგავსნი ერთად ვის უნახავს?
ნაპირთან ვინ მიიყვანა და ზღვის წყალი ვინ დაალევინა?
ზღვას ხიდი ვინ დაადო და აქეთ-იქით ვინ დადიოდა?
ცას კიბე ვინ მიადგა და
ზემოთ-ქვემოთ ვინ ადი-ჩამოდიოდა?
ზღვის ქვიშას თესლის მაგივრად ვინ თესდა?
ქარს შევულოცა,
ქარი განვდევნე.
ტკივილს შევულოცა,
ტკივილი განვდევნე”.

ა-ფშმაკრა “რევმატიზმი, ქარი”

სახელის პირველი კომპონენტია ა-ფშმა “ქარი”. ამ სახელს მეორე კომპონენტად ერთვის მასდარი ა-კრა “დაჭერა, დაკავება, შეპყრობა, შებოჭვა”. მთლიანად ტერმინი ნიშნავს “ქარისგან დაჭერას, ანუ რევმატიზმისაგან შებოჭვას”. აქ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ აფხაზურში აღნიშნული დაავადების სახელწოდება შეიცავს ქარის აღმნიშვნელ ფუძეს, რაც ანალოგიას პოულობს ქართულ ენასთან, სადაც იმავე სემანტიკის ფუძეა გამოყენებული.

დრო-კილოთა კლასოვან-პიროვანი ფორმების წარმოებისას ორსიტყვიანი სინტაგმის სახით წარმოდგება: აფშმა დაკიტ “იგი (ადამიანი) ქარმა დაიჭირა, ე.ი. რევმატიზმა შებოჭა”.

ტერმინოლოგიზაციის ნიადაგზე ეს ფუძე გარკვეულ შემთხვევებში მონოლითური ხდება და დრო-კილოთა კლასოვან-პიროვანი ფორმების წარმოების დროსაც კომპოზიტად გვევლინება – იდებს ერთიან ზმნურ

გაფორმებას. მაგალითად: ინაპგ ფშმაკიტ “მისი ხელი ქარმა დაიჭირა, ე.ი. მას ხელი რევმატიზმისაგან შეეხუთა”.

ა-ფგნწაშარა “სისხლდენა ცხვირიდან, ცხვირიდან სისხლის წასკდომა”

სახელის პირველი კომპონენტია ა-ფგნწა “ცხვირი”, რომელიც, როგორც ჩვენი ნაშრომის პირველ თავში აღვნიშნეთ, საერთო აფხაზურ-ადილურ ფუძედ მიიჩნევა. მეორე კომპონენტია ა-შა “სისხლი” სახელის შა ძირი, რომელსაც ერთვის მასდარისა და აბსტრაქტულობის -რა სუფიქსი. მთლიანად ტერმინი ითარგმნება, როგორც “ცხვირისისხლიანობა”.

ა-ფგნწაშიარა “ჰაიმორიტი”

კომპოზიტი. პირველი კომპონტის (ა-ფგნწა “ცხვირი”) შესახებ ვრცლად იხ. I თავში. მეორე კომპონენტის შიარა-ს მნიშვნელობა გაურკვეველია.

ა-ფგნწეხაჩრა “სურდო”

კომპოზიტი. პირველი კომპონტის (ა-ფგნწა “ცხვირი”) შესახებ ვრცლად იხ. I თავში. მეორე კომპონენტი ახაჩრა “ცხვირის ან ფურების გაჭედვა, დაგუბება”, სადაც ამ საურეთიერთო კატეგორიის პრეფიქსია, ხა არის თავის აღმნიშვნელი სახელის ძირი, ჩ არის გასიების აღმნიშვნელი ზმნის ძირი, ხოლო რა – მასდარის მაწარმოებელი სუფიქსი.

უმ აფგნწეხაჩრა მმოუკ დაადგრიუთედ “რაც ვიცნობთ, სულ სურდო აქვს”

(შავრილი, კონჯარია, 1987 – II: 56)

ა-ქამსარვა “საქონლის კუჭის დაავადება”

კომპოზიტური შეგენილობის ტერმინია, შედგება ა-ქამსა “საქონლის კუჭი” არსებითი სახელისა და ა-რ-ვა “მშრალი, ხმელი, გამხმარი” ზედსართავისაგან. როგორც ჩანს, დაავადების სახელწოდება დაკავშირებულია აღნიშნული დაავადების სიმპტომებთან.

ა-ყაბ “კამეჩის დაავადება”

ტერმინის უფრო კონკრეტული სემანტიკა და ეტიმოლოგია დამატებით კვლევას მოითხოვს

პ-შმ “ლიბრი”

ეს მარტივი ფუძე, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს “თეთრის” აღმნიშვნელი ა-შმკაკია ზედსართავი სახელის შმ ძირს, რომელიც ზოგჯერ დამოუკიდებელ ერთულადაც გამოდის და ერთვის არსებით სახელებს, შდრ. მაგალითად, ა-ხე შმ “ქერა, თეთრთავა”. ლიბრი კი ის დაავადებაა, რომელიც თვალის კაკალზე სითეთრის გაჩენას გულისხმობს. ამდენად დაავადების სახელწოდებაც ამ სითეთრით შეიძლება იყოს მოტივირებული.

ა-შმგძ “მალარია”

ტერმინის ეტიმოლოგია ნათელი არ არის და დამატებით კვლევას მოითხოვს.

აკატ შმგძ “ქათმების მალარია” (საბინეცკი, 1910: 28)

ა-შადაიჯარა “ანგიოსპაზმი”

ტერმინი კომპოზიტია, წარმოებულია სამი კომპონენტის ა-შა “სისხლი” არსებითი სახელის, და ფუძის (არსებითი სახელიდან ა-და “ძარღვი”) და ადჯარა “მოკეცვა, მოხრა” მასდარის ფუძეთა შეერთების გზით (სადაც ად- საურთიერთო კატეგორიის პრეფიქსია).

ამ დროს მასდარს აღარ ერთვის ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა-პრეფიქსი. ზედმიწევნით ტერმინი ნიშნავს “სისხლძარღვის მოკეცვას”, ანუ სპაზმს.

ა-შაკ-ტახ- აბჟ., ა-შაპტახ- ბზიფ. “შაპიკი”

ტერმინის ეტიმოლოგია ცხადი არ არის, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მასში აშკარად გამოსაყოფია ტკივილის აღმნიშნელი -ხ- სუფიქსი.

საინტერესო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ შელოცვაში გვხვდება ქართველური ენებიდან ნასესხები სიტყვა შაკ-იკ-ი.

შაკ-იკ-ი შალამარჩია

შაბულა საფული საჭანდასა,

ქიჩასა, წენა, გერ გერბულა,

გელასა, ცეჭჭუ! უაგიგშ! (გულია, 1985: 225)

აღნიშნული შელოცვის ტექსტის თარგმნა შეუძლებელია.

ა-შამხლარში “ბურსიტი”

კომპოზიტია. შეიცავს ა-შამხე “მუხლი” ფუძეს, ხოლო მეორე კომპონენტის რაობა სარკვევია.

ა-შანა აბჟ., ა-ნშან ბზიფ. “ხალი”

ორივე ვარიანტი ნასესხებია ქართველური ენებიდან. შდრ. მეგრ. შანა და ქართ. ნიშანი.

უმ ლფუნწაჭმ ანშან (შანაკ) ამოუპ “მას ცხვირზე ხალი აქვს” (შაყრილი, კონჯარია, 1986: 485).

ა-ციარკშე “ჩუტყვავილა”

შდრ. ა-ცია “კანი”, რკშე კაუზატიური ა-რ-გჰჭრა “დაჭმუჭნა” ზმნის მიმღეობის ფუძეა. ტერმინი ნიშნავს “დაჭმუჭნილ კანს”.

ა-ციარნეჭია “მთვარეული”

კომპოზიტი. პირველი კომპონენტია არსებითი სახელი ა-ცია “ძილი” (იხ.), რომელსაც მოსდევს კაუზატივის რ- პრეფიქსიანი ა-ნგყარა “სიარული” ზმნის ძირი. ამ დროს ზმნის ძირს ადარ ერთვის ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსი. ზედმიწევნით ტერმინი ნიშნავს “ძილისაგან ტარებული”.

ა-წაკრა “დატილიანება, პედიტულოზი”

კომპოზიტია. ა-წა “ტილი” + (ა-)კრა “მიკრობა, მიწებება”, ზედმიწევნით: “ტილის მიკრობა”.

ა-ჭალარა “ანთება”

გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: არფჲა აჭალარა “ფილტვების ანთება”, აშამხ ჭალარა “მუხლის სახსრის ანთება”, აყიარტირა ჭალარა “ართრიტი”, აკატეი აჭალარა “ნაწლავების გადახლართვა”. ტერმინის ეტიმოლოგია ცხადი არ არის და დამატებით კვლევას მოითხოვს.

ა-ჭაბანკაშიარა “ჭიპის ამოვარდნა”

შდრ. ა-ჭაბან “ჭიპი”, ა-კაშიარა “პატარა ზომის საგნის ამოვარდნა”.

ა-ჭმაჲადებია “ყრუ-მუნჯი”

კომპოზიტია. შედგება ა-ჭმაჲა “მუნჯი” + (ა-)დაგია “ყრუ” ფუძეებისაგან. ზედმიწევნით “მუნჯი-ყრუ”. ა-ჭმაჲა “მუნჯი” სიტყვაში აშკარად გამოსაყოფია “პირის” აღმნიშვნელი არქაული ჭმა ძირი, ხოლო ჰა სეგმენტის სემანტიკა გასარკვევია. რაც შეეხება (ა-)დაგია “ყრუ” სიტყვას, იგი აფხაზურსა და აბაზურში ნასესხებია ადილეურ-ყაბარდოულიდან.

ა-ჭმაჲადაგია ტერმინისაგან იწარმოება ტერმინი **ა-ჭმაჲადაგიარა**, რომელშიც -რა მასდარის სუფიქსია.

აჭმაჲა ადაგია დიხეჩინი “მუნჯი ყრუს დასცინდა”.

ა-ჭმაჲაჭმას “ენაბლუ”

კომპოზიტია. შედგება ა-ჭმაჲა “მუნჯი” ფუძისა და ჭმას სეგმენტისაგან, რომელიც, შესაძლოა, შეიცავდეს პირის აღმნიშვნელ არქაულ ჭმა ძირსა და ცემის აღმნიშვნელ ს ძირს.

ა-ჭმაჲაჭმას უიზგძურკუაზარ ადჲა აძლაგარა უახატიაზარ ედჲა ედლუპ.

“ენაბლუს მოსმენას მეწისქვილედ მუშაობა სჯობს” (შაყრილი, კონჯარია, 1987 – II: 473).

ა-ხ-თალალარა // ა-ხ-თა ალალარა “გაციება”

შდრ. ა-ხ-თა “სიცივე”, ა-ლალარა “რაღაცის შიგნით შესვლა”. საყურადღებოა, რომ ტერმინი ხან ერთსიტყვიანი ფორმით იხმარება, ხანაც - ორ სიტყვად.

ა-ხ-ა, აბაზ. ხ-გჲა “ტკივილი”

ტერმინის სტრუქტურა ცხადი არ არის. მისი თანხმოვნითი ნაწილი ხ- ხშირად სუფიქსად ერთვის სხეულის დასწეულებულ ნაწილთა სახელებს. ფონეტიკური თვალსაზრისით უფრო ძველი სახეობა აბაზურშია შენარჩუნებული. მაგალითად, აბლახ- “თვალის ტკივილი”, ახეხ- “თვის ტკივილი”.

აბლახ- ახეხ- უხანარშმთუედტ “თვალის ტკივილი თვის ტკივილს დაგავიწყებს” (გულია, 1985: 157).

ა-ხ-გუხ-ჭურა “ძლიერი ტკივილის შეგრძნება”

რედუპლიცირებული ტერმინი ჩანს: გაორმაგებულია ხუ სეგმენტი, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიცავს “ტკივილის” აღმნიშვნელ ხ და “ქმნის, კეთების” აღმნიშვნელი ა-ფ-რა ზმნის უ ძირს.

ა-ხიდარჩე “ყბაყურა”

შდრ. ა-ხიდა “კისერი, ყელი”, რჩე კაუზატიური ა-რ-ჩ-რა “გასიება” ზმნისგან მომდინარე მიმღეობაა. ზედმიწევნით ეს ტერმინი ნიშნავს “შეშუპებულ, გასიებულ ყელს, კისერს”;

პ-ხირა “იარა”

ნაზმნარი სახელია, ნაწარმოებია ა-ხი-რა “დაჭრა” ზმნის მასდარისაგან სიტყვის ბოლოდან მახვილის თავკიდურა პოზიციაში გადანაცვლების შედეგად.

აფხაზები დაჭრილის საამებლად ძველებურ აფხაზურ სიმღერას (“დაჭრილის სიმღერას”) ასრულებდნენ:

ახირაშია

უა რადდა-რადდა, უმ დხაწამ,

ზხანა ჩპანგ იზუმწახუა,

უა რადდა-რადდა, ზხანა ზზუმჩაუა —

ზხანა ქ-რალა-ლუ ზრალა იზხე ზგაუა.

უა რადდა-რადდა, ზხანა ზზუმჩაუა —

უმ დხაწამ, აფჰინგს დლემფშმუბ.

ახირა - ხაწარა ფუ შიაგოუბ,

აჩპარა ზმოუ იზმამ ედლნარგომტ.

უა რადდა-რადდა, უმ დხაწამ,

ზხანა ჩპანგ იზუმწახუა (ინფორმატორი ოლდა არგბა, ზემო ეშერა)

“ჭრილობის სიმღერა

ვა რაიდა, ის მამაკაცი არ არის,

საკუთარ ტკივილს ვინც ვერ ითმენს და ვერ მალავს,

ვა რაიდა, საკუთარ ტკივილს ვინც ვერ ითმენს —

საკუთარ ტკივილს კვნესით და ოხვრით ვინც იტანს.

ვა რაიდა, საკუთარ ტკივილს ვინც ვერ ითმენს -

ის მამაკაცი არ არის, ქალს ჰგავს.

ჭრილობა – სიმამაცის (კაცობის) გამოსაცდელია,
არჩევს ვის აქვს და ვის არა აქვს მოთმინება,
ვა რაიდა-რაიდა, ის მამაკაცი არ არის,
საკუთარ ტკივილს ვინც ვერ მალავს”.

ა-ჰიარახ- “ღორის ჭირი”

კომპოზიტია. აჰია “ღორი” + აბსტრაქტულობისა და კრებითობის -რა სუფიქსი + -ხ- < ა-ხ-აა “ტკივილი”. ზედმიწევნით: “ღორების სატკივარი”.

ა-ჰიარახ- “ყვავილი”

აბუური ტერმინი ა-ჰია წარმოადგენს მრავლობით რიცხვში მდგარ არსებით სახელს ა-ჰ “მეფე; ბატონი; მთავარი” + ადამიანის კლასის მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსი ცია, ზედმიწევნით “ბატონები” (შდრ. მისი ქართული სრული მორფოლოგიური ანალოგი ბატონები). ტერმინი ტაბუირების ნიმუშია.

ასევე ტაბუირებულ ტერმინში ა-ციარფშმძა - ა-ცია “კანია”, ხოლო მეორე კომპონენტი კაუზატიური ა-რ-ფშმძა-რა “გალამაზება, დამშვენება” ზმნის მიმღეობაა. მთლიანად ტერმინი “გალამაზებულ, დამშვენებულ, მორთულ კანს” ნიშნავს, რაც ტაბუირების მაგალითია: ამგარი ფსევდოდადებითი კონოტაციით ხალხი ცდილობდა ამ საშიში დაავადების მფარველი სულის გულის მოგებას, რათა დასხეულებულ ადამიანს დაავადება არ გართულებოდა და სახეზე ნაყვავილარი არ დამჩნეოდა.

უი იხ-უან აჰია... დარა დურუეტ აჰია ზუხ-ხ-აზ აუაა “მას შავი ჭირი ჰქონდა... იგი დაასაფლავეს იმ ადამიანებმა, ვისაც გადატანილი ჰქონდა ჭირი” (გულია, 1964 : 97).

ა-ჰიგჰიირ- “დამბლა”, ა-ჰიგჰიირა “დამბლის დაცემა, პარალიზება”

ა-ჰიგჰიირ სახელის ეტიმოლოგია ცხადი არ არის და დამატებით კვლევას მოითხოვს. ფორმა ა-ჰიგჰიირა მისგანაა ნაწარმოები მასდარის -რა სუფიქსის დართვით.

2. სამკურნალო საშუალებები

დაავადებათა სამკურნალო საშუალებათა სახელებიდან ძირითადია ტერმინი პ-ხიში “წამალი”, რომელსაც აქვს მეორე მნიშვნელობაც და აღნიშნავს “ტყვიაწამალსაც”, ზუსტად ისე, როგორც ქართულ ენაშია. ამ ხშირად ხმარებული სიტყვის ეტიმოლოგია, სამწუხაროდ, ნათელი არ არის და დამატებით კვლევას მოითხოვს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დასახელებული ტერმინი ხშირად დასტურდება სხვადასხვა სამკურნალო საშუალებათა, განსაკუთრებით სამკურნალო ბალახებისა და მალამოების რთულფუძიან სახელწოდებათა ერთ-ერთ კომპონენტად (იხ. ქვემოთ).

სამკურნალო საშუალებათა აფხაზურ სახელწოდებათა უმეტესობა რთულფუძიანი სახელები, ანუ კომპოზიტებია. საზოგადოდ, თანამედროვე აფხაზურ ენაში რთული სიტყვების წარმოების ყველაზე გავრცელებული და პროდუქტიული ხერხია ფუძეთა შეერთება, ანუ კომპოზიცია. აღნიშნული მოდელის მიხედვით წარმოიქმნება სიტყვები, რომლებიც განეკუთვნებიან მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს. ასეა ეს საანალიზო ჯგუფის სახელებშიც. მაგალითად, არსებით სახელთა ფუძეების შეერთებით ნაწარმოებია ერთ-ერთი ბალახის სახელწოდება ა-ცგიგხშმ (კასლანძია 1998, გვ. 49). ეს სიტყვა (ა-ცგიგხშმ – სვიისებრთა ოჯახის ბალახი) შედგება ორი არსებითი სახელის ფუძისაგან: ა-ცგიგ “კატა” და ა-ხშმ “რძე”. სახელი მოტივირებულია იმით, რომ ბალახის ღერო რძისმაგვარ სითხეს შეიცავს (ანალოგიისათვის შდო. ქართ. კატაბალახა).

ხშირად მცენარეების სახელწოდება დაკავშირებულია იმ დაავადების სახელწოდებასთან, რომლის განკურნვისთვისაც გამოიყენებოდა ხალხში. მაგალითად, მოდელით “დაავადების სახელწოდება + ხიში < პ-ხიში “წამალი” ნაწარმოებია მცენარეთა სახელწოდებების დიდი ნაწილი. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

ა-ბარბაც პ-ხიში “ღვედკეცი”

მცენარის სახელწოდება ორი სიტყვისგან შედგება: ა-ბარბაც “ალერგია, კანზე გამონაყარი” + ა-ხიში “წამალი”, ზედმიწევნით “ალერგიის, გამონაყარის წამალი”.

ღვედკეცი გამოიყენება გულ-სისძარღვთა სისტემის დაავადებების დროს. მცენარის რეალური დანიშნულების კავშირის დადგენა ალერგიასთან და გამონაყართან ვერ მოხერხდა.

ა-ბლგ პეში “რძიანა”

ტერმინი ორი სიტყვისგან შედგება: ა-ბლგ “თიაქარი” + ა-პეში “წამალი”, ზედმიწევნით “თიაქარის წამალი”. მედიცინაში გამოიყენება შარდის ბუშტის ანთების დროს, ამიტომ გვიჭირს იმის ახსნა, თუ რა კავშირი აქვს ამ მცენარეს თიაქართან.

ა-დოუ პეში “გულსისანა”

ტერმინი ორი სიტყვისგან შედგება: ა-დოუ “ჯილეხი” + ა-პეში “წამალი”, ზედმიწევნით “ჯილეხის წამალი”. ხალხურ მედიცინაში ძირმაგარასა და ეგზემების სამკურნალოდ გამოიყენებოდა.

ა-თაფთა პეში “თეთრძირა”

ეს ტერმინიც მსგავსი აგებულებისაა: ა-თაფთა “ჩიყვი; ცხიმგროვა” + ა-პეში “წამალი”, ზედმიწევნით “ჩიყვის, ცხიმგროვის წამალი”.

ა-კანწერაპეში “მეჭეჭა”

აღნიშნული ტერმინიც კომპოზიტური შედგენილობისაა: ა-კანწერა “მეჭეჭა” + პეში “წამალი”, ანუ “მეჭეჭის წამალი” (შდრ. ქართ. მეჭეჭა). ტერმინ ა-კანწერა-ს ეტიმოლოგია იხ. ზემოთ.

რაც შეეხება თვითონ სამკურნალო ბალახს, აფხაზურ ხალხურ მედიცინაში იგი მეჭეჭების საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა.

ა-კატიჯარ პეში “დათვიმსხალა”

ტერმინი ორი სიტყვისგან შედგება: აბჟ. ა-კატიჯარ “დურბელი, ლიმფური კვანძის ანთება” + ა-პეში “წამალი”, ზედმიწევნით “დურბელის წამალი”. შდრ. მეგრ. კატუჯგარი “მდგნალი (მცენ.); დურბელი, ლიმფური კვანძის ანთება” და კატუჯგარიში ჯა “მდგნალი”, კატუჯგარიში წამალი “დათვიმსხალა” (ქაჯაია 2002-II: 112). ხალხურ მედიცინაში მრავალი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება, მათ შორის როგორც ანტისეპტიკური და ანთების საწინააღმდეგო საშუალება და ყელის სავლები.

ა-კუბა პეში “საპონელა”

ტერმინი ორი სიტყვისგან შედგება: **ა-კუბა** “კიბო” + **ა-ხიში** “წამალი”, ზედმიწევნით “კიბოს წამალი”. მცენარე ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ზოგიერთი შინაგანი დაავადების დროს, მისი კიბოს (სიმსივნის) მკურნალობასთან კავშირი ვერ დავადგინეთ.

ა-ნაციხეგრძელშა ახიში “გობისცხვირა”

ტერმინი ორი სიტყვისაგან შედგება: **ა-ნაციხეგრძელშა** “პანარიციუმი, საწერელი” + **ა-ხიში** “წამალი”, ზედმიწევნით “საწერელის წამალი”. მედიცინაში აღნიშნული მცენარე გამოიყენება ექსუდატიური დიათეზის, გამონაყარის, ფურუნკულების, აბსცესების დროს.

ა-უიზკა ახიში “შავწამალა”

ტერმინი ორი სიტყვისგან შედგება: **ა-უიზკა** “ჯილები, ციმბირის წყლული” + **ა-ხიში** “წამალი”, ზედმიწევნით “ჯილების წამალი”. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ჩიყვის, ავთვისებიანი სიმსივნეების, გამონაყარის, წყლულების, ჩირქებოვების, ჭრილობებისა და ანგინის დროს. ჯილებისთვის დამახასიათებელია წყლულები, ეტყობა, მცენარის სახელიც ამითაბ მოტივირებული.

ა-ფშრახიში “ოშოშა”, “თავშავა”

კომპოზიტია, რომელიც შედგება ფუძეებისგან **ა-ფშრა** “წითელი ქარი, სიწითლე” და **ა-ხიში** “წამალი”, ე.ი. “წითელი ქარის, სიწითლის წამალი”. ოშოშა ხალხურ მედიცინაში კანის დაავადებებისა და ანთებების (მათ შორის წითელი ქარის) დროს გამოიყენება, ხოლო თავშავა დამატებით იხმარება სკროფულოზის (საყმაწვილოს), კანის გამონაყარის, კბილის ტკივილის დროსაც.

ა-შაპტახ ~ ახიში “პირწმინდა”

ტერმინი შედგება ორი სიტყვისაგან: **ა-შაპტახ** “შაკიკი” და **ა-ხიში** “წამალი”, ზედმიწევნით “შაკიკის წამალი”.

მედიცინაში ითვლება სისხლდენის შემჩერებელ საშუალებად, ხოლო აფხაზურ ხალხურ მედიცინაში აგრეთვე შაკიკის საწინააღმდეგო საშუალებადაც მიიჩნევა.

ა-შმებ პრო ასისთავა

ეს ტერმინიც ორი სიტყვისგან შედგება: ა-შმებ “მალარია” + ა-ხიში “წამალი”. მედიცინაში გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების, მალარიის, დიზენტერიისა და სხვა დაავადებათა დროს.

ა-ხიშკედშიარა პრო მჭადა

სახელწოდება ორი სიტყვისგან შედგება: კომპოზიტური სტრუქტურის ა-ხიშკედშიარა “მუცლის მოწყვეტა” (შდრ.: ა-ხიშკე “ბავშვი” + ა-კედშიარა “მოწყვეტა, ჩამოვარდნა”) + ა-ხიში “წამალი”, ზედმიწევნით “ბავშვის მოწყვეტის წამალი”. როგორც ინფორმატორებთან გავარკვიეთ, აფხაზურ ხალხურ მედიცინაში აღნიშნული მცენარე თრსულობის მოშლის საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა.

ა-ჯმარტები ხარისხლიქა

რთული შედგენილობის სიტყვაა, რომელიც შედგება კომპონენტებისგან: ა-ჯმა “თხა” + მრავლობითი რიცხვის მესამე პირის კუთვნელებითი პრეფიქსი რ- + (ა-ხიში “წამალი”, ზედმიწევნით “თხების წამალი”). ხალხურ მედიცინაში ამ მცენარეს სხვადასხვა დაავადებების დროს იყენებენ. აქვს მიკრობსაწინააღმდეგო, სისხლისაღმდეგი, ამოსახველებელი, შარდმდენი, დამამშვიდებელი თვისებები. ჩირქოვანი ჭრილობების დროს შესახორცებლად გამოიყენება.

როგორც ჩანს, მცენარის სახელწოდება დაკავშირებულია პირუტყვზე, კონკრეტულ შემთხვევაში კი თხებზე დაკვირვების შედეგად, რომლებიც გარკვეული დაავადებების დროს “ხარისხლიქას” ჰამდნენ.

ზოგ შემთხვევაში მცენარეების სახელწოდებებში ფიგურირებს სხეულის იმ ნაწილების სახელები, რომელთა სამკურნალოდაც იხმარება მოცემული მცენარე. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ა-ჭაჭატები ხბოსშუბლა, ხარისშუბლა

კომპოზიტური შედგენილობის სიტყვაა: ა-ჭაჭა “თირკმელი” + ა-ხიში “წამალი”, ზედმიწევნით “თირკმლის წამალი”. მცენარე გამოიყენება პლატიფილინის ბიტარტრატის წარმოებაში, რომელიც მედიცინაში კუჭ-

ნაწლავის ზოგი დაავადებების, აგრეთვე დვიძლისა და თირკმლის კოლიკების დროს გამოიყენება.

ა-განგზახიში “ისლი”

ეს ტერმინიც კომპოზიტია, რომელიც შედგება ა-განგზა “ელენთა” + ა-ხიში “წამალი” ფუძეებისაგან, ზედმიწევნით კი “ელენთის წამალს” ნიშნავს.

ა-კაზგჟ ახიში “ღოლო, მჟაუნა”

რთული ტერმინია, რომელიც შედგება ა-კაზგჟ “საშვილოსნო” + ა-ხიში “წამალი” ფუძეებისაგან, ზედმიწევნით კი “საშვილოსნოს წამალს” ნიშნავს. მცენარე გამოიყენება სისხლდენების დროს, შესაძლებელია, ამასთან იყოს დაკაგშირებული მისი სახელწოდება.

ა-მგიახ ახიში “ველური პიტნა”

ტერმინი ორი სიტყვისაგან შედგება: ა-მგიახ “მუცლის ტკივილი” + ა-ხიში “წამალი”, ზედმიწევნით “მუცლის ტკივილის წამალი”. პიტნა ტკივილგამაყუჩებელი და ანტისეპტიკური თვისებებით არის ცნობილი. მის ნახარშს კბილის, მუცლისა და კუჭის ტკივილის დროს იყენებენ.

შემდეგ ჯგუფს მიეკუთვნება სამკურნალო მცენარეების სახელწოდებები - კომპოზიტი ტერმინები, რომლებიც წარმოებულია არსებითი სახელი + არსებითი სახელი მოდელით. აღნიშნულ მოდელს გამოყოფს ნ. მაჭავარიანი თავის სადისერტაციო ნაშრომში “მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში” (2006).

ა-ბლარკება “ყაყაჩო”

შედგება შემდეგი ერთეულებისაგან: ა-ბლა “თვალი” + ა-რ-კრა “დახურვა, დახუჭვა” (კაუზ. “დაკავებინება, დაჭერინება”) + -გა, რაც ზედმიწევნით ნიშნავს “თვალის დამხუჭვინებელს”. მედიცინაში ყაყაჩოს იყენებენ, როგორც ტკივილგამაყუჩებელ და საძილე საშუალებას. ჩანს, ეს უკანასკნელი ფაქტია სახელის მოტივირების საფუძველი.

ა-დიკამა “გვირილა”

კომპოზიტია: **ა-დიგ** “მინდორი” + ქართული დანართის ნასესხები (**ა-**)კამა “კამა”, ზედმიწევნით ნიშნავს “მინდვრის კამას”.

გვირილა, ისევე როგორც კამა, გამოიყენება კუჭ-ნაწლავის რიგ დაავადებათა სამკურნალოდ. შესაძლოა, აფხაზურად “გვირილის” “მინდვრის კამად” წოდება ამან განაპირობა.

ა-დიგკრგ „ია“

კომპოზიტია. აშკარად გამოსაყოფია სახელი **ა-დიგ** “მინდორი”, **კრგნ** სეგმენტის რაობა კი ცხადი არ არის და შემდგომ კვლევას მოითხოვს. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება წითელას, ყივანახველას, ბრონქიტების და ჰიპერტონიის დროს. აქვს მუკოლიტური, შარდმდენი, ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი თვისებები.

ა-დიგბგრბგლ „წალიკა“

კომპოზიტია. შედგება ორი ფუძისაგან: **ა-დიგ** “მინდორი” (ნასესხებია მეგრული დანართისაგან: **დოლო** “მინდორი”) + (**ა-**)**ბგრბგლ** “პილპილი, წიწაკა” (ნასესხებია ქართული დანართის პილპილი < პილპილი> (გითოლენდია 2010: 66-67). ზედმიწევნით “მინდვრის პილპილი”. მცენარე გამოიყენება სისხლდენის დროს. სპარსულად პილპილი ჟღერს, როგორც ფელველ **فلفل**, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართულში სიტყვა პილპილი სავარაუდოდ სპარსული დანართის შემოვიდა.

ა-მათაბზ „მატიტელა“

კომპოზიტია: **ა-მათ** “გველი” + **ა-ბზ** “ენა”, ზედმიწევნით “გველის ენა”. გამოიყენება, როგორც შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო და სისხლდენის შემაჩერებელი საშუალება. მცენარის სახელს აშკარად უარყოფითი კონოტაცია აქვს, რაც, შესაძლოა, იმაზე მიუთითებდეს, რომ მცენარისათვის სახელის შერქმევის დროს ამ მცენარის სასარგებლო თვისებები ჯერ კიდევ უცნობი იყო და მცენარე მავნედაც კი მიიჩნეოდა.

ა-მათჟასკეგ „მეჭეჭა“

კომპოზიტის პირველი წევრია გველის აღმნიშვნელი **ა-მათ** ფუძე, მეორე კი ქართული დანართის ნასესხები **ა-ჟასკეგ** “ბალახი” სიტყვა.

ქლომთათიძე წერს, რომ პალატალიზებული გـ ქـ ქـ ხშულები საკუთარ ლექსიკურ ფონდში არ არის გავრცელებული, მაგრამ ხშირად გვხვდება სხვა ენებიდან შესულ სიტყვათა ფუძეებში. სხვა ენებიდან მომდინარე სიტყვებში ისინი მაშინ გვხვდება, როდესაც მას მოსდევს ამ ენებში ო ან ე ხმოვნები. მაგალითად აფხ. ა-ჭასკ-გნ “ბალახი”, ქართ. ასკილ-ი. ლომთათიძე 1976: 170) ტერმინი ითარგმნება, როგორც “გველის ბალახი”.

მცენარე გამოიყენება მექეჭების საწინააღმდეგოდ, რაზეც მიგვითოვბს ქართული სახელწოდება, ხოლო აფხაზურ სახელს აშკარად უარყოფითი კონტაცია აქვს, რაც, შესაძლოა, იმაზე მიუთითებდეს, რომ მცენარისათვის სახელის შერქმევის დროს ამ მცენარის სასარგებლო თვისებები ჯერ კიდევ უცნობი იყო და მცენარე მავნედაც კი მიიჩნეოდა.

ა-მშილაჲა “თამელი”

ისევე, როგორც ზემოთ განხილული სახელწოდება, ესეც არსებითი სახელების ფუძეების შეერთებით წარმოებულია: ა-მში “დათვი” + ა-ლაჲა “ლელვი”, ზედმიწევნით “დათვის ლელვი”. ანალოგიისათვის საინტერესოა, რომ მეგრულში ეს მცენარე ცნობილია, როგორც თუნთიშ სხული “დათვის მსხალი”. თამელი მედიცინაში გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტოან დაკავშირებული პრობლემების დროს.

ა-შხარაგ “თეთრძირა”

კომპოზიტია. პირველი კომპონენტია ა-შხარა “მთიანეთი”, ხოლო მეორე – ა-გ “მუხა”, ზედმიწევნით ნიშნავს “მთიანეთის მუხას”. როგორც ჩანს, იგულისხმება ალპური ზონის ხემცენარეთა მცირე ზომა – “მთიანეთის მუხა” ის მცენარეა, რომელიც მუხას ჰგავს, მაგრამ ჯუჯაა.

ა-ხირაბლ-გრ // ა-ხიგრაბლ-გრ “მრავალძარღვა”

ტერმინი კომპოზიტია, შედგება ორი არსებითი სახელის ფუძისაგან: ა-ხირა “იარა, ჭრილობა” + ა-ბლ-გრ “ფოთოლი”, ზედმიწევნით “ჭრილობის ფოთოლი”. მრავალძარღვას ჭრილობებისა და წყლულების მოსაშუალებლად იყენებენ. სახელი მოტივირებულია არა მცენარის მორფოლოგიის (შდრ. ქართ. მრავალძარღვა), ან გავრცელების ადგილის (შდრ. რუს. подорожник), არამედ მისი მეტად კონკრეტული სამედიცინო დანიშნულების საფუძველზე –

სახელწოდება ხაზს უსვამს, რომ მცენარე სწორედ ჭრილობის სამკურნალო საშუალებაა.

იხგ ხიგმკია ახიგრბლ გვ აქიგიწოდტ “დაჭრილი არ არის, მაგრამ მრავალძარღვას ადებს” (გულია, 1985: 153).

ა-ხრაჯმუშმ “ანგელოზა”

კომპოზიტია. შედგება ა-ხრა “კლდე” + (ა-)ჯმუშმ “ნიორი” ფუძეებისაგან, ზედმიწევნით ნიშნავს “კლდის ნიორს”. მცენარის დანაყილ ფოთლებსა და ლეროს მძაფრი, უსიამოვნო სუნი ახასიათებს. შესაძლებელია, ამასთან იყოს კავშირში მცენარის სახელწოდებაში ნივრის სახელის მონაწილეობა (თავისი მძაფრი და არასასიამოვნო სუნის გამო).

ზოგიერთი მცენარის სახელწოდება ნაწარმოებია კაუზატივის რ-პრეფიქსისა და მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი -გა სუფიქსის ერთდროული დართვით, ან მხოლოდ -გა სუფიქსის (კაუზატივის -რ ნიშნის გარეშე) მეშვეობით. მაგალითად:

ა-ფჰეგა “ოშოშა”

შდრ.: ა-ფჰეგ “სურნელი, სუნი”, ხოლო გა სეგმენტი, შესაძლოა, მოქმედების იარაღის აღმნიშვნელ სუფიქსადაც მიგვეჩნია, მაგრამ ეს გამორიცხულია, ვინაიდან ამ ფუნქციით -გა სუფიქსი მხოლოდ ნაზმნარ ძირებს დაერთვის, ამ ტერმინს კი ასეთი ძირი არ ურევია. ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნებოდა ასეთი ახსნა: ეს გა უნდა იყოს “წადება, წაყვანის” აღმნიშვნელი ა-გარა ზმნის ძირი, რომელიც გამოიყენება სწორედ სუნის ასვლის, სუნის ადენის, სუნის გავრცელების სემანტიკის გადმოსაცემად სწორედ ა-ფჰეგ “სურნელი, სუნი” სახელთან ერთად: ა-ფჰეგ გომტ “სუნი დგას; სუნი ასდის; სუნი ვრცელდება”.

ამ ვარაუდის შესაბამისად, მცენარის სახელი ზედმიწევნით ნიშნავს “სურნელის გამავრცელებელს”. მართლაც, აღნიშნულ მცენარეს მძაფრი, პიტნისმაგვარი სუნი ახასიათებს, როგორც ჩანს, მისი სახელწოდებაც ამ ფაქტთან არის დაკავშირებული.

ა-ძაძარბაგა “კრაზანა”

შდრ.: ა-ძაძა “ცვარი, ნამი” + ა-რ-ბა-გა “გამშრობი” ა-რ-ბა-რა “გაშრობა” ზმნისაგან. ზედმიწევნით სახელი ითარგმნება, როგორც “ცვრის, ნამის გამშრობი”. სახელი მოტივირებული შეიძლება იყოს მცენარის მიერ ნამის შესრუტვის გამოკვეთილი უნარით.

აფხაზური სამკურნალო მცენარეების მრავალი სახელწოდება ქართველური ენებიდან არის ნასესხები. მაგალითად:

ა-კაწახიგრ – ქოწახური;

ა-ქიგც “კუნელი” – მეგრ. ქუნცი;

ა-ხარაჯ “ჯაგრცხილა” – მეგრ. ხერაჯი;

ა-ზოკელ “ძირმწარა” – მეგრ. ზინტკვილი;

ა-სამყიგრ // ა-ცამყიგრ – სამყურა;

ა-დაფა “დაფნა” – მეგრ. დაფი;

ა-ჯამფაზ “ჭიაფერა” – მეგრ. ჯამფეზია, ჯაფაზია;

ა-ყიგლმინთა // ა-ყიალმინთა // ა-ყიალმინთა “პიტნა” – მეგრ. ყვალმითა, ყვალმინთა (ზედმიწევნით: “ყველის პიტნა”)... (აფხაზურში ნასესხები მცენარეთა ქართველური სახელწოდებების შესახებ გრცლად იხ.: ქ. ლომთათიძის მონოგრაფიაში “აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I”, თბ., 1975; თ. გვანცელაძის სტატიაში “ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულებანი. – კრებ. “გიორგი როგავას”. თბილისი, 1997, გვ. 55-67 და 6. მაჭავარიანის მონოგრაფიაში (“მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში. სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი”. თბილისი, 2006).

ხშირად, სამკურნალო მცენარეებს არქმევდნენ იმ ექიმბაშებისა და მკურნალების სახელებს, რომლებიც ამ მცენარეებს იყენებდნენ, ზოგჯერ კი სხვა პირთა სახელებიც გვხვდება ამავე ფუნქციით.

მაგალითად, გვდის იშასკენ “გიდის ბალახი”, შმაფ ბერში “შმაფის წამალი”, აპაპ იშასკენ “მღვდლის ბალახი”, ფენწაჭა რენში “ფინწაჭების წამალი”, წერი ბერში “წიკვის წამალი”, ლება ბერში “ლიბას წამალი”. ამ ტერმინებში გვდი, შმაფ, წერი, ლება მამაკაცთა პირსახელებია, ხოლო ფენწაჭა – პატრონიმული სახელი (შტოგვარის სახელი).

მკურნალობის ტერმინთა შორის ბევრია ზმნა და ნაზმნარი სახელი. მაგალითად, ამ ჯგუფს განეცუთვნება მარტივფუძიანი ზმნა ა-ღ-ა-რა “შეხორცება” და მისგან მომდინარე სახელი ა-ღ-ა “შეხორცებული იარა”.

აფხაზურ ენაში მწირია სამედიცინო მანიპულაციების დროს გამოსაყენებელი საშუალებების სახელები. მოვიყვანთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალას:

ა-ღ-ა-რცხ-ა “ნაყენი”

სახელის ფუძე შედგება რცხ-ა ძირისაგან, რომელსაც ერთვის საურთიერთობო კატეგორიის ა-ღ- პრეფიქსი, წა- ფუძე-წინდებულია, რომელიც აღნიშნავს რაიმეს ქვემოთ ყოფნას ან მოქმედებას.

ა-ბამბა “ბამბა”

ქართულიდან ნასესხები სიტყვაა. ხშირად გამოიყენება შელოცვებში:

...შაქარ ძულა იჭმუზბაამტ, ბამბალა იჭმუსგრყიყიომტ...” (შაქრიანი წყლით გავასწორე, ბამბით შებფუთე...) (გულია, 1985: 218)
აბამბაჭმუ ამცა უზურიახუამ “ბამბაში ცეცხლს ვერ დამალავ” (გულია, 1985: 180)

ა-ბაჭმარიწა “მდოგვის სალბუნი”

კომპოზიტი. პირველი კომპონენტი ა-ბაჭმა “მდოგვი” + რიწა არის ა-ქი-წარა “დადება” ზმნის ფუძე, ზედმიწევნით “დადებული მდოგვი”.

ა-დასგა “დანა ვენასექციისთვის (სისხლის გამოსაშვები)”

კომპოზიტი იშლება ასე: ა-და “სისხლძარღვი, ნერვი”, სა ძირის რაობა ნათელი არ არის. ზმნიდან ადგრძსარა, აახგრსარა “გაჭრა”+ მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი –გა სუფიქსი. ტერმინი ზედმიწევნით ნიშნავს “სისხლძარღვის საჭრელი ინსტრუმენტი”

ა-კასტმა “დოლბანდი”

კომპოზიტი შედგება ა-კასგ “ნაჭერს; თავსაფარს” (შდრ. რუს. კოსინკა “თავსაფარი”) არსებითი სახელისა და შმ აშმგიაკია ”თეთრი“ ზედსართავი სახელისგან. ზედმიწევნით ”თეთრი თავსაფარი“.

ა-ლაფშმერწაშიარა “ჰალუცინაცია”

კომპოზიტი. ნაწარმოებია ა-ლაფშმ “მზერა, გამოხედვა” არსებითი სახელისა და ა-წაშმარა “რაღაცის რაიმეს ქვეშ ჩავარდნა” (სადაც წა რაიმეს ქვემოთ ყოფნის ან მოქმედების აღმნიშვნელი ფუძე-წინდებულია) ზმნის ფუძეების შეერთებით. ზედმიწევნით ”მზერის ქვეშ მოხვედრა“.

ა-მალპამ “მალამო”

ნასესხებია ოურქულიდან < მაჟლამ.

ა-მაშგნა/ა-ძგნწაგა “ოყნა”

ა-მაშგნა ნასესხები ტერმინია. მისი მნიშვნელობის დადგენა ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება მეორე სიტყვას, ა-ძგნწაგა - კომპოზიტია. შედგება ა-ძგ “წყალი” ფუძის, ა-წარა “დადება, ჩადება” ზმნის ნწა ძირისა (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნიშნავს ”ოყნის დადგმას“) და მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი გა სუფიქსისაგან. ზედმიწევნით ”რითიც წყალს ჩადებენ“. მაგალითი: აჩგმაზაკ ამაშგნა ინგრწერტ “ავადმყოფს ოყნა გაუკეთეს”.

ა-პინცეტი “პინცეტი”

რუსულის შუამავლობით ნასესხები ტერმინია.

ა-რდგსგა “საანესთეზიო საშუალება”

გამოსაყოფია ინსტრუმენტის სუფიქსი -გა და კაუზატივის პრეფიქსი რ-, სხვა ელემენტთა რაობა კი დასადგენია.

ა-რფხაგა “სათბური”

ტერმინი შედგება ა-ფხარა “გათბობა, შეთბობა” ზმნის ფუძისგან, რ-კაუზატივის აფიქსისა და -გა იარაღის აღმნიშვნელი სუფიქსისგან.

ა-რთებნჩგა “დამამშვიდებელი”

კომპოზიტი ნაწარმოებია ა-რ-თენჩ-რა “დამშვიდება, დაწყნარება” ზმნის ფუძის (სადაც რ- კაუზაციის სუფიქსია) და -გა მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი სუფიქსით. თენჩ ფუძე ნასესხებია თურქულიდან და ნიშნავს “მშვიდს, წყნარს; დინჯს”. ზედმიწევნით “ის, რითიც ამშვიდებენ”.

ა-რკაშებგა “ნარკოზი”

კომპოზიტი ნაწარმოებია ა-რგვშ-რა “დაძინება, შეგრძნების შესუსტება” (გენკო, 1998: 224) ზმნის ფუძისა და მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი -გა სუფიქსის მეშვეობით.

ა-სფრით “სპირტი”

რუსულის მეშვეობით ნასესხები ტერმინია.

ა-საკასა “საკაცე”

ქართველური ენებიდან კალკირებული ნასესხობა. შდრ. ქართ. სა-კაც-ე. საყურადღებოა ც > ს პროცესი.

ა-საკატ/ა-კერძრა ლაბაჭია “ყავარჯენი”

პირველი ტერმინის სტრუქტურა და წარმომავლობა სარკვევია, ხოლო მეორე ტერმინი აღწერითი ხასიათისაა: ა-კერძრა ლაბაჭია ზედმიწევნით “იღლიის ჯოხები”.

ა-ფსაძ “ორმო, რომელშიც ავადმყოფს კურნავდნენ”. ძვლების დაავადებების მქონე ადამიანების განსაკურნებლად ადამიანის სიმაღლის ორმოს თხრიდნენ. ნაძვის (აფხაზურად ნაძვი - აფსაძ) ტოტებისგან ცეცხლს ანთებდნენ და ორმოს ახურებდნენ. შემდეგ ავადმყოფს ამ ორმოში ათავსებდნენ.

სემანტიკის გადაწევის შედეგად ნაძვის სახელი სამკურნალო ორმოს სახელად იქცა.

ა-ყებგა “გარეგანი ჩირქებროვების გასაჭრელი დანა”

გამოსაყოფი ჩანს ინსტრუმენტის სუფიქსი -გა, ხოლო ძირის რაობა გასარკვევია.

ა-შარბათ “გაციების წამალი”

ნასესხებია არაბულიდან ქართულის ან თურქულის მეშვეობით. შდრ.: ქართ. **შარბათი** “შაქრისა და ხილის წვენით დამზადებული ტყბილი სასმელი” (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1990 – II: 1021). თურქ. **şerbat/şerbet**, არაბ. **شربات** (Sherbet).

ა-შმოურაშიარგა “თერმომეტრი”

კომპოზიტი. ნაწარმოებია ა-შმოურა “სიცხე” არსებითი სახელისა და ა-შიარა “გაზომვა” ზმნის ფუძეების შეერთებითა და -გა მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი სუფიქსით. ზედმიწევნით “სიცხის საზომი”.

ა-ძკა “ხსნარი”

კომპოზიტია. შედგება ა-ძგ “წყალი” არსებითი სახელის ფუძისა და კაძირისაგან, რომლის მნიშვნელობის დადგენა გაგვიჭირდა.

ა-ჭმაჭიარგა “გადასახვევი მასალა”

ისევე, როგორც წინა ტერმინი, აღნიშნული სიტყვაც კომპოზიტია. ნაწარმოებია ა-ჭმაჭიარა “შეკვრა, შეხვევა” ზმნის ფუძისა და -გა მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი სუფიქსის მეშვეობით. ზედმიწევნით “შესახვევი საშუალება”.

ა-ხიშირი “დრუნაჟი”

კომპოზიტი იშლება ასე: არსებითი სახელის ფუძე ახიში “წამალი” + არსებითი სახელის ფუძე ა-წიგ “წაწვეტებული ჯოხი, პატარა ჯოხი, წკირი”. ტერმინი ზედმიწევნით ნიშნავს “სამკურნალო ჯოხი, წამალ-ჯოხი”.

ა-ხახჩმერგა “ტკივილგამაყუჩებელი”

კომპოზიტი იშლება ასე: ა-ხახ “ტკივილი” + ა-ჩჩმ-რა “შესუსტება, შემსუბუქება, შერბილება” + მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი -გა სუფიქსი. ტერმინი ზედმიწევნით ნიშნავს “ტკივილის შემამსუბუქებელი ინსტრუმენტი, საშუალება”.

ა-ხერფშმარგა “სპეციალური ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც დაჭრილის სხეულიდან ტყვია ამოპქონდათ”

კომპოზიტი ნაწარმოებია ა-ხე “ტყვია” არსებითი სახელისა და პ-ფშმაარა “მოძებნა” ზმის ფუძეების შეერთებით და -გა მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი სუფიქსით. ზედმიწევნით “ტყვიის მოსაძებნი ინსტრუმენტი”.

3. დაავადებათა და სამკურნალო საშუალებათა სახელების მორფოლოგიური მოდელები

წინამდებარე თავში გაანალიზებულ სახელწოდებათა შორის ჭარბობს წარმოქმნილი და რთულფუძიანი (კომპოზიტური) ტერმინები, აგრეთვე ერთზე მეტსიტყვიანი შესიტყვებები, მარტივფუძიანი სახელები კი შედარებით ნაკლებია.

მარტივფუძიან ტერმინთა სტრუქტურაში შედის მხოლოდ სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა-პრეფიქსი და ფუძე (ძირი). ამ მოდელს განეკუთვნება დაავადებათა შემდეგი სახელწოდებანი: აბლუ, ადმშა, აყაბ და ა.შ..

წარმოქმნილ სახელებში სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა-პრეფიქსის გარდა წარმოდგენილია სიტყვათმაწარმოებელი (დერივაციული) აფიქსები: **-ტი(გ), -გა, -ვგ, -რა, -ხა, -და, -და-ხა...**

-ტი(გ) სუფიქსს, როგორც სიტყვათმაწარმოებელ სუფიქსს გამოყოფს აფხაზური ენის თითქმის ყველა მკვლევარი. ქ. ლომთათიძე წერს, რომ: “**ტი(გ)** აფხაზურ ენაში არის კუთვნილების აფიქსი და ძირითადად გამოიყენება ნაზმნარ სახელებში, მოქმედების სახელთა სიტყვათმაწარმოებელი აფიქსის სახით” (ლომთათიძე 1945: 309). მკვლევარი თვლის, რომ სუფიქსი **-ტი(გ)** სიტყვა “საკუთრების, კუთვნილის; მონის” აღმნიშვნელი **ა-ტი(გ)** ფუძისაგან არის ნაწარმოები (ლომთათიძე 1945: 309-312).

სუფიქს **-ტი(გ)-ს** მეშვეობით იწარმოება ნაზმნარი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ქმედების ობიექტს, დანიშნულების საგანთა სახელებს, მაგ.: ა-ძა-ტი “შესაწირი ცხოველი”, პ-კუგხშმა-ტიგ “საგანი, რომელსაც ავადმყოფს თავს შემოავლებენ”, ა-თაჲი-ა-ტი “შესალოცი, გამოსალოცი.

სამედიცინო ტერმინებში სუფიქს **-ტი(გ)-ს** მეშვეობით ნაწარმოები არსებითი სახელები იშვიათად გვხვდება. ესენია: ა-ხ-შ-ტიგ “მალამო”, ზედმიწევნით “წასასმელი”, არგუ-ტი 1. “სასმელი”, 2. “ნახარში, წვენი”, პ-შ-ტი “სამკურნალო, განსაკურნავი”. უკანასკნელი სიტყვისაგან, თავის მხრივ, მიიღება ახალი სამედიცინო ტერმინები: მასდარი ახ-შ-ტი-რა “მკურნალობა, განკურნება”,

ახელი -ტიპი “მკურნალი”, ახელი -ტიპი “სამკურნალო საშუალება, წამალი”, ახელი -ტიპი -რთა “მკურნალობის ადგილი, საავადმყოფო”, აძლიახელი -ტიპი -რთა “ბალნეოლოგიური სამკურნალო”. ამ ახალ ფორმებში გამოყენებულია მასდარის მაწარმებელი -რა, მოქმედი საგნის აღმნიშვნელი -ცგ, მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი -გა და ლოკატიურობის -რთა სუფიქსები.

საზოგადოდ, აფხაზურ წარმოქმნილ სახელებში ხშირად დასტურდება სუფიქსი -რა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული დერივაცია. ამას აღნიშნავს აფხაზური ენის თითქმის ყველა მკვლევარი (ქ. ლომთათიძე, ა. გენკო, კ. შავრილი, ა. ხეცია, თ. გვანცელაძე, ნ. მაჭავარიანი...), მაგრამ ყველაზე სრულად ამ სუფიქსის ფუნქციური დახასიათება წარმოდგენილი აქვს ა. ხეციას, რომელმაც მისი 10-მდე სიტყვათწარმოებითი ფუნქცია გამოყო (ხეცია 1988: 10-12).

სამედიცინო ტერმინოლოგიაში უპირატესად გამოიყენება ნასახელარ ზმნათა, ან აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად: **ამშია** “ხველა” (სახელი) – ამშია-რა “დახველება”, ახელაგა “სულელი, გიჟი” – ახელაგა-რა “გაგიჟება”, აგაბე “მძიმე ავადმყოფი” – აგაბე-რა “ძლიერ ავად ყოფნა, ტანჯვა”, აჭიგჭირ “დამბლა” – აჭიგჭირ-რა “დამბლის დაცემა, პარალიზება”, აღ-ა “შეხორცებული იარა” – აღ-არა “შეხორცება”...

აფხაზურში საზოგადოდ სუფიქსი -გა ერთვის ზმნის ფუძეს და აწარმოებს იმ იარაღის მნიშვნელობის მქონე არსებით სახელს, რომლის მეშვეობითაც ახორციელებენ ქმედებას, ხოლო სამედიცინო ტერმინოლოგიაში კი ძირითადად სამკურნალო საშუალებას აღნიშნავს.

ეს სიტყვები უმეტესწილად რთული შედგენილობისანი არიან, პირველი კომპონენტი – სახელის ფუძეა, რომელიც მიგვითოთებს მკურნალობის ობიექტზე: აფხძელება “ოფლმდენი საშუალება” – აფხძე “ოფლი” + ალხრა “გამოღება, გამოტანა”. ასეთივე მოდელით ნაწარმოები სიტყვებია: **აშმოურარტია-გა//აშმოურახმებელება** “სიცხის დამწევი”, აყება “ჩირქებროვის გასახსნელი დანა”, ახერფშმაბა-გა “იარაღი, რომლითაც ადამიანის სხეულიდან ტყვია ამოაქვთ”, არგვშებელება “ნარკოზი, გამაყუჩებელი”, **აშმოურაშიგ-გა** “სიცხის საზომი, თერმომეტრი”.

აფხაზურ ენაში სუფიქსი -ხა დაერთვის სახელის ფუძეს და აწარმოებს გარდაქცევითობის სემანტიკის მქონე გარდაუგალ ნასახელარ დინამიკურ ზმნას. ეს სუფიქსი დასტურდება ზოგ სამედიცინო ტერმინშიც და მას ახლავს ხოლმე მასდარის -რა სუფიქსი:

აბზირა-ხარა “კარგად გახდომა”, აიცია-ხარა “უარესად გახდომა”, აიღ-ხარა “მომჯობინება”, ახარა-ხარა “გაგიქება”, ახმგიადუ-ხარა “დაფეხმდიმება”, აფსერლაცია-ხარა “გასუქება”, აფსაივწა-ხარა “ხრჩობა, ქოშინი”, ამსა-ხარა “გარქოვანება”, აჭმაჟა-ხარა “გაშეშება”, აფურხაგა-ხარა “წყენა, მოწამლვა, მავნებლობა”, ალაში-ხარა “დაბრმავება”.

აფხაზურ ენაში სუფიქსი -და გამოხატავს რისამე უქონლობას, რომელსაც შეიძლება მოსდარის/აბსტრაქტულობის -რა სუფიქსიც: აზკე-და-რა “ჯანმრთელობა”, ანუ “სენის არქონა” (აზკა “ავადმყოფობა, ინფექციური დაავადება”); ახიში-და-რა “უწამლობა, წამლის უქონლობა”; აგა-მა-და-რა “გემოს შეგრძნების უქონლობა; უმადობა”, ახშერა-და-რა “უნაყოფობა, უშვილობა”.

მოცემული მოდელი შეიძლება გართულებული იყოს უარყოფითი მნაწილაკით; ა-მ-ცია-და-რა “უძილობა”. ზოგჯერ უარყოფის შინაარსი გადმოცემულია მხოლოდ ზმნის ფუძეში ჩართული მ აფიქსითაც: აგია-მ-ბზირა “ავადმყოფობა”, ალა-მ-შიარა “დაუორსულებლობა/უშვილობა”.

თანამედროვე აფხაზურში ნეოლიგიზმების მაწარმოებლად ერთობლივად გვევლინება ა-კ-რა “დაჭერა, ჭერა” ზმნის პ ძირი და კაუზატივის მაწარმოებელი რ- პრეფიქსი. ხსენებული დერივატების პროდუქტიულობა ძალზე მაღალია სამედიცინო ტერმინოლოგიაშიც:

დერივატი პ: აპ-კ-რა “ცოფი; გაცოფება”, აფშერ-კ-რა “რევმატიზმი”, აციუმზერ-კ-რა “უძილობა”, აგიაწი-კ-რა “ფილტრების ანთება”, აჭურკიალ-კ-რა “კრუნჩხევა”.

დერივატი რ-პ: ახიში-რ-კ-რა “წამლით გაუდენოვა, მოწამლვა”, აშერამზ-რ-კ-რა “წამლით გაუდენოვა, მოწამლვა”.

დაავადებებისა და მკურნალობის აღმნიშვნელ აფხაზურ სამედიცინო ტერმინებში დიდი რაოდენობით გვხვდება რთულფუძიანი სიტყვები. მათი უმრავლესობა იწარმოება კომპოზიციით შემდეგი მოდელის მიხედვით: დაავადებული ორგანოს სახელი + სიტყვები აჩვმაზარა “დაავადება”, ან ახა- “ტკივილი”.

ტერმინების კომპონენტები წარმოდგენილია მეტყველების შემდეგი ნაწილებით: არსებითი სახელი+ არსებითი სახელი, არსებითი სახელი+ ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი+ ზმნის ფუძე.

არსებითი სახელი + არსებითი სახელი მოდელის მიხედვით აგებული მრავალი კომპოზიტური ტერმინის პირველი კომპონენტი გამოხატულია დაავადებული ორგანოს აღმნიშვნელი არსებითი სახელებით:

ამგა „მუცელი”, აუატალა „ჯირკვალი”, ალა „თვალი”, ალგმჲა „ყური”, ახაფტც „კბილი”, აზ „ნაღველი”, აბდა „ზურგი”, აბაჲ „ძვალი”, აცა „კუჭი”, ახიდა „ყელი”, აგიზ „გული”, აცია „კანი”, აგიაწია „ღვიძლი”. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაავადების სახეობის კონკრეტიზაცია ხორციელდება დაავადებული ორგანოს აღმნიშვნელი პირველი კომპონენტით.

ამგვარ ტერმინთა მეორე კომპონენტად გვევლინება სიტყვები ახა „ტკივილი” ანდა აჩვენა „დაავადება”.

ორგანოს დასახელება + ახა: ამგაახა „მუცლის ტკივილი”, აუატალახა „ჯირკვლის ტკივილი”, აცახა „კუჭის ტკივილი”, ალახა „თვალის ტკივილი”, ალგმჲახა „ყურის ტკივილი”, ახაფტცხა „კბილის ტკივილი”, აბდახა „თვალის ტკივილი” და ა.შ.

გვხვდება ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინების სხვაგვარი, გამარტივებული ფორმაც, როცა ახა სიტყვის მხოლოდ თანხმოვანია დარჩენილი: ამგაახ „მუცლის ტკივილი”, აუატალახ „ჯირკვლის ტკივილი”, ახეხ „თავის ტკივილი”.

რაც შეეხბა ცხოველების დაავადებების სახელებს, მათში პირველ კომპონენტად გვევლინება არა დაავადებული ორგანოს სახელი, არამედ თავად ცხოველის სახელწოდება: აჭიარახ „ღორის ჭირი”.

ორგანოს დასახელება + აჩვენა „დაავადება”: აჭირაჩვენა „პირის ღრუს დაავადება”, აჭაჭაჩვენა „თირკმლის დაავადება”, არგუჭაჩვენა „ფილტვის დაავადება”, აგიაწაჩვენა „ღვიძლის დაავადება”. ამ ტერმინების სემანტიკა მიგვითოთებს არა ტკივილზე, არამედ დაავადებაზე.

ზმური კომპონენტის შემცველი რთული ტერმინები ფართოდ გამოიყენება აფხაზურ ენაში. ზმური კომპონენტის სტრუქტურა არაერთგვარია. აგრეთვე არაერთგვაროვანია ტერმინის კომპონენტებს შორის ურთიერთობები. ეს ურთიერთობები განსაზღვრავენ მთლიანად რთული ტერმინის ჯამურ მნიშვნელობას. ზმის სტრუქტურიდან გამომდინარე გამოვყოფთ რთული ტერმინების შემდეგ მოდელებს:

ა) სახელი + დამოუკიდებელი, ან დამოკიდებული რეალიზაციის მქონე ზმა. უფრო ხშირად ზმა მასდარის ფორმითაა წარმოდგენილი:

აბაკ-ფშიარა “მოტეხილობა” < ა-ბაკ “ძვალი” + (ა-)ფშიარა “მოტეხი”;

აჭაპან-კაშიარა “ჭიპის ამოვარდნა” < ა-ჭაპან “ჭიპი” + (ა-)კაშიარა “პატარა ზომის რაღაცის ამოვარდნა”;

ახ-თა-ლალარა “გაციება” < ა-ხ-თა “სიცივე” + (ა-)ლალარა “რაღაცის შიგნით შესვლა”;

ამგია-ხასრა “დიზენტერია” < ა-მგია “მუცელი” + (ა-)ხასრა “ეპიდემიის, დაავადებების გავრცელება”...

ბ) ორგანოს სახელწოდება + კაუზატიური მიმღებია:

ახიდა-რ-ჩე “ყბაყურა”;

აცია-რ-ქშე “ჩუტყვავილა”;

აცია-რ-ფშება “ყვავილი”...

გ) ზემოხსენებულ მოდელს პგავს კონსტრუქცია, რომლის მეშვეობითაც ნაწარმოებია ტერმინი არგე-თშრა “ციება, კანკალი”, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ტერმინებისგან განსხვავდება იმით, რომ კაუზაციის აფიქსი აქ სხვა პოზიციას იგავებს: ის დგას არა მიმღების, არამედ მთელი რთული ფუძის დასაწყისში. ეს რთული ფუძის ლექსიკალიზაციის შედეგია.

დ) ორგანოს დასახელება + ზმნა აკრა “დაჭერა, დაკავება, შეპყრობა”. მოცემული მოდელი არის ყველაზე გავრცელებული სიტყვათმაწარმოებელი მოდელი. ამ მოდელისთვის დამახასიათებელია ორ ვარიანტი რეალიზაცია: კომპოზიტური, როდესაც ზმნა აკრა ასრულებს სახელის განუყოფელი ნაწილის ფუნქციას (მაგ.: აცია-მზემ-კრა “უძილობა”) და მეორე, როცა აკრა ზმნა დაავადების დასახელებისას (ნომინაციისას) შედის რთული ფუძის შემადგენლობაში (მაგ.: ა-ხ-თა-კრა “გაციება, შეციება”), მაგრამ სათანადო პროცესის კლასოვან-პიროვანი და დროული სემანტიკის გამოხატვის აუცილებლობის დროს იგი გამოდის ზმნის ფუძის შემადგენლობიდან და იუდლება ჩვეულებრივ (ა-ხ-თა საკიტ “მე შემცივდა”, ზედმიწევნით “სიცივემ შემიპყრო”).

ე) კომპოზიტები და შესიტყვებები, რომლებიც შედგებიან არსებითი სახელისა და ხარისხობრივი ზედსართავი სახელისაგან:

ალაფშმ-ციგა “გაოვალვა” < ალაფშმ “მზერა” + (ა-)ციგა “ცუდი”;

აიმშია ბზია “ყივანახველა” < აიმშია “ხველა” + (ა-)ბზია “კარგი”;

აიმშია ციგა “ჭლექი” (ზედმიწევნით “ცუდი ხველა”) < აიმშია “ხველა” + (ა)ციგა “ცუდი”.

ტერმინების დიდი ნაწილი ტერმინ-შესიტყვებებია, ანუ ისინი შედგება ერთმანეთთან სინტაქსურ კავშირში შემავალი ერთზე მეტი დამოუკიდებელი სიტყვისაგან (გამონათქვამისაგან). ამგვარი ტერმინ-შესიტყვებებია: **აკატემ ჩემაზარა ჭმკე ბააფსე “დიზენტერია”** (ზედმიწევნით “ნაწლავის ძალიან ცუდი გადამდები დაავადება”). ასეთი შემთხვევები მეტად იშვიათია.

შედარებით ხშირია სახელებისაგან შემდგარი ტერმინ-შესიტყვები, რომელთა კომპონენტებსაც ერთმანეთთან პოსესიური ურთიერთობები აკავშირებთ:

ანცია რჩემაზარა “ღმერთების ავადმყოფობა” (ზედმიწევნით “ღმერთების ავადმყოფობა” – წითელას ტაბუირებული სახელწოდება).

აქ სიტყვა ანცია “ღმერთი” აღნიშნავს ღმერთების კრებულს, რაზეც მიგვითითებს სახელწოდების მეორე კომპონენტში მრავლობითი რიცხვის მესამე პირის კუთვნილების მაჩვენებელი რ-

თავი III

ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა

ამ თავში წარმოდგენილია ადამიანის ფიზიოლოგიურ პროცესებთან და მათ პროდუქტებთან დაკავშირებული აფხაზური სახელწოდებების სტრუქტურული, სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგები.

აღნიშნული ტერმინოლოგიის მოპოვება და დამუშავება გარკვეულ სირთულეებს წარმოადგენდა, რადგანაც თანამედროვე აფხაზურში ძილითადად გამოიყენება რუსული ტერმინოლოგია.

აგრეთვე სირთულეს წარმოადგენდა საველე მუშაობების დროს გარკვეული ტერმინების (აფხაზებში ე.წ. სასირცხვილო ტერმინების) მოპოვება-ჩაწერა, რადგანაც ამგვარი სიტყვები ძილითადად ტაბუირებულია და აღწერით ან ევფემიზაციით არის წარმოდგენილი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებთან და მათ პროდუქტებთან დაკავშურებული ლექსიკა ფრაზეოლოგიზმებში და სამხატვრო ტექსტებში ძალიან იშვიათად დასტურდება.

პატაკრა ”დაჭკნობა (კანისა)”

ზმნის ფუძე შედგება კჲ ძირისაგან, რომელსაც ერთვის საურთიერთო კატეგორიის ად- პრეფიქსი, ლოკატიური მა- პრევერბი და მასდარის მაწარმოებელი -რა სუფიქსი. მთლიანად პატაკრა ეტიმოლოგიურად ნიშნავს “ერთიანად დაჭკნობას”. ამავე კჲ ძირისაგან მომდინარეობს სიტყვა ა-კაჭერა // ა-კაჭერა “ნაოჭი”. ძირის ამოსავალი ვარიანტი შენარჩუნებულია ა-კაჭერა ფორმაში, რომელშიც დაცულია პირველადი ა ხმოვანი. ზმნა ერთპირიანი და გარდაუვალია. კლასოვან-პიროვანი უდვლილებისას დაირთავს ძირითადად

სუბიექტის და რიგის ნიშნებსა და დრო-კილოთა სუფიქსებს: იცია [ა-]ემაკშიტ “მას (მამაკ.) კანი დაუნაოჭდა”.

ათაკიაუ ლძამვა ემაკშიტ “მოხუცებული ქალის ლოყა დაჭკნა (დანაოჭდა)”
(შაყრილი, კონჯარია, 1986 – I :59)

ადმსარა “დაცემინება”

ტერმინი შედგება საურთიერთო კატეგორიის ად- პრეფიქსისაგან, ლოკატიური მა- პრევერბის უსმოვნო ვარიანტისა და მასდარის -რა სუფიქსისაგან. ზმნა ერთპირიანი და გარდაუვალია. კლასოვან-პიროვანი უღვლილებისას დაირთავს ძირითადად სუბიექტის და რიგის ნიშნებსა და დრო-კილოთა სუფიქსებს: დ-ემსებტ “მას (ად.) დააცემინა”.

აქმა ემსებტ, აბგა “ჰადრ” აჲიებტ “თხას დააცემინა, მელამ “ხეირი” თქვა”
(გულია, 1985: 181)

ადმშია “ხველა” (არს. სახ.)

ნაზმნარი არსებითი სახელია. მომდინარებს ადმშიარა “დახველება” ზმნისაგან. წარმოდგენილია წმინდა ფუძის სახით.

ადმშია ჭმკუპ “ხველა ავადმყოფობა” (შაყრილი, კონჯარია, 1986 - I: 62)

ადმშია “ხველა”

ზმნა იმავე მორფოლოგიურ ინვენტარს შეიცავს, რასაც ზემო განხილული ადმსარა “დაცემინება” ფორმა: ტერმინი შედგება საურთიერთო კატეგორიის ად- პრეფიქსისაგან, ლოკატიური მა- პრევერბის უსმოვნო ვარიანტისა და მასდარის -რა სუფიქსისაგან. ანალოგია სხვა მხრივაც გვაქვს: ეს ზმნაც ერთპირიანი და გარდაუვალია. კლასოვან-პიროვანი უღვლილებისას დაირთავს ძირითადად სუბიექტის და რიგის ნიშნებსა და დრო-კილოთა სუფიქსებს: დეიმშიტ “მას (ად.) დაახველა”.

მგცხი აჩჩარა ადმშიარა აშთოუპ “ბევრ სიცილს ხველა მოსდევს” (შაყრილი, კონჯარია, 1986 – I: 62)

ადსრა “ცემა, ძგერა (გულისა)”, “ძლიერი სუნთქვა”

შეიცავს საურთიერთო კატეგორიის ად- პრეფიქსსა და მასდარის -რა სუფიქსს, არ შეიცავს ლოკატიურ პრევერბს. ძირია ა-ს-რა “ცემა, დარტყმა”

მარტივფუძიანი ზმნის ს თანხმოვანი. ეტიმოლოგიურად ნიშნავს “ერთმანეთზე დარტყმას”, “ერთად ცემას”. გულისძეერის აღმნიშვნელად გამოყენებისას საჭიროებს ა-გიგ “გული” სიტყვის დართვასაც: სგიგ [ლ]ესუემტ “გული მიცემს, გული მიძგერს”. ზმნა ერთპირიანი და გარდაუვალია. კლასოვან-პიროვანი უდვლილებისას დაირთავს ძირითადად სუბიექტის დ-ს რიგის ნიშნებსა და დრო-კილოთა სუფიქსებს

ადა ადგფ-დგფშია მესუემტ “ძარღვის ადიფ-დიფ (ბგერითი მიბაძვა) ფეთქავს” (შავრილი, კონჯარია, 1986 – I: 66)

ა-ბჟექიციაჟიარა “ჩლიფინი”

რთული შედგენილობის სიტყვა. პირველი კომპონენტის აბზ “ენა” შესახებ ვრცლად იხ. ჩვენი ნაშრომის I თავში, მეორე კომპონენტი ხექი ფუძეა არსებითი სახელისა ა-ხექი “კიდე, ნაპირი”, მესამე კომპონენტი ციაჟიარა კი ა-ციაჟიარა “ლაპარაკი, საუბარი” ზმნის ფუძეა. ზედმიწევნით: “ენის კიდეზე, ენის კიდით ლაპარაკი”.

ა-ბლარმ “ბალდამი” თურქულიდან ნასესხები სიტყვაა. თურქულში balgam “ნახველს; ჩირქს” ნიშნავს.

ა-ბლარმ “ნაღველით პირდებინება”

ა-ბლაამ თურქულიდან ნასესხები სიტყვაა და ბალდამს ნიშნავს, მეორე კომპონენტია წყლის აღმნიშვნელი სიტყვის თანხმოვნითი ნაწილი. ზედმიწევნით ნიშნავს “ბალდამ-წყალს”.

ა-ბლაჟი “ფუფხი იარაზე”

სიტყვის ეტიმოლოგია ნათელი არ არის და დამატებით კვლევას საჭიროებს.

ახორა აბლაჟი აქილევტ “იარაზე ფუფხი მოედო, გაჩნდა” (შავრილი, კონჯარია, 1986 - I: 98).

ა-გ-ამა, აშხარ., ტაპ. გ-ამა “გემო; მადა”

ნასესხებია ქართველური ენებიდან, შდრ.: ქართული გემო.

ნასესხებ მასალაში ე ხმოვანი უკანაენისმიერთა და ფარინგალური ჭ-ს მომდევნოდ აფხაზურში გადმოცმულია ა ხმოვნით, მგრამ იწვევს წინამაგალ თანხმოვანთა გაპალატალურებას (ლომთათიძე 1976: 47). რიგ ნასესხებ სიტყვაში გამსესხებელი ენის ო ხმოვნის ადგილას გვხვდება ა (ლომთათიძე 1976: 51).

გამოიყენება მყარ შესიტყვებებშიც, მაგალითად, ა-გ-ამა იკიტ “ძალიან მოეწონა, გაიგო, რომ ძალიან კარგია (გემო გაუგო)».

ჩაბადა კრუზფო, აჭატი იაგ-ამოუ იზდგრამ “უშრომდად მჭამელი ვერ იგებს, საჭმელს რა გემო აქვს” (გულია, 1985: 187).

ა-გიაბზეარა “ჯანმრთელობა”

შედგება ა-გიგ “გული” სახელისა და ა-ბზია ”კარგი” ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები აბსტრაქტულობის ა-ბზია-რა “სიკარგე; სიკეთე, კარგობა” ფორმისაგან. ტერმინი მთლიანობაში გულისხმობს “გულის სიკარგეს”, ანუ ჯანმრთელობის ქონას. საყურადღებოა, რომ აფხაზურ ენაში ჯანმრთელობა მაინცდამაინც გულის მდგომარეობასთანაა ასოცირებული. სიტყვა ხშირად გვხვდება მყარ შესიტყვებებში: აგიაბზეარა უმაზაადტ! “ჯანმრთელობა გქონოდეს!”

უს გიაბზეარა ჟოჟაადტ! “შენი არ მჯერა” (ზედმიწევნით: “ასე მოგეცეს ჯანმრთელობა”). ეს უკანასკნელი გაცვეთილი ფრაზაა: უნდა ყოფილიყო “ისე ჯანმრთელობა მოგცეს, როგორც მართალს ამბობდე/როგორი მართალიც იყო”.

ჩემაზარა ზემბაც, გიაბზიარა ჰათურ იზაქიგმ “ვისაც ავადმყოფობა არ უნახავს, ჯანმრთელობას არ აფასებს” (გულია, 1985: 160).

ა-გიაფხაჩრა “მადა”.

პირველი კომპონენტია ა-გიაფხა-რა “მოწონება” ზმნის ფუძე, მეორე კი ა-ჩა-რა “ჟურობა” აბსტრაქტული სახელის ფუძე. ზედმიწევნით ნიშნავს “მოწონებით, სიამოვნებით ჟურობას”.

ა-გიანქ-ბჟგ “კვნესა”

მიღებულია ა-გიგ “გული” არსებითი სახელის ფუძეზე ა-ქ-რა “კვნესა” მასდარის ქ ძირისა და ა-ბჟგ “ხმა” არსებითი სახელის დართვით. კომპოზიტი ზედმიწევნით ნიშნავს “გულის კვნესის ხმას”, შდრ. ქართ. გული უკვნესის.

ა-გიესბჟგ “გულისცემა, გულისძგერა”

შედგება სამი კომპონენტისაგან: არსებითი სახელი ა-გიგ “გული” + ასრა “ცემა” ზმის უსუფიქსო ნაწილი + არსებითი სახელი ა-ბეჭ “ხმა”. კომპოზიტი ზედმიწევნით ითარგმნება, როგორც “გულის ცემის ხმა”.

ახილებული იგიენის ბულეტი არანტო ხსაჲაუან “ბავშვის გულისცემა აქედან მესმოდა”
(შავრილი, კონჯარია, 1986 – I: 160)

ა-გიერსრა “გულისცემა”

კომპოზიტი მიღებულია გულის აღმნიშვნელ იმავე ა-გიგ სიტყვასთან ასრა “ერთმანეთისთვის დარტყმა” მასდარის მიერთების გზით. ახალი მნიშვნელობა წარმოქმნილია იმის ხაზგასმით, რომ გული განუწყვეტლივ ცემს, ზედიზედ ისმის მისი ხმა (შდრ. ქართული: გულისცემა, გული ცემს, გული უცემს, გულისძგერა, გული ძგერს, გული უძგერს).

ამ კომპოზიტურ მასდარსაც იგივე თავისებურება ახასიათებს, რაც ა-გიანგგლარა “გულის გაჩერება” ტერმინს, კერძოდ, სიტყვა ა-გიერსრა ფიზიოლოგიური პროცესის აღმნიშვნელი დასახელების (ნომინატიური) ფორმადა და უკვე ტერმინს წარმოადგენს, თუმცა ენაში ჯერ კიდევ არ გამქრალა მისი შემადგენელი ორივე კომპონენტის დამოუკიდებელ სიტყვებად აღქმა, რაც ვლინდება დრო-კილოთა ფორმების წარმოებისას კომპოზიტის ორ დამოუკიდებელ სიტყვად დაშლის ფაქტში: “გული მიცემს” აფხაზურად იქნება სგიგ ესულებტ “გული მიცემს, გული მიძგერს”.

მეტა იგიენის იაჲა-იაჲა ილილიანი მიტას გულისცემა უფრო და უფრო ძლიერდებოდა” (შავრილი, კონჯარია – I:160)

ა-გიერსრა “შიში; ფორიაქი”

მიღებულია ა-გიგ “გული” სიტყვასთან ა-თყარა “ჩაღრმავებული ადგილიდან ამოვარდნა” მასდარის შერწყმით და მთლიანად ტერმინს აქვს სემანტიკა: “გულის შიგნიდან ამოვარდნა > შიში”. ანალოგიური წარმოშობისაა ქართული ფრაზეოლოგიზმი: შიშისაგან გული ამოუვარდა. ამ კომპოზიტური ტერმინის შემთხვევაშიც, დრო-კილოთა წარმოებისას, იგი ორ შემადგენელ სიტყვად იშლება. მაგ., “მეშინია” იქნება სგიგ თყარმატ “გული (შიგნიდან) მივარდება”

ა-გიერსრა “გულისრევა”

ტერმინი შედგება ა-გიგ “გული” სიტყვისა და ა-ხენჭირა “დაბრუნება” მასდარისაგან. ერთი შეხედვით, ამ შემთხვევაში სემანტიკური ალოგიკურობაა, რადგან გულისრევა “გულის დაბრუნების” სემანტიკასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ “დაბრუნების” ცნებასთან ახლოსაა “ამობრუნების, ამოტრიალების” ცნება, უნდა ვივარაუდოთ, რომ კომპოზიტის მეორე კომპონენტი ა-ხენჭირა ამ კომპოზიტში გამოყენებული უნდა იყოს სწორედ “ამობრუნების, ამოტრიალების” მნიშვნელობით. ანალოგიისათვის შედრ. ქართული: ბავშვს გული აერია, ლამის გულ-მუცელი ამოუბრუნდა. ეს ტერმინი, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილი სხვა ზმნური კომპიზიტური ტერმინები, დრო-კილოთა ფორმების წარმოებისას შემადგენელ სიტყვებად იშლება: აფხაზურად “გული მერევა” იქნება სგიგ ხენჭირებტ.

აჩემაზავ ლასსე-ლასსე აგიგხენჭირა წიგეატ “ავადმყოფს ხშირად გული ერეოდა” (შავრილი, კონჯარია, 1986 – I: 180).

ა-დაგია, აბაზ. დაგი, უბის. დაგიგ, ადიღ. დაგია // დაგიგ “ყრუ”

ა. შაგიროვის აზრით, ტერმინი ადიღური წარმოშობისაა და მიღებულია და “სმენა”, ან “ყური” ძირეულ მორფემაზე გია//ჭია პრივატული სუფიქსის დართვით. ავტორი საანალიზო სიტყვას ადარებს შაფსულურ დაგია “პირუტყვის მოკლე ყურები” სიტყვასთან, სადაც მეორე ნაწილში გვხვდება იგივე პრივატული სუფიქსი, რომლის ამოსავალია დამოუკიდებელი ზედსართავი “მოკლე”. ა. შაგიროვი წერს, რომ ელემენტი “სმენის”, ან “ყურის” აღმნიშნელი იგივე და ძირი წარმოდგენილია ზმნაში დაწიან “მიყურადება, ყურად ადება”.

ავტორის აზრით, გია//ჭია პრივატული სუფიქსი გვხვდება არა მარტო ადიღურ ენებში, მაგრამ სიტყვის ფუძისმიერი ნაწილი (და) გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ აფხაზურში, აბაზურსა და უბისურში საანალიზო ფუძე ადიღური ნასესხობაა, ხოლო აფხაზურის მეშვეობით ეს სიტყვა შევიდა მეგრულშიც – დაგვა “ყრუ” (შაგიროვი 1977 I: 145). ჩვენ ვიზიარებთ ა. შაგიროვის ამ მოსაზრებას.

ადაგია იზე კენტი ადაულ დასეატ “ურისთვის დოლზე ორჯერ უკრავებ” (შავრილი, კონჯარია: 1986 – I:193).

ა-დგჭდგჭრა “ხშირი გულისცემა, ბაგაბუგი, დაგადუგი”

ამ სიტყვაში გამოიყოფა ზოგადობის ა- პრეფიქსი და მასდარის -რა მაწარმოებელი, ხოლო დაქ-დაქ გულისცემის ხმის მიმბაძველი რედუპლიცირებული ძირია.

გახაზ დნევუან ამჟა დაქინგ, იგი დაქდაქიან “მახაზი გზად მიდიოდა, მის გულს ბაგაბუგი გაჲქონდა” (შავრილი, კონჯარია, 1986 – I: 214).

ა-დიახ-ცარა “დეფექცია”

კომპოზიტური შედგენილობის სიტყვაა. შედგება ა-დიგ “მინდორი; გარეთ” ფუძისგან მომდინარე დიგ ლოკატიური პრევერბისა და ხ-თანდებულისგან, რომელბიც გვაძლევენ ზმნიზედას “გარეთ” ეს ზმნისართი საანალიზო სიტყვაში მიერთებულია ა-ცარა “წასვლა” ზმნის ფუძეზე. მთლიანობაში ეფუძისტური ტერმინი ა-დიახ-ცარა ზედმიწევნით ნიშნავს “გარეთ გასვლას”.

ა-დინგ-ცარა “ფეგალია”

ისევე, როგორც ზემოთ განხილული ტერმინი, კომპოზიტური შედგენილობის სიტყვაა. შედგება ა-დიგ “მინდორი; გარეთ” ფუძისაგან მომდინარე დი ლოკატიური პრევერბისა და ადგილის ადმნიშვნელი ხ-პრეფიქსისაგან, რომლებიც გვაძლევენ დამოუკიდებელ ა-დინგ “გარეთ” ზმნისართს. ეს ზმნისართი საანალიზო სიტყვაში მიერთებულია ა-ცარა “წასვლა” ზმნის ფუძეზე. მთლიანობაში ეფუძისტური ტერმინი ა-დინგ-ცარა ზედმიწევნით ნიშნავს “გარეთ გასვლას”

ა-თარ “ჩირქი”

ამ მარტივფუძიანი ტერმინის ეტიმოლოგია ცხადი არ არის და დამატებით კვლევას მოითხოვს.

აშირა ათარ თგრხეტ “ჩირქგროვიდან ჩირქი ამოიდეს” (შავრილი, კასლანძია, 1986 – II: 179)

ა-ზ, აბაზ. ზე, ადიღ. ზაზ “ნაღველი” (ნაღვლის ბუშტის მიერ გამოყოფილი ნივთიერება)

საერთო აფხაზურ-ადიღური სიტყვაა. აფხაზურსა და აბაზურში შემორჩენილი ვარიანტების შედარება ადიღურ ფორმასთან გვარწმუნებს, რომ

ადილურ ენებში რედუპლიკაციაა მომხდარი და თავდაპირველი აფხაზურ-ადილური გარიანტი უნდა ყოფილიყო ზა (შავრილი 1968: 25). აზ ფორმა აფხაზურში ფრაზეოლოგიაშიც იხმარება. მაგალითად: **იზ იჭმურხიტ** “პირიდან ნაღველი ამოუღეს” > “ბევრი არბენინეს, დაღალეს, დაქანცეს”.

აზთრა ამაკიან ეფუძნება აგიაწია იადჰიალოუპ, აკნეწება აზ თოუპ “ნაღვლის ბუშტი ტომარას გავს, დვიძლთან არის დაკავშირებული, შიგნით ნაღველია მოთავსებული” (კვიწინია 1997: 119)

ადციკ-გსრა “სლოკინი”

აღნიშნულ სიტყვაში აი- საურთიერთო კატეგორიის ნიშანია, ცი- ზმნური პრეფიქსი, რომელიც უნებლიერ მოქმედებას აღნიშნავს, ხოლო კ-გს ძირია ა-კ-გს-რა “შეხება, მოკიდება” ზმნისა.

“სლოკინი” გამოწვეულია დიაფრაგმის უეცარი, უნებლიერ შექუმშვით, სიტყვის სემანტიკაც ამ მოვლენასთანაა დაკავშირებული. ზმნა ერთპირიანი და გარდაუგალია. კლასოვან-პიროვანი უღვლილებისას დაირთავს ძირითადად სუბიექტის დ-ს რიგის ნიშნებსა და დრო-კილოთა სუფიქსებს: **დ-ეიციკ-გსუეიტ** “მას (ად.) ასლოკინებს”.

საათკ აყარა წუემტ დდაციკ-გსუედუთე “უკვე ერთი საათია რაც ასლოკინებს” (შავრილი, კონჯარია, 1986 – I: 284)

ა-კრტფარა “ჭამა”

რთულფუძიანი სიტყვაა: შეიცავს ა-ფარა “ჭამა” ზმნასთან მიერთებულ აკრტ “რაიმე (ბევრი)” სახელს. უღვლილებისას სიტყვა შეძლება დაიშალოს ორ სიტყვად: **აკრტ იფედტ** “რამე (ბევრი) ჭამა”.

აკრტფარაჭმე ჩამხიგხი იკვეციერ არემ აწახოზმა? “ჭამაში ჯამხუეუ და მისი მეგობრები განა წააგებდნენ?” (აფხაზური ზღაპრები, 1997:117)

ა-კიგსრა “სქესობრივი აქტი, Coire” (დიკიგსიტ ”მან (მამაკაცმა) მასთან სქესობრივი აქტი შეასრულა”)

მასდარის ფუძე შეიცავს ზოგადი ფორმის მაწარმოებელ **ა-** პრეფიქსსა და მასდარის მაწარმოებელ **-რა** სუფიქსს. კიგს სეგმენტი შეიძლება შეიცავდეს უბის აღმნიშვნელ კი ძირსა (შდრ. კლიტორის სახელწოდება) და “ცემის, ჩაცემის, დარტყმის” აღმნიშვნელი **ა-რ-რა** ზმნის ს ძირს.

ა-ლაფშმწაშიარა “ჰალუცინაცია”

კომპოზიტია. პირველი კომპონენტია მზერის აღმნიშვნელი ა-ლაფშმ ტერმინი, რომელიც თავის მხრივ შეიცავს თვალის აღმნიშვნელ ა-ლა ფუძესა და მზერისავე აღმნიშვნელ ფშმ ძირს. მეორე კომპონენტია ა-წა-შიარა “რამის ქვეშ მოხვედრა” ზმნის ფუძე. მთლიანობაში ტერმინი ითარგმნება როგორც “მზერის ქვეშ მოხვედრა”.

ა-ლაშიარა “ჩასახვა”

ზმნური ტერმინი შეიცავს ლოკატიურ ლა- ფუძე-წინდებულსა და მოხვედრის, ჩავარდნის აღმნიშვნელ შიარა ფუძეს. მაშასადამე, ჩასახვა ნიშნავს “რამეში ჩავარდნას, შიგ ჩავარდნას”.

ლცია დალაშიერტ დოუჭალა ახშარა ზედმიწევნით “მის კანში ჩავარდა (ჩაისახა) ზეციური ძალების მეშვეობით ბავშვი”, “ზეციური ძალების ჩარევით ის დაორსულდა” (აბრსკილი, ინფორმატორი ჭანბა მერაბ, კალდახვარა, 2003).

ა-ლალგრძ, ტაპ. ლაძე “ცრემლი”

ტაპანთურ დიალექტთან (**ლაძე**) შედარებით აფხაზურში (**ალა-ლგრძ**) ზედმეტია ლგრ სეგმენტი, რომლის რაობაც სარკვევია. ტაპანთური ლა-ძე მიღებულია თვალის აღმნიშვნელი შედარებით ახალი ლა და წყლის აღმნიშვნელი ძგ ფუძეების შეერთების გზით და ზედმიწევნით ნიშნავს “თვალის წყალს”. თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო *ბალა ა-ძე, რომელშიც მეორე სიტყვის თავგიდურა ა- ხმოვანი ნივთის გრამატიკული კლასის კუთვნილებითი პრეფიქსი იქნებოდა. მომდევნო საფეხურზე ეს პრეფიქსი რედუცირდა და მოხდა ორი ფუძის სრული შერწყმა.

ლალგრძი ჭმი ეიქიოხუამ “გაუჩერებლივ ტირის”, ზედმიწევნით “ცრემლსა და პირს ერთიმეორეს არ აშორებს”. (კასლანძია, 1995: 57).

ა-ლაციურგსრა “უნებლიე დახამხამება”

რთული შედგენილობის (არსებითი სახელი + მასდარი) ზმნა: ა-ლაცია “ქუთუთო”+ ა-ციურგსრა “დახამხამება”.

უი უაუი-უაუი დლაციურგსუან “ის ხშირად ახამხამებდა” (შავრილი, კონჯარია, 1986 – I:411).

ა-ლაციკიაბ აბჟ., **ა-ციკიგმუგრ** // **აჩკიგმუგრ** ბზიფ. “თვალის ჩირქოვანი გამონადენი”

კომპოზიტური შედგენილობის სიტყვა, სადაც შედის **ა-ლა** “თვალი” + **ცი** **ციკი-დან** “კანი” (ალაცია “ქუთუთო”) + უცნობი წარმომავლობის კიაბ სეგმენტი. შესაძლებელია, ეს სეგმენტი იგივე იყოს, რაც დასტურდება **ა-ციგ-კიბარ** “წვეთი” სიტყვაში.

ა-ლბაადარა “ყლაპვა, ჩაყლაპვა”

სიტყვა შედგება **ლბაა-** პრევერბისა (მნიშვნელობით “ზემოდან ქვევით”) და გატარების აღმნიშვნელი და ძირისაგან, რომლებსაც ერთვის მასდარის მაწარმოებელი -რა.

უს, ამათია შმულებიძიოზ, ილგზგიამთაძაკია, ახაში ილბაალდეიტ. ასე, ტანსაცმელს რომ რეცხავდა, ვერ შეამჩნია და ქვა გადაყლაპა. (აფხაზური ზღაპრები, 1977:378).

ა-მლა “შიმშილი”

მარტივფუძიანი სიტყვაა, რომლის ეტიმოლოგია გასარკვევია.

აფხაზურ-ადილურ ენათა შორის დადგენილი ბგერათშესატყვისობების ერთეული მაგალითებიდან ცნობილია ადილურ ენათა მჟღერი ლატერალური ლ სპირანტისა და აფხაზურ-აბაზური ჟ-ს შესატყვისობა: ადილ. **ლგ**, აფხ.-აბაზ. **ა-უგ/უგ** “ხორცი”. ზოგ შემთხვევაში იმავე ადილურ ლატერალს შეესაბამება აფხაზურ-აბაზური სონანტი ლ: ადილური ლაბლა (პირველ ნაწილში ლა “წელი”) “შიმშილი, არა მოსავლიანი” : აფხაზ.-აბაზ. **ა-მლა/მლა**. მოცემულ ბგერათშესატყვისობაში საწყისი მდგომარეობა შეინარჩუნა აფხაზურ-აბაზურმა ქვეჯგუფმა. ადილურ ენებში მაგარი სონანტი ლ დაემთხვა ძველ ლატერალურ სპირანტ ლ-ს, რომელმაც მოგვცა ჟ აფხაზურ-აბაზურ ნიადაგზე (შაგიროვი 1982: 31).

კამხიგხი აძიგ აჲაშაიშია ანგშიგიალქია შმიჭოზ, ნასგუ, დგრკეგუს ამლა ჸია შმიჭიოზ იბედტ “ჭამხუხმა დაინახა, რომ ერთი ადამიანი მიწას ჭამდა და მაინც “შშიას” იძახდა (აფხაზური ზღაპრები, 1977:115).

ა-მლაშრა “შიმშილი”

შედგება პ-მლა “შიმშილი” არსებითი სახელისა და ა-შრა “მოკვლა” მასდარისაგან. უდვლილებისას ან დაუშლელად იცვლის ფორმას (სგმლაშუეფტ “შშია, შიმშილი მკლავს”), ანდა იშლება შემადგენელ სიტყვებად (ამლა საშუეფტ “შშია, შიმშილი მკლავს”) (ლომთათიძე, 1976: 54-60).

მლაშრა ცუჭა აზდგრამ, აცია – ახჩა “შიმშილი მისაჭმელს (დასაყოლებელს) არ ეძებს, ძილი – ბალიშს” (გულია, 1985: 172).

პ-მციადარა “უძილობა”

ზმნა შეიცავს ძილის აღმნიშვნელ ცია ძირს, რომელსაც ერთვის უარყოფის მ- პრეფიქსი და უქონლობის -და სუფიქსი, ანუ უარყოფა ორმაგადა გამოხატული (გვანცელაძე, 2010: 74).

ა-უმაჟიარა აბუ., ა-უმაჟიარა ბზიფ., ტაპ. უმაჟიარა “ცოხნა”

ტერმინის ეტიმოლოგია ნათელი არ არის და დამატებით კვლევას მოითხოვს.

აუ აჟასკუნ აუმაჟირა “ძროხა ბალახს ცოხნის” (შაყრილი, კონჯარია, 1986 – I: 226).

ა-უამკრა “ჭკნობა, გახდომა; სიგამხდრე”

რთულფუძიანი სიტყვა, ნაწარმოებია პრედიკატიული სინტაგმის საფუძველზე, რომელიც მოქმედების ობიექტის აღმნიშვნელ კომპონენტს შეიცავს. ამ მოდელში აღსანიშნავია უარყოფის მაჩვენებელი მ, რომელიც ტერმინს უარყოფითი მოქმედების მნიშვნელობას ანიჭებს: ა-უ “ხორცი”, ა-მ-კრა “ვერ დაჭერა”, ანუ ტერმინი ნიშნავს “ხორცის სხეულზე ვერ დაჭერას, გახდომას, დაჭკნობას.” შდრ. ანტონიმი პ-უკრა “გასუქება, მომატება”.

პ-უკრა “გასუქება, მომატება”

ეს ტერმინი სემანტიკურად ზემოთ განხილული ტერმინის ანტონიმი, საპირისპირო მნიშვნელობის მქონეა. შედგება ა-უ “ხორცი” და ა-კრა “დაჭერა” სიტყათა ფუძეებისაგან, ხოლო ზედმიწევნით “სხეულზე ხორცის მოკიდებას”, ანუ “გასუქებას” ნიშნავს.

უმ აუკრა ილჩგმარიოუბ “ის ადგილად სუქდება” (შავრილი, კონჯარია, 1986 – I:230).

ა-ჟირა “დალევა”.

ძირია ჟირ, რომელიც მატერიალურად იდენტურია ქართ. სუ-მ-ა ფუძის სუ ძირისა.

აჩარაჭმე აკვ მაჭნე იააჭიმტ “ქორწილში ღვინო ცოტა დავლიეთ” (შავრილი, კონჯარია, 1986 –I: 238).

ა-რსარა “მონელება”

ზმნის მასდარი, რომელშიც წარმოდგენილია კაუზატივის პრეფიქსი რ. ასარა აფხაზურში ასარა “ბურდულის მოხარშვას” ნიშნავს, მაგრამ ამ კონკრეტულ სიტყვასთან კავშირი ვერ დადგინდა.

სიტყვის ეტიმოლოგია ცხადი არ არის და დამატებით კვლევას საჭიროებს.

აჭატი არსარა “საჭმლის მონელება” (კვიშინია, 1997: 99).

ა-რგ’მძ “შარდი”

შესაძლოა, ამ სიტყვაში ბ თანხმოვანი ა-ძგ “წყალი” სახელისაგან მომდინარეობდეს, მაგრამ დანარჩენ სეგმენტების რაობა ცხადი არ არის.

აციენტ იალგატიუ არგმძ ერზომტ აჭაჭა ასაარაჭმე “ორგანიზმიდან გამოსაყოფი შარდი გროვდება თირკმლის ფიალებში” (კვიშინია, 1997: 128).

ა-ფსთაზარა “ცხოვრება; სიცოცხლე”

კომპოზიტური შედგენილობის სიტყვაა, სადაც ა-ფსგ “სულს” ნიშნავს, ხოლო ა-თა-ზაა-რა “რაღაცის შიგნით რაიმეს ყოფნა” ზმნის ძირია. მთლიანად ა-ფსთაზარა ზედმიწევნით “სხეულში სულის ყოფნას” ნიშნავს.

აუაკვ იფსთაზარა კაჭმუბ “ადამიანის სიცოცხლე მოკლეა” (შავრილი, კონჯარია, 1986 – II: 41).

ა-ფსგ “ამოსუნთქული და ჩასუნთქული ჰაერი”

ამ სიტყვაშიაც გვხვდება ფუძე ა-ფსგ “სული”, ხოლო ფ სეგმენტის მნიშვნელობა გაურკვეველია.

აფსგ ლაგა-ჰაგაგა აციეიქხიტაქია “სუნთქვის ორგანოები” (კვიტინია, 1997:121).

ა-ფხებ „სიზმარი“

სიტყვის სტრუქტურა ცხადი არ არის.

დმგცაკია ფხებ იბევტ „უძილოდ სიზმარი ნახა“ (გულია, 1985: 133)

აფხებ აბარა „სიზმრის ნახვა“ (ამიჭბა, 2008: 127).

ა-ფხებ, აბაზ. ფხებ „ოფლი“

შეიძლებოდა ჩაგვეთვალა კომპოზიტად, რომელიც შედგება ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ფუძეებისაგან: ა-ფხა “თბილი” + ა-ძე “წყალი”, ანუ “თბილი წყალი”. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ დარღვეულია მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა: აფხაზურ-აბაზურში, ჩვეულებრივ, ჯერ დგას არსებითი სახელი და მეორე ადგილს იკავებს პირველადი ზედსართავი სახელი. ა. აბდოკოვის აზრით, ეს სიტყვა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო კუთვნილებაა (აბდოკოვი 1983: 74).

დხენშიოდტ, აფხებ იხ-შუ დკაჟაუა-ბლალაუა “დაბრუნდა ოფლიანი (ოფლ წასმული) ვარდნით და გორვით (ფეხზე ძლივს იდგა)” (ნართები, 2000: 27).

ა-ფენწაყ „წვინტლი“

გამჭვირვალე ეტიმოლოგიის ტერმინია. შედგება ორი კომპონენტისაგან: ა-ფენწა “ცხვირი” + ა-ყ-ე “ნაკელი, ფუნა” სიტყვის ძირი. ამოსავალი სემანტიკაც გასაგებია: “ცხვირის ნაკელი”.

ა-ქიფსერჩარა „ხვნეშა, ოხვრა“

კომპოზიტი შედგება ქიფ- ლოკატიური პრევერბისაგან (აღნიშნავს “რისამე რამის ზედაპირზე რაღაცის კეთებას”), ფსე ელემენტი ა-ფსე „სული“ არსებითი სახელის ფუძეა, ხოლო იყოს, ხოლო ჩა მარცვლის რაობა ბუნდოვანია და დამატებით კვლევას მოითხოვს.

ა-ყიგსრა „დახამხამება“

აშპარაა, რომ ტერმინი შეიცავს “ცემის, დარტყმის” აღმნიშვნელ ს ძირს, მაგრამ ნათელი არ არის ყიზ სეგმენტის რაობა.

ა-ფარა “ჭამა”

ამ მარტივფუძიანი ორპირიანი გარდამავალი ზმნის ეტიმოლოგია ნათელი არ არის და დამატებით კვლევას მოითხოვს.

ანუ შიგიალ... აფარა უაჭმუბ. “მიწის ბელტებს ჭამ” (აფხაზური ზღაპრები, 1997: 115).

ა-ფატირსაგა ციეიუხითაჭია რწაკერა “საჭმლის მონელების სისტემა”

რთული აღწერილობითი ტერმინია. მისი პირველი კომპონენტია სიტყვა ა-ფატირსაგა “საჭმლის მონელებისა, საჭმლის მომნელებელი”. იგი ასეთი შედგენილობისაა: ა-ფატი “საჭმელი” + კაუზატივის რ- პრეფიქსი + მონელების აღმნიშვნელი ზმნის სა ძირი + მოქმედების იარაღის -გა სუფიქსი. ტერმინის მეორე კომპონენტი ციეიუხითაჭია “სხეულის ნაწილები, ორგანოები” შედგება სხეულის აღმნიშვნელი კომპოზიტური ა-ციეიუ სიტყვის რთული ფუძისა და “ნაწილი”-ს მნიშვნელობის მქონე ა-ხითა სიტყვის ფუძისაგან, რომელსაც დართული აქვს საგნის გრამატიკული კლასის მრავლობითის მაწარმოებელი -ჭია სუფიქსი); მესამე კომპონენტის დასაწყისში წარმოდგენილი რ- პრეფიქსი მესამე პირის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელია, რომელიც წინ უძღვის ა-წაკერა “სისტემა” (ზედმიწევნით: “ქვეშ დაჭერილობა”) ფუძეს.

ა-ფატირსაგა ციეიუხითაჭია რწაკერა “საჭმლის მონელების სისტემა” (კვიწინია, 1997: 99).

ა-ფკრა “ყნოსვა”

წარმოადგენს ა-ფკრ “სუნი” არსებითი სახელის აბსტრაქტულ ფორმას.

ა-ფკრსრა “ყნოსვა”

ეს კომპოზიტური ზმნა შეიცავს ა-ფკრ “სუნი” არსებითი სახელის ფუძეს, რომელსაც დართული აქვს “ცემის” აღმნიშვნელი ა-ს-რა ზმნის ს ძირი (შდრ. ქართ. სუნი სცემს).

ა-ჩხირა “შარდი”

შესაძლოა, ხმაბაძვითი სახელი იყოს.

წაჩინარგ წარბარა იდგრუევტ “კისაც საწოლში მოშარდვა შეუძლია, იცის, როგორ გააშროს იგი” (გულია, 1985: 148).

ა-ცია “ძილი” (არს. სახ.)

მარტივი ფუძეა.

აცია აციართა ევლნახუამ “ძილი საწოლს არ არჩევს” (გულია, 1985: 126).

ა-ციანგრრა “გრძნობა; შეგრძნება”

რთული შედგენილობის ტერმინი, რომელიც შედგება **ა-ცია** “კანი” და **ა-ნგრრა** “შეგრძნება; ზემოქმედება, გავლენა” ფუძეებისაგან.

უი ლგბლაქია ციანგრრაკ რხელან. . . “მის (ქალის) თვალებში გრძნობა ჩანდა” (შავრილი, კონჭარია, 1987 - II: 330).

ა-ციარა “დაძინება”

გამოიყოფა ზოგადობის **ა-**პრეფიქსი და მასდარის **-რა** სუფიქსი, ძირია **ცია.**

ა-ციარა “წოვა”

გამოიყოფა ზოგადობის **ა-**პრეფიქსი და მასდარის **-რა** სუფიქსი, ძირია **ცია.**

ა-ციარსგრა “თვლემა”

გამოიყოფა ზოგადობის **ა-**პრეფიქსი და მასდარის **-რა** სუფიქსი, დანარჩენ სეგმენტთაგან გამოსაყოფია “ძილის” აღმნიშვნელი **ცია** ძირი, ხოლო რსგეს მარცვლის რაობა ბუნდოვანია. ამ ზმნისაგან მომდინარეობს სახელი **ა-ციარსგს** “ძილისგუდა”.

აკეჩაგგ დახტაზ დციარსგრუან “ორივე იჯდა და თვლემდა” (შავრილი, კონჭარია, 1987:331).

ა-ციაშმ “ფერმერთალი”

რთული შედგენილობის სიტყვაა, სადაც ა-ცია “კანი” + შე ელემენტი მომდინარეობს ზედსართავ ა-შმკიაკია-საგან “თეთრი”. ზედმიწევნით ნიშნავს “კანთეთრს”.

ა-ძბა “წყურვილი”

ტერმინი აშკარად შეიცავს ა-ძგ “წყალი” სიტყვის ძ თანხმოვანს, თუმცა ბა სეგმენტის რაობა ცხადი არ არის. სიტყვა გამოიყენება მყარ შესიტყვებებში: ამბა დაპიტ “მოსწყურდა” (ზედმიწ.: “წყურვილმა შეიპყრო”), ამბა დედქიგნწიოდტ “წყურვილი კლავს” (ზედმიწევნ.: “წყურვილი სპობს”).

ამბა დედქიგნწიოდტ “ძალიან სწყურია” (წყურვილისგან კვდება)

ეიცნუ იშმნეიუაზ დურბედტ აძიგ აძგრკაშმ დაწაგლანუ აუირა დაჭმნუ, დურკეგ~ – ამბა! ამბა! ჰია აჭიპიარა დშმაჭმუზ “ერთად რომ მიდიოდნენ, დაინახეს, ერთი ადამიანი წყლის ნაკადის (ჩანჩქერის) ქვეშ იდგა, სვამდა და მაინც – წყურვილი! წყურვილი! (მწყურიას) გაიძახოდა. (აფხაზური ზღაპრები, 1997:115).

ა-ძკათარა “შარდვა”

კომპოზიტური შედგენილობის ტერმინია, სადაც ა-ძგ “წყალი” + ა-კათარა “გადასხმა, დაქცევა, დაღვრა”, ზედმიწევნით “წყლის გადასხმა, დაქცევა, დაღვრა”. ევფემიზმია.

აძკათარა აციელუხითავებია “საშარდე ორგანოები” (კვიწინია, 1997: 127).

ითაკიაუ დიცუმკია... ძკათარაგ~ დუწცომუზტ “თავის დედაბერის გარეშე მოსაშარდადაც კი ვერ მიდიოდა” (აფხაზური ზღაპრები, 1997: 168).

ა-ძკათარატი-ფხაშარატი ციერიუხითავები რწაკერა “შარდ-სასქესო ორგანოების სისტემა”

რთული ტერმინი, წარმოდგენილია ოთხი სიტყვით. პირველი სიტყვის “ა-ძკათარა” შესახებ იხ. ზემოთ + კუთვნილება-დანიშნულების სუფიქსი -ტი, მეორე კომპონენტი ფხაშარა ზმნიდან აფხაშარა “მორიდება, სირცხვილი” + სუფიქსი -ტი, მესამე და მეოთხე კომპონენტები : ციერიუხითა “ორგანო” + საგნის კლასის მრავლობითის მაწარმოებელი -ქია; რ - მესამე პირის მრავლობითი რიცხვის პრეფიქსი + აწაკერა “სისტემა”. ზედმიწევნით “წყლის გადამსხმელი-სასირცხვილო სხეულის ნაწილების სისტემა”.

ა-ძკათიარატი-ფხაშარატი ციეიუხითაქია შმომტ კ-ხიტაკნე “შარდ-სასქესო სისტემის ორგანოები ორ ჯდულად იყოფა” (კვიშინია, 1997: 127).

ა-ძგშმა “წყურვილი”

ამ სიტყვაშიც გამოიყოფა წყლის აღმნიშვნელი ბ თანხმოვანი, მაგრამ შმა სეგმენტის რაობა სარკვევია. ტიპურია გამონათქვამი: აძგშმა დაგუემტ “სწყურია, წყურვილი იპყრობს”. არსებობს ამავე მნიშვნელობის მასდარი ა-ძგშმა-რა (დძგშმომტ “სწყურია”).

